


ოჯახური კალაღობა
და
სამართლებრივი დახმარება
სახელმძღვანელო ტრენინგებისთვის



წიგნი მომზადებულია ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად გაეროს სატრასტო ფონდის პროექტის – „საუწყებათაშორისო და საზოგადოებრივი ზომები ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად საქართველოში: გაერთიანებული ძალები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის შესასრულებლად“ – ფარგლებში.

პროექტს ასორციელებენ ორგანიზაციები:



ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი

ქალთა საინფორმაციო ცენტრი



დინამიკური ფსიქოლოგია განვითარებისა და დემოკრატიისათვის











სამცხე-ჯავახეთის დემოკრატი ქალთა საზოგადოება

ქალთა იმედი



პროექტი შემუშავებულია და სორციელდება შემდეგ ორგანიზაციებთან პარტნიორობითა და თანამშრომლობით:

-  განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
-  პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭო;
-  საგარეო საქმეთა სამინისტრო;
-  სამცხე-ჯავახეთის თვითმართვლობათა ასოციაცია;
-  საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
-  სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი;
-  სტატისტიკის დეპარტამენტი;
-  უზენაესი სასამართლო.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს საიტი
www.nasilie.net

წიგნზე მუშაობდნენ:

ელენე რუსეცკი

ქალთა საინფორმაციო ცენტრის კოორდინატორი:
პროექტის დირექტორი

ინგა ბერიძე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი,
ადვოკატი, პროექტის იურისტი

ნათია წკეპლაძე

უსენაესი სასამართლოს მოსამართლე

რედაქტორი:

დალი კუპრავა
თამარ გოგოლაძე

ყდის დიზაინი:

ელენე ნავერიანი

დაკაბადონება:

პაატა მამფორია



დაიბეჭდა „ქალთა პოლიგრაფიულ სერვისში“

შინაარსი

შესავალი	6
✎ ელენე რუსეცკი	
წინასიტყვაობა	7
✎ ნათია წკეპლაძე	
3. ტერმინთა განმარტება	9
4. ტრენინგის პროგრამა	11
4.1. ზოგადი ინფორმაცია	11
4.2. თეორიული ინფორმაცია	15
4.3. პრაქტიკული ინფორმაცია	23
4.4. შერჩეული დასარიგებელი მასალა	44
5. ინსტიტუციონალური მექანიზმები	87
6. სიტუაციური მაგალითები	91
7. საკონტაქტო ინფორმაცია	121
7.1. ინტერნეტ-რესურსები	122
7.2. ბიბლიოგრაფია	126
7.3. აბრევიატურები	127

შესავალი

დვირფასო მეითსველო! თქვენს წინაშეა გამოცემა, რომელიც არა მხოლოდ დაგეხმარებათ მიიღოთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია, არამედ საშუალებას მოგცემთ ორგანიზება გაუწიოთ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საგანმანათლებლო და სასწავლო ღონისძიებების ჩატარებას.

სახელმძღვანელო არის ტრენინგი-სემინარის შედეგი სსკდასსვა პროფილის იურისტებისათვის – ადვოკატებისათვის, სასამართლო სისტემის მუშაკებისათვის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომლებისა და სსკვა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

სატრენინგო პროგრამის მოსამზადებელ პროცესში მოხდა დინამიური ინტეგრირება გამოცდილების, რესურსების, პრაქტიკოსი იურისტებისა და პროექტის არასამთავრობო ორგანიზაციების გუნდის წარმომადგენელთა ინოვაციური მიდგომებისა.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ხარისხის ამაღლება თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. სემინარი ეფუძნებოდა ინტერაქტი-

ურ მეთოდოლოგიას, უცხოური გამოცდილების შესწავლასა და ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას. ტრენინგ-სემინარის მიმდინარეობის პროცესში არა მხოლოდ ახალი ცოდნა იქნა შეძენილი, არამედ საფუძველი ჩაეყარა საკანონმდებლო სრულყოფისათვის რეკომენდაციების ფორმირებას.

პროექტის ჯგუფის წევრები, ექსპერტები და ტრენინგის მონაწილეები გამოხატავენ მადლიერებას გაეროს სატრასტო ფონდის პროექტის მიმართ სწავლისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობისათვის.

ვიმედოვნებთ, რომ მოცემული სახელმძღვანელო დაგეხმარებათ ჩაატაროთ საკუთარი, უნიკალური, საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომლიდან მიღებულ გამოცდილებასაც ჩვენ გაგვიზიარებთ.

თქვენი რეკომენდაციები და შენიშვნები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მისამართზე:

office@ginsc.net;

tamar@caucasus.net

გვჯერა, რომ ცნობრება ძალადობის გარეშე შესაძლებელია.

ჯ ელენე რუსეცი

პროექტის – „საუწყებათაშორისო და საზოგადოებრივი ზომები ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად საქართველოში“ – ჯგუფის სახელით.

✎ ნათია წკებლაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

წინასიტყვაობა

ს დამიანის უფლებები და თავისუფლება, მათი პატივისცემა, დაცვა და მათი სრულფასოვანი რეალიზაცია ის ღირებულებებია, რომელთა უზრუნველსაყოფად პროგრესული კაცობრიობა ერთიანდება. ერთიანი ფასეულობების სისტემის შექმნა უნდა ემსახურებოდეს ეფექტური ღონისძიებების შემუშავებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ქმედით ინსტიტუტს ევროპის საბჭო წარმოადგენს, რომელიც წევრი სახელმწიფოებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებათა სისტემის მთელ რიგ რეკომენდაციებს შეიმუშავებს.

ოჯახში ძალადობის თემა პირდაპირ უკავშირდება ქალთა უფლებებს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის აუცილებლობას. საქართველო არ არის გამონაკლისი და ქალთა მიმართ ძალადობის გლობალური პრობლემები ჩვენთანაც მეტად მწვავედ დგას. საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო მოწესრიგება ქალთა უფლებების დაცვის გარანტიად სასამართლო სელისუფლებას ითვალისწინებს. შესაბამისად, პრობლემები მართლმსაჯულების წინაშე შემდგენიარად განისაზღვრება:

- ✎ ოჯახში ძალადობის არსის გააზრება;
- ✎ საერთაშორისო სამართლებრივი დებულებების ცოდნა;
- ✎ საერთაშორისო მასშტაბით სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და გაანალიზება;
- ✎ სასამართლო ფსიქოლოგია / შესაბამისი სამოსამართლო უნარ-ჩვევები;
- ✎ მოქმედი შიდა კანონმდებლობის ნორმების სწორი გაგება;
- ✎ სამართალწარმოების პროცედურა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებას;
- ✎ მსარეთა დაცვის კვალიფიკაციის ხარისხი;
- ✎ სამართალდამცავი ორგანოების კვალიფიკაციის ხარისხი;

პროექტის საქმიანობა და მნიშვნელობა შედეგია სწავლასწავა ინსტიტუტებში დასახული პრობლემებისა. პროექტის არსი და სტრატეგია მიმართულია პრობლემათა სააშკარაოზე გამოტანის, მათი გამოკვლევისა და ტენდენციების დასაზვისაკენ მათ დასარეგულირებლად.

მოქმედი საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ დასახვეწია. აღრეულია მთელი რიგი იურიდიული ტერმინები. პრაქტიკულად არ არსებობს სამართალწარმოების დეტალური და ზუსტი პროცედურა, რასაც სწირ შემთხვევაში პროცესუალურ ჩინში შეჰყავს მართლმსაჯულება: არაეფექტური სდება დაცვის მსარე და ფორმალური სასიათი ეძლევა პრევენციულ ღონისძიებებს სამართალდამცავთა მხრიდან.

სწავლება მიზნად ისახავს ოჯახში ძალადობის გლობალურ კონტექსტში გააზრებას, საერთაშორისო ნორმებისა და პრევენციული ეროვნულ მართლმსაჯულებაში გამოყენებას. ასევე, ოჯახში ძალადობის

პრევენციას, პრობლემის ირგვლივ სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საზოგადოებრიობის ერთიანი ძალისხმევის საქმიროების დანახვას, სწორი და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

სწავლების მეთოდოლოგია საშუალებას მისცემს მოსამართლეებს, მოსამართლის თანაშემწეებს, ადვოკატებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გაეცნონ ვითარებას, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი მასშტაბით, დაინახონ პრობლემათა მოგვარების არსი, საკანონმდებლო სარეგულაციო განმარტებით ნარე პროცესუალური და სამართლებრივი პრობლემები.

3. ტერმინთა განმარტება

ოჯახში ძალადობა¹ გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ოჯახი – არის საზოგადოების უჯრედი (მცირე სოციალური ჯგუფი) დაფუძნებული ცოლ-ქმრულ კავშირსა და ნათესაურ ურთიერთობებზე, ანუ იგი მოიცავს ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობებს, ურთოერთობებს იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და უძღვებიან საერთო მეურნეობას.

ქორწინება – სამოქალაქო კოდექსით ქორწინება წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის ისეთ ნებაყოფლობით კავშირს, რომლის პირდაპირი მიზანია ოჯახის შექმნა.

ქალის მიმართ ძალადობა – მოიცავს ნებისმიერი ძალადობის აქტს, ჩადენილს სქესობრივი ნიშნის საფუძველზე, რომელიც ქალს აყენებს ან რომელმაც შეიძლება მიაყენოს ფიზიკური, სექსუალური ან მორალ-

ლური ზარალი და ტანჯვა, ანდა მუქარა, რომელიც მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილ აქტებს, იძულება ან თავისუფლების თვითნებური შეზღუდვა საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.

ძალადობა ბავშვზე – ბავშვი ძალადობას განიცდის, თუ მშობელი ან ოჯახის რომელიმე წევრი ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს, აშინებს, აკრიტიკებს სხვების თანდასწრებით, ამცირებს, ემუქრება ბავშვთა სახლში ჩაბარებით.²

ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ნასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ;

ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს

¹ ის: საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.
http://intranet.parliament.ge/index.php?kan_det=det&kan_id=1889&lang_id=GEO&sec_id=69

² <http://www.tsu.ge/yl/community/32.html>

ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

მუქარა – სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის საფუძვლიანი შიში.

დამცავი ორდერი – არის პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის საფუძველი და პირს აღკვეთის ღონისძიებების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.

შემკავებელი ორდერი – არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

თავშესაფარი – ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე დაცვის ღონისძიებებს; ასევე ოჯახის ნათესავებისა და მეგობრების ოჯახი;

4. ტრენინგის პროგრამა

4.1. წიგნადი ინფორმაცია

მთავარი თემატური ზონები

ქალთა მიმართ ძალადობა და მისი მასშტაბები, როგორც გლობალური ეპიდემია;

ქალთა მიმართ ძალადობა რჩება გენდერული თანასწორობის მუდმივ პრობლემად – მთელ მსოფლიოში სამიდან ერთი ქალი ძალადობის მსხვერპლია;

საერთაშორისო ინსტრუმენტები და ეროვნული კანონმდებლობა (მატერიალური და პროცესუალური) – ოჯახში ძალადობის დანაშაულთან საბრძოლველად;

პიროვნებებს უფლება აქვთ დაცულნი იყვნენ ნებისმიერი ფორმის ძალადობისაგან. სწორედ აქედან გამომდინარეობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რომ ყველა შესაძლო საშუალებით ებრძოდეს ოჯახში ძალადობას;

სამართალდამცავი ორგანოების როლის მნიშვნელოვნება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მთავარი აქცენტი – საქმეთა გამოძიების ტექნიკა;

მოსამართლეები მეტი სიფრთხილით მოევიდნენ გენდერულ საკითხებს: ოჯახში ძალადობის დინამიკა და ძალადობის კონკრეტული სახეები, სათანადო კანონების ანალიზი;

ადვოკატების მონაწილეობა ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ დახმარებაში;

ადამიანის უფლებები ქალთა უფლებებია. მსოფლიომ ცნო ქალთა და გოგონათა უფლებები, რომელიც ადამიანის საყოველთაო უფლებების განუყოფელი, არსებითი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია;




კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ – ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი დოკუმენტი ქალთა თანასწორობის მისაღწევად;

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ – ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი დოკუმენტი ქალთა თანასწორობის მისაღწევად;

სწავლების შესაძლო შედეგები

საერთო შედეგები

მონაწილეები გააცნობიერებენ რომ:

-  ყოველ ადამიანს აქვს პიროვნული უსაფრთხოებისა და ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან თავისუფლების უფლება;
-  ძალადობის პრობლემის არსს, მის ფორმებსა და მასშტაბებს;
-  საერთაშორისო ინსტრუმენტები და ეროვნული კანონმდებლობა არ

ითვალისწინებს საკმარის პრინციპებსა და პირობებს ოჯახში ძალადობასთან, როგორც დანაშაულებთან საბრძოლველად;



„ადამიანის უფლებები“ ესება იმ უფლებებს, რომლებიც აღიარებულია მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ და რომელთაც იცავს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები. სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა ყველა შესაძლო საშუალებით ებრძოლოს ძალადობას ოჯახში;



ქალებისათვის ყველაზე საშიში ადგილი, შესაძლოა, საკუთარი სახლი იყოს.

კონკრეტული შედეგები/უნარ-ჩვევები



ადვოკატების უმრავლესობა სასამართლო სისტემის გარეთ მუშაობს და ძირითადად შემოიფარგლებიან თავშესაფარსა და ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის განკუთვნილ პროგრამებში მუშაობით. მხოლოდ ადვოკატთა მცირე ნაწილი მუშაობს სისტემის შიგნით, სასამართლოში, პროკურატურასა და სამართალდამცავ ორგანოებ-

ში. შიდა (სამთავრობო) და გარე (დამოუკიდებელი) ადვოკატები გაიაზრებენ თუ რამდენად დიდი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში;



სამართალდამცავი ორგანოები გაიაზრებენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია პოლიციელის მიერ გამოძიების მოთხოვნების სათანადოდ შესრულება: ძალადობის სავარაუდო მიზეზების დადგენა, მსხვერპლთა, ეჭვმიტანილთა და ბავშვთა დაკითხვა, სასამართლოს მიერ დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გაცემა, საგამოძიებო და დაკავების ოქმების წარმოება და სხვა;



სასამართლო სისტემის წარმომადგენლები (მოსამართლეები, მოსამართლის თანაშემწეები), სამართალდამცავი ორგანოების ადვოკატები – გაიაზრებენ და შეძლებენ ეფექტურად განასორციელონ ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის მიმართული საქმიანობა.

ორდღიანი ტრენინგის სანიმუშო გეგმა (პროგრამა): „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დახმარების წარმოება“.

დროის სანგრძლივობა	პროცესი	სწავლის შედეგები	შენიშვნა
5 წთ.	შესავალი მოდულის წარდგენა და სწავლების მიზნების გაცნობა	მონაწილეები გაეცნობიან პროგრამას, მიზნებსა და განხილველ საკითხებს	
	ოჯახში ძალადობის მიმოხილვა		
30 წთ.	როგორ ესმით ტერმინი „ოჯახში ძალადობა“? მონაწილეები განიხილავენ ოჯახში ძალადობის შესაძლო მიზეზებსა და შედეგებს, ასევე მის სელშემწყობ ფაქტორებს. რა ხანის ძალადობის იდენტიფიკაცია არის შესაძლებელი საქართველოში? ოჯახი – საშიში ადგილი? დისკუსია	მონაწილეები შეთანხმდებიან საქართველოში ოჯახში ძალადობის ფორმებისა და მასშტაბების შესახებ.	
30 წთ	საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები და მექანიზმები. <ul style="list-style-type: none"> ☞ სათანადო ძალისხმევა; ☞ კანონის წინაშე თანასწორობა; ☞ ძალადობა ოჯახში, როგორც წაშების ფორმა; ☞ ძალადობა არის ძალისმიერი მეთოდით ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევა. 	გააცნობიერებენ საერთაშორისო სამართლის როლს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. შეისწავლიან ოჯახში ძალადობის გლობალურ მასშტაბებს. ისწავლიან მიიღონ საერთაშორისო სამართლებრივი დებულებები ძალადობის მსხვერპლთა დახმარებად.	
20 წთ.	საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობა ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად (გაერო, ევროსაბჭო და სხვა).	მონაწილეები მიიღებენ პრაქტიკულ ცოდნას ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობის, მათი პროგრამებისა და პროექტების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებში	

<p>20 წთ. 15 წთ 20 წთ 15 წთ</p>	<p>შიდა კანონმდებლობა – ადმინისტრაციული სამართალწარმოება:</p> <ul style="list-style-type: none"> ✎ აღმოცენების საფუძველი; ✎ სასამართლო პროცედურა; ✎ მხარეთა საპროცესო უფლებები; ✎ სასამართლო აქტების რეკვიზიტები. 	<p>მონაწილეები გააანალიზებენ კანონის დებულებებს – ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსგავრ-პლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.</p>	
<p>15 წთ. 15 წთ. 15 წთ. 10 წთ. 15 წთ. 20 წთ.</p>	<p>სასამართლოს მიერ ოჯახში ძალადობის საკითხის გადაწყვეტის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები:</p> <ul style="list-style-type: none"> ✎ ფაქტების გამოკვლევა; ✎ ფაქტების დადგენა; ✎ სამართლებრივი შეფასება. <p>ადმინისტრაციული საპროცესო ინსტიტუტების გამოყენება ოჯახში ძალადობის პროცედურის სამართალწარმოებაში.</p> <p>დისკუსია: საკანონმდებლო სიანსლექების საქიროება;</p> <p>ძალადობა და ადამიანის უფლებები; სასელმწიფო ვალდებულებები ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად.</p>	<p>იმჯელებენ არსებული კანონმდებლობის მატერიალურ და პროცესუალურ, სუსტ და ძლიერ მხარეებზე.</p> <p>მონაწილეები გაეცნობიან სასელმწიფო ვალდებულებებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ.</p>	
<p>20 წთ 30 წთ</p>	<p>საქართველოს სასამართლო – სიტუაციური ამოცანები</p> <ul style="list-style-type: none"> ✎ რა სახის ძალადობასთან გვაქვს საქმე – ძალადობის ფორმის იდენტიფიცირება; ✎ რომელ გადაწყვეტილებას დაუქერენ მხარს მსმენელები ანალოგიურ შემთხვევაში? 	<p>მონაწილეები გაიმყარებენ მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად.</p>	<p>თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია http://tbiliscitycourt.gov.ge/</p>
<p>30 წთ</p>	<p>დაცვის უფლება – (სიტუაციური ამოცანა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან)</p> <p>რა სახის გადაწყვეტილებას დაუქერენ მხარს მსმენელები ანალოგიურ სიტუაციაში?</p>	<p>მონაწილეები გაიმყარებენ მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად.</p>	
<p>10 წთ</p>	<p>მოდულის შეჯამება</p> <p>ტრენერი აჯამებს მოდულის სასწავლო სეკანდო საკითხებს.</p>	<p>მონაწილეები იღებენ მითითებებს შემდგომი ქმედებებისთვის.</p>	<p>უცხოური კაზუსი www.justicewomen.com</p>

4.2. თეორიული ინფორმაცია

ოჯახში ძალადობა, როგორც სოციალური მოვლენა

ქალთა მიმართ ძალადობა კომპლექსური მოვლენაა, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები საზოგადოების ორგანიზაციის სტრუქტურაში. კულტურულ რწმენებში, ურთიერთობებში, ეკონომიკური ძალაუფლების დისბალანსსა და გაბატონებულ მამაკაცურ იდეალში. ქალს სახლში და სამსახურში მრავალი საშიშროება ემუქრება, განსაკუთრებით კი ომისა და კონფლიქტური სიტუაციების დროს. საშიშროება ფართო სპექტრს მოიცავს, მათ შორის ბავშვებზე ძალადობას, პროსტიტუციას, ფიზიკურ ძალადობას, სქესობრივ ძალადობას და ტრადიციული კულტურით გამართლებულ საზიანო პრაქტიკას; კერძოდ, იძულებით ნაადრევ ქორწინებას, ქვრივი ქალების დაწვას და სასქესო ორგანოების დაზიანებას. ქალები დაუცველნი არიან ამ ძალადობის წინაშე მთელი ცხოვრების მანძილზე, მათ შორის, სშირად, დაბადებამდეც, მდედრობითი სქესის ნაყოფის მოცილებით და ახალშობილის მკვლელობის სახით.

გენდერული ძალადობა სორციელდება ყველა საზოგადოებაში და ნიშნავს ქალთა სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ დაქვემდებარებას. ეს მოვლენა შეუმჩნეველად, პრობლემის დანახვის გარეშე ვითარდებოდა. ამაზე საუბარი მხოლოდ 30 წლის წინ დაიწყო. ქალთა მიმართ ძალადობის საგანგაშო მდგომარეობის გლობალური მასშტაბი საერთაშორისო საზოგა-

დობის მიერ აშკარად აღიარებული არ იყო 1993 წლის დეკემბრამდე, როდესაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ¹.

დეკლარაციის მიღებიდან ორი წლის შემდეგ, 1995 წელს, პეკინის ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა სამოქმედო პლატფორმა², რომელიც დაბეჯითებით იმეორებს, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს ქალთა და გოგონათა უფლებების, როგორც ადამიანის უფლებების განუყოფელი შემადგენელი ნაწილის სრული იმპლემენტაცია.

მილიონობით ქალისთვის ყველაზე სერიოზო ადგილი შეიძლება საკუთარი სახლი იყოს. ამის მაგალითს, უახლოესი პარტნიორის მიერ ჩადენილ ძალადობას, შესაძლებელია შევხვდეთ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ნებისმიერი სქესის წარმომადგენელთან, მაგრამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ჯანმრთელობისა და ძალადობის გლობალური ანგარიშის მისედვით ქალები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ძალადობისგან „იმგვარ საზოგადოებაში, რომლებშიც აღინიშნება სქესთა შორის უთანასწორობა, იმ მყარად დამკვიდრებული გენდერული როლებით და კულტურული ნორმებით, რომლებიც იცავს მამაკაცის სექსუალურ უფლებებს ქალის

¹ იხ: <http://www.un.org/russian/document/declarat/violence.htm> (უკანასკნელი ვიზიტი 29.06.2009).

² იხ: <http://www.un.org/russian/conferen/women/womplat.htm> (უკანასკნელი ვიზიტი 29.06.2009).

გრძნობების მიუხედავად და გამოირჩევა ამგვარ ქმედებათა წინააღმდეგ სუსტი სანქციებით.¹ თუმცა, ჯანმრთელობისა და ძალადობის გლობალური ანგარიშის მიხედვით მამაკაცთა შეიძლება გასდეს უახლოესი პარტნიორის მიერ ჩადენილი ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ „პარტნიორის მიერ ჩადენილი უდიდესი ტვირთი აწევს ქალს, რომელზეც ძალადობს მამაკაცი“.

ძალადობა ოჯახში მოიცავს უახლოესი პარტნიორისა და ოჯახის სხვა წევრების მხრიდან განსორციელებულ ძალადობას და რამდენიმე სახისაა:

ფიზიკური ძალადობა – მაგ.: გარტყმა, დაჭრა, ხელის გადაგრესა, დაწვა, დახრჩობა, ფეხების დარტყმა, მუქარა რაიმე საგნით ან იარაღით, მკვლელობა. ის, ასევე, მოიცავს ქალისათვის საზიანო ტრადიციულ პრაქტიკას, მაგ. ქალის სასქესო ორგანოების დამახინჯებასა და ცოლის მემკვიდრეობით გადაცემას (ქრევისა და მისი საკუთრების მემკვიდრეობითი გადაცემა გარდაცვლილი ქმრის ძმისთვის).

სქესობრივი ძალადობა – მაგ.: არასასურველი სქესობრივი აქტის დაძალება, სქესობრივი კავშირი მუქარის, დაშინების ან ძალის გამოყენებით, ან სხვებთან სქესობრივი კავშირის დამყარების იძულება.

ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც მოიცავს დაშინებისა და დევნის მიზნით ქმედ-

ბას და შემდეგი შინაარსის ფორმას იღებს: *მიტოვება და ძალადობა, სახლში გამოკეტვა, შედამხედველობა, ბავშვებზე მეურვეობის ჩამორთმევა, საგნების დაზიანება, იზოლაცია, „სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუდმივი დამცირება*.

ეკონომიური ძალადობა – მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორცაა *უარის თქმა დაფინანსებაზე, უარის თქმა საკვებითა და ძირითადი მოთხოვნილებებით უზრუნველყოფაზე. კონტროლი ჯანდაცვის სამსახურებით სარგებლობისა და დასაქმების საკითხებში და ა.შ.*

ქალებისა და გოგონების მიმართ განსორციელებული ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს იგნორირების აქტი. გენდერული სუბიექტივიზმი, რომელიც მოიცავს დისკრიმინაციას კვების, განათლებისა და ჯანდაცვის საკითხებში, ასევე გულისხმობს ქალის უფლებების დარღვევას. ძალადობის შემოაღნიშნული ფორმების ცალ-ცალკე ჩამოთვლის მიუხედავად ისინი ერთმანეთს არ გამოირიცხავენ და სშირად ერთდროულად გვსდებიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოჯახში ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური, სიტყვიერი, ემოციური ან სქესობრივი და ის, ჩვეულებრივ, სორციელდება ქალის მიმართ მამაკაცის მიერ ძალაუფლებისა და კონტროლის შესანარჩუნებლად. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის მასშტაბები და ფორმა, შეიძლება, სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში განსხვავებული იყოს, კვლევებით დასტურდება, რომ, თუ ცემის ფაქტს საიდუმლოდ ინახავენ, თანდათან სდება

¹ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ანგარიში მსოფლიოში ძალადობისა და ჯანდაცვაზე, უნევა, 2002.

მდგომარეობის ესკალაცია. ცემა ტოვებს როგორც ფიზიკურ, ასევე ემოციურ კვალს. ცემის კვალი – სისხლჩაქცევა ან დანით მიყენებული ქრილობა რჩება, მაგრამ ემოციური ტრავმა არ იკურნება.

ქალთა მიმართ ძალადობა დამახასიათებელია საზოგადოების სრული სპექტრისთვის განურჩევლად რასობრივი, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური მდგომარეობისა. ხშირად, მოძალადეები არიან ის პიროვნებები, რომელთაც ქალები ენდობიან, პატივს სცემენ ან უყვართ.

არ არსებობს ქალთა მიმართ ძალადობის საყოველთაოდ მიღებული განმარტება. ადამიანის უფლებების ზოგიერთი აქტივისტი ამჯობინებს ფართო განმარტებას, რომელიც მოიცავს იმგვარ „სტრუქტურულ ძალადობას“, როგორცაა სიღარიბე და ჯანმრთელობისა და განათლების არათანაბარი ხელმისაწვდომობა. ზოგიერთი კი ამჯობინებს შედარებით შეზღუდულ განმარტებას, რათა არ დაიკარგოს ტერმინის მნიშვნელობა, მისი რეალური აღწერილობითი გამომსახველობა. ყოველ შემთხვევაში, აღიარებულია კონკრეტული სამუშაო განმარტების შემუშავების აუცილებლობა, რათა კვლევა და მონიტორინგი გახდეს უფრო კონკრეტული და გამოსაყენებელი განსწავებულ კულტურულ სისტემაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ განმარტავს ქალთა მიმართ ძალადობას, როგორც „გენდერული ძალადობის ნებისმიერ აქტს, რომელსაც მოჰყვება, ან შესაძლოა მოჰ-

ყვეს ქალის მიმართ ფიზიკური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური ძალადობა ან ტანჯვა, მათ შორის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცსოვრებაში“.¹

ეს განმარტება გულისხმობს ძალადობის გენდერულ საფუძველს და აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ის ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმია, რომელიც აიძულებს ქალებს მამაკაცების მიმართ დაქვემდებარებული პოზიცია დაიკავონ. ეს აფართოებს ძალადობის განმარტებას, რადგან მოიცავს ქალებისადმი მიყენებულ როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ზიანს, და მოიცავს როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცსოვრებას.

გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ განმარტავს ქალთა მიმართ ძალადობას, რომელიც მოიცავს სამ სფეროს, მაგრამ მხოლოდ ამ სფეროებით არ იზღუდება: ძალადობა ოჯახში, ძალადობა, საზოგადოებაში, სახელმწიფოს მხრიდან ან მისი ხელშეწყობით განხორციელებული ძალადობა.

¹ გენ. ასამბლეის რეზოლუცია. 48/104. 48 U.N. GAOR Supp. (No. 49) at 217, გაეროს დოკუმენტები. ა/48/49 (1993). ინტერნეტ ვერსია ის: [http://www.amnesty.org.ru/web/web.nsf/32875f903347b75280257171005b696c/e1eb65133fa534ecc32571f400283e3f/\\$FILE/Report_Georgian.pdf](http://www.amnesty.org.ru/web/web.nsf/32875f903347b75280257171005b696c/e1eb65133fa534ecc32571f400283e3f/$FILE/Report_Georgian.pdf).

ოჯახში ძალადობის სელშემწყობი ფაქტორები	
კულტურული	გენდერ-სპეციფიური სოციალიზაცია;
	შესაბამისი სქესის ფუნქციების განსაზღვრა კულტურულ სისტემებში;
	ურთიერთობებში წინასწარ განსაზღვრული როლები;
	შენედლევა მამაკაცთათვის დამანასიათებელი უპირატესობის შესახებ;
	ფასეულობები, რომლებიც აძლევენ მამაკაცს საკუთრების უფლებას ქალებსა და გოგონებსზე;
	მოსაზრება, რომ ოჯახი არის მამაკაცის დაქვემდებარების ქვეშ არსებული კერძო სფერო;
	ქორწინების ჩვეულებები (პატარძალზე დაწესებული ფასი/ მზითვეი);
	ძალადობის, როგორც კონფლიქტის გადაჭრის მიღებული მეთოდი.
ეკონომიკური	ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე;
	ნაღდი ფულისა და კრედიტების შეზღუდული სელმისაწვდომობა;
	დისკრიმინაციული კანონმდებლობა მექვიდრეობისა და საკუთრების უფლებების საკითხებში;
	საერთო მიწების გამოყენება, ასევე განქორწინებისა და დაქვრივების შემდეგ;
	დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სექტორებში;
განათლებისა და სწავლების შეზღუდული შესაძლებლობები ქალებისათვის;	
იურიდიული	ქალების შედარებით დაბალი სამართლებრივი სტატუსი, არსებული კანონმდებლობის მისედევით ან რეალურად;
	კანონმდებლობა განქორწინების, ბავშვთა მეურვეობის, ზრუნვისა და მექვიდრეობის საკითხებში;
	გაუპატიურებისა და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი განმარტებები;
	ქალთა იურიდიული განათლების დაბალი დონე;
	პოლიციისა და სასამართლოს მხრიდან ქალებისა და გოგონებისადმი გულგრილი მოპყრობა;
პოლიტიკა	ქალთა შედარებით ნაკლები რაოდენობა პოლიტიკაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, იურიდიულ და სამედიცინო პროფესიებში;
	ოჯახში ძალადობა: არასერიოზული დამოკიდებულება;
	მოსაზრება ოჯახის, როგორც სასელმწიფო კონტროლის მიღმა არსებული კერძო სტრუქტურის შესახებ;
	„სტატუს-კვოს“ შეცვლის რისკი/რელიგიური კანონები;
	ქალთა, როგორც პოლიტიკური ძალის, ნაკლებად ორგანიზებულიობა;
	ქალთა შეზღუდული მონაწილეობა ორგანიზებულ პოლიტიკურ სისტემაში;
	გაეროს ბავშვთა ფონდი (წყარო: Heise, 1994)

საერთაშორისო სამართლის პრინციპები

ძალადობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხია. ძალადობა არის ადამიანის ძირითადი უფლებების ძალისმიერი შეზღუდვებით დარღვევა

ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“¹ (UDHR), რომელიც მიღებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ცნობს უფლებათა ორ ჯგუფს: ერთი მხრივ, მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს, და მეორე მხრივ – ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. დეკლარაცია არის „ყველა ერისა და ხალხისათვის საერთო მისაღწევი სტანდარტი“. დეკლარაცია არ არის სამართლებრივად სავალდებულო, მაგრამ ადამიანის უფლებების დაცვისა და განვითარებისათვის ის მაინც სერიოზული ინსტრუმენტია. საყოველთაო დეკლარაცია, შეიძლება ითქვას, აწესებს საერთო სტანდარტებს, რის მისაღწევადაც უნდა იმუშაოს თითოეულმა ადამიანმა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ. აღნიშნული დოკუმენტი იყო საწყისი წერტილი თანამედროვე ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და ადამიანის უფლებების მასობრივი მოძრაობისათვის.

¹ იხ: http://www.wprc.org.ge/georgian/indocuments/human_rights.pdf
იხ: <http://www.un.org/ru/documents/udhr/>
იხ: http://www.parliament.ge/files/648_11140_378564_2-geo.pdf


სახელმწიფოებმა, რომლებიც გახდნენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულების მხარეები, იკისრეს ვალდებულება, რომ უნივერსალურ საერთაშორისო ან რეგიონალურ ორგანოს მოახსენონ მათ იურისდიქციაში მყოფი ნებისმიერი პირისადმი მოპყრობის შესახებ.


ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლები მიუთითებენ, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევაა:


✎ **მუხლი 1.** ყველა ადამიანი თავისი ღირსებითა და უფლებებით თავისუფალი და თანასწორი იბადება. მათ მომადლებული აქვთ გონება, სინდისი და ერთმანეთს ძმობის სულისკვეთებით უნდა ეპყრობოდნენ.

✎ **მუხლი 2.** წინამდებარე დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ნებისმიერ ადამიანს განურჩევლად განსხვავებისა რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის საფუძველზე. უფრო მეტიც, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერიტორია დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი

თუ სხვაგვარად შეზღუდულია თავის სუვერენიტეტში.

 **მუსლი 3.** ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი სელშეუსებლობის უფლება.

 **მუსლი 5.** არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაჰუმანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასა და სასჯელს.

 **მუსლი 7.** ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, უფლება აქვს თანაბრად იყოს დაცული კანონით. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის საწინააღმდეგო ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციისკენ ნებისმიერი წაქეზებისგან.

დეკლარაციას ჰქონდა ორი ხარვეზი: პირველი, რომ არ იყო სავალდებულო და მეორე, რომ არ არსებობდა საზედამსჯელო ორგანო, რომელიც მონიტორინგს განასრულებდა. აღნიშნული ნაკლი აღმოიფხვრა მას შემდეგ, რაც 1966 წელს მიღებულ იქნა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი¹ და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტი.²

¹ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი პ/დ 25-01-1994.

² ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი პ/დ №25-01-1994 http://www.parliament.ge/files/648_11140_378564_2-geo.pdf

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ გაეროს დეკლარაცია (DEVAW) ასევე მოუწოდებს სახელმწიფოებს „განასრულებელთა ძალადობის ლიკვიდაციის პოლიტიკა ქალებთან მიმართებაში ყველა საშუალებით და დაუყოვნებლივ“, „მიიღონ აუცილებელი ზომები დანაშაულის აღსაკვეთად, გამოიძიონ ფაქტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად დასაჯონ ქალის მიმართ ძალადობის ჩამდენი დამნაშავე, იმის მიუხედავად, ჩადენილია დანაშაული კერძო პირის, თუ სახელმწიფო მოსხლის მიერ“.

აუცილებელი ძალისხმევების პრინციპი გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლოს მიერ ვალასკეს როდრიგესის საქმის განხილვისას. სასამართლომ მოსთხოვა სახელმწიფოს „მიეღო გონივრული ზომები ადამიანის უფლებების დარღვევის აღსაკვეთად ყველა არსებული საშუალებით, ჩაეტარებინა სერიოზული გამოძიება დანაშაულზე პასუხისმგებელ პირთა გამოსავლენად, დაეკისრებინა დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა და უზრუნველყო მსხვერპლი კომპენსაციით“.

დღესდღეობით, ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაციის გამო სასჯელი კანონის გათვალისწინებით ოჯახში ძალადობის ფაქტზე დანაშაულისათვის მსხვერპლის დასაცავად, უმეტეს შემთხვევაში, საკმარისი არ არის. სელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები ოჯახში ძალადობის ფაქტის ეფექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად და ამ დანაშაულის შესაბამისად დამნაშავის დასასჯელად.

ტრენერი მონაწილეებს გააცნობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, თუ როგორ აისახება ეს პრინციპები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებში; მონაწილეები გაეცნობიან, თუ როგორ სდება საერთაშორისო კონვენციების მიღება და როგორ აკონტროლებს საერთაშორისო საზოგადოება ამ კონვენციების შესრულებას. ტრენერი ესმარება მონაწილეებს საერთაშორისო ინსტრუმენტების იმპლემენტაციის სირთულეების გააზრებასა და იმ მიზეზების გარკვევაში, თუ რატომ რჩება ადამიანის უფლებები ზოგჯერ ილუზიური.


საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები


ქალთა მიმართ კერძო პირების მიერ ჩადენილი ძალადობის განხილვისას მსედველობაში უნდა მივიღოთ ადამიანის უფლებების მეცნიერთა და აქტივისტთა მიერ განვითარებული **სამი დოქტრინა**. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ სასელმწიფოები ვალდებულნი არიან გამოიჩინონ სათანადო ძალისხმევა, რათა თავიდან აიცილონ, გამოიძიონ და დასაჯონ დამნაშავე საერთაშორისო სამართლის დარღვევისათვის და მსხვერპლს გადაუსადონ სათანადო კომპენსაცია.

1. სათანადო ძალისხმევა – ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილება, გამოძიება და დასჯა, მიუსდებოდ იმისა, რომ ეს ქმედება ჩადენილია კერძო პირის თუ სასელმწიფო მოსელის მიერ.

1992 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა მიიღო **ზოგადი სასიათის რეკომენდაცია №19**,¹ რომელმაც დაადასტურა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევაა და საზი გაუსვა, რომ „სასელმწიფოებს შესაძლოა პასუხისმგებლობა დაეკისროთ კერძო პირების მოქმედებისთვის, თუ ისინი ვერ გამოიჩინენ სათანადო ძალისხმევას ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან აცილების, ფაქტის გამოძიებისა და დამნაშავეს დასჯისთვის, და ასევე, არ გადაუსდიან მსხვერპლს კომპენსაციას“.

კომიტეტმა სასელმწიფოებს რეკომენდაცია მისცა იმ ზომების გატარებასთან დაკავშირებით, რომელიც ძალადობისგან ქალთა ეფექტურ დაცვას უზრუნველყოფს:

 **ეფექტური სამართლებრივი ზომები:** სისსლის სამართლებრივი სანქცია, სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები და კომპენსაციის თაობაზე დებულება, რაც უზრუნველყოფს ქალთა დაცვას ნებისმიერი ძალადობისაგან – სექსუალური თავდასსმისა და სამსასურში სქესობრივი იძულებისგან, ოჯახში ძალადობისგან.

 **თავიდან აცილების ზომები,** მათ შორის საზოგადოების ინფორმირე-

¹ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია 19, ძალადობა ქალების მიმართ (მეთერთმეტე სესია 1992). ადამიანის უფლებათა სელმკრულებების ორგანოთა ზოგადი კომენტარებისა და ზოგადი რეკომენდაციების კრებული, გაეროს დოკუმენტები HRI/GEN/1/Rev.1 at 84 (1994).

ბისა და განათლების პროგრამები, რათა შეიცვალოს ქალისა და მამაკაცის როლსა და სტატუსთან დაკავშირებით დამოკიდებულება.



დაცვითი ზომები, მათ შორის თავშესაფრის მიცემა, რჩევა, რეაბილიტაციისა და დანშარების სამსახურები იმ ქალებისათვის, რომლებიც განიცდიან ძალადობას ან რისკის წინაშე დგანან.

2. კანონის წინაშე თანასწორობა – ეს არის სამართლის საერთო პრინციპი, რომელიც გულისხმობს კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობას და იმას, რომ ყველა ადამიანი ერთნაირად უნდა იყოს დაცული ყველა სახის დისკრიმინაციისგან, მათ შორის სექსუალური დისკრიმინაციისგანაც. ეს დოქტრინა დაკავშირებულია ერთნაირ დაცვასა და თანასწორობის პრინციპთან.

თუ ქალის დისკრიმინაციის ფაქტი აღმოჩნდება სამართალდამცავ ორგანოებში, შესაძლოა, რომ სასელმწიფოს დაეკისროს ვალდებულება საერთაშორისო სამართლის დარღვევისა და თანასწორობის პრინციპისათვის.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) მე-2 მუხლი მოითხოვს მხარე სასელმწიფოებისგან „ყველა შესატყვისი საშუალებით დაუყოვნებლივ განასორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის

პოლიტიკა“¹, რაც ასევე გულისხმობს ვალდებულებას „თავი შეიკავონ ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციული მოქმედების ან პრაქტიკისაგან, და სასელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების მოქმედება ამ ვალდებულების შესაბამისად უზრუნველყონ“; ასევე, „მიიღონ ყველა საჭირო ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომელიც ქალის დისკრიმინაციას აწესებს“.

3. ოჯახში ძალადობა, როგორც წამების ფორმა – სასელმწიფოები ვალდებული არიან დასჯადად გამოაცხადონ ოჯახში ძალადობა და განიხილონ ის როგორც წამების ფორმა. ამ შესედეულების მიმდევარნი ამტკიცებენ, რომ ოჯახში ძალადობა წამებაა და შესაბამისად უნდა მოგვარდეს. არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ სიმძიმესა და სასელმწიფოს ვალდებულებებზე დაყრდნობით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტისა და წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის შესახებ კონვენციის თანახმად, ოჯახში ძალადობა, შესაძლოა, განსილულ იქნას, როგორც წამება, სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი.

ამტკიცებენ, რომ ოჯახში ძალადობა მოიცავს ისეთ ოთხ ელემენტს, რომლის გამოც ის წამებას წარმოადგენს:

¹ იხ: http://www.unhchr.ch/html/menu3/b/opt_cedaw.htm

- ✎ ის იწვევს ძლიერ ფიზიკურ ან მორალურ ტანჯვას, იგი ჩადენილია: განზრახ;
- ✎ გარკვეული მიზნებისთვის;
- ✎ ოფიციალური პირების მიერ გარკვეული ფორმით, პასიური ან აქტიური ფორმით.

ამ არგუმენტის მსარდაბქერები მიიჩნევენ, რომ ოჯახში ძალადობა გაგებულ უნდა იქნას, როგორც წამების ფორმა და ნაკლები სიმძიმის შემთხვევაში, როგორც სასტიკი მოპყრობა. ეს შესედეულება იმსახურებს ყურადღებას, როგორც სპეციალური მომსხენებლისგან, ასევე იმ ორგანობისგან, რომლებიც იძიებენ ასეთ დარღვევებს, შესაძლოა, შესაფერის არასამთავრობო ორგანობებსა და იურისტებთან ერთად.

ამ ვალდებულებათა შესასრულებლად სასელმწიფოები იყენებენ სუთ მიდგომას:

1. **საკანონმდებლო** – შესაფერისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მიღება, რომლებიც შეესება ოჯახში ძალადობას. სსვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალადობასთან ბრძოლისთვის შესაფერისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა;
2. **ადმასრულებელი** – ისეთი მექანიზმების დაწესება, რომელიც შესაძლებელს ხდის კანონების აღსრულებას და სამართლებრივ გარანტიებს გახდის ეფექტურს და არა ილუზიურსა და თეორიულს;
3. **მსხვერპლთა დაცვის დაწესებულებების დაარსება** – სასელმწიფოები ვალდებულნი არიან ისე გაანაწი-

ლონ ფინანსები, რომ დააარსონ დაწესებულებები, რომლებიც უკვე მსხვერპლთ დაცემარებიან და თავიდან აიცილებენ სელახლა მსხვერპლად ქცევას;

4. **ცნობიერების ამაღლების კამპანია** – სპეციალური პროგრამების, ტრენინგების, სამუშაო შესვედრების ჩატარება, რომელიც მიაწვდის ადამიანებს ინფორმაციას საშიშროების და „თავდაცვის“ მექანიზმების შესახებ;
5. **საზოგადოებრივი დაგმობა** – სელი შეუწყოს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც საზოგადოება თავად დაგმობს ოჯახში ძალადობის ფაქტებს – ე.წ. „შეუწყნარებლობა“.

4.3 პრაქტიკული ინფორმაცია

დეკლარაციის განმარტება

„დეკლარაცია“ გამოიყენება მრავალი საერთაშორისო ინსტრუმენტის მიმართ, თუმცა დეკლარაციები ყოველთვის არ არის სამართალსაუვალდებულო. ამ ტერმინს სშირად ირჩევენ რათა მიანიშნონ, რომ მსარეები მიზნად არ ისახავენ იურიდიული ძალის მქონე ვალდებულების შექმნას, არამედ, უბრალოდ, სურთ ცალკეული მისწრაფებების გაცხადება. უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია დეკლარაციაში, სრული სამართლებლივი ძალა რომ ჰქონდეს, უნდა იყოს დაწერილი კონვენციების სასელწოდებით ცნობილ დოკუმენტებში

(ასევე მათ უწოდებენ სელშეკრულებებსა და პაქტებს), რომელნიც აფუძნებენ საერთაშორისო ნორმებს. როდესაც მთავრობა ხელს აწერს კონვენციას ის ხდება სამართლებრივად ვალდებული, რომ დაიცვას ეს სტანდარტები.

კონვენციის განმარტება

კონვენცია სავალდებულო ძალის მქონე შეთანხმებაა მხარეებს შორის, რომელიც აგრეთვე გამოიყენება პაქტის და სელშეკრულების სახელწოდებით. კონვენციები უფრო ძლიერია, ვიდრე დეკლარაციები, რადგან ისინი მთავრობებისთვის სამართლებრივად სავალდებულოა. ამ დოკუმენტზე ხელმოწერა სახელმწიფოსთვის კონვენციის დებულებათა სავალდებულოდ განდომის პირველი ნაბიჯია.

მთავრობის მოთხოვნით ხელმოწერის დროს ისინი აგრეთვე თანხმდებიან, რომ თავი შეიკავონ კონვენციის საწინააღმდეგო ქმედებებისგან. იმისათვის, რომ სახელმწიფოს დაეკისროს პასუხისმგებლობა კონვენციის დებულებების შესასრულებლად, მართო კონვენციაზე ხელმოწერა საკმარისი არ არის. კონვენციათა უმრავლესობა მოითხოვს სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან დამტკიცებას (მიღებას ანუ რატიფიცირებას).

კონვენციის რატიფიცირების შემდეგ მხარე სახელმწიფო პასუხისმგებელია საერთაშორისო საზოგადოების წინაშე მისი იმპლემენტაციისათვის. იგი იღებს ვალდებულე-

ბას, რომ მისი ეროვნული კანონმდებლობა კონვენციასთან შესაბამისობაში იყოს. აგრეთვე, არსებობს პროცესი, რომლითაც წევრ ქვეყანას შეუძლია კონვენციის რატიფიცირება და დათქმის გაკეთება სპეციფიურ მუხლებზე. რატიფიცირება სელშეკრულებას აძლევს იურიდიულ ძალას.

საერთაშორისო საზედამხედველო ორგანო აკონტროლებს სახელმწიფოს მიერ კონვენციის შესრულებას მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოხსენებების (ანგარიშების) საშუალებით. ამ ანგარიშების შესაბამისი ნაწილები ეგზავნებათ გაეროს სპეციალიზებულ სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებს (როგორცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია) შესამოწმებლად და რეკომენდაციების მისაცემად.

ეს პროცესი აჩვენებს, რომ საერთაშორისო საზოგადოება, როგორც მთლიანობა, აკისრებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობებს და აკონტროლებს მათ შესრულებას. კონვენცია აწესებს სტანდარტებს ეროვნული კანონმდებლობისთვის და სახელმწიფოს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულს ხდის. მთავრობები, რომლებიც არღვევენ კონვენციაში მოცემულ სტანდარტებს შესაძლებელია გაკრიტიკებულ იქნან გაეროს მიერ.

წვერი სახელმწიფოებისათვის კონვენცია მოქმედებს იწყებს მაშინ, როდესაც წვერი ქვეყნების გარკვეული რაოდენობა მას მიიღებს მაგ., სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტი მიღებულია 1966 წელს; თუმცა ისინი ძალაში მხოლოდ 1976 წელს შევიდა, როდესაც 35 წვერი ქვეყნის მიერ იქნა რატიფიცირებული. საქართველოს პარლამენტის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი¹ და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტი რატიფიცირებულია 25.01.1994 წელს².

კონვენცია შედგება არა მხოლოდ უფლებათა ჩამონათვალისაგან, არამედ მასში ასახულია კონტროლის და მონიტორინგის მექანიზმები. მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების პროცედურა იმისთვისაა, რომ ნათელი იყოს, თუ როგორ ასრულებენ მას წვერი ქვეყნები, მთავრობები, რომლებმაც მოახდინეს ამ დოკუმენტების რატიფიცირება.

ხელშეკრულებები ითვალისწინებენ დამოუკიდებელი ექსპერტების ორგანოს შექმნას, რომელიც თვალყურს ადევნებს მთავრობის მხრიდან ხელშეკრულების შესრულებას. სამოქალაქო და პოლიტიკურ საერთაშორისო პაქტის თანახმად შეიქმნა ადამიანის უფლებების კომიტეტი, რომელიც შედგება წვერი სახელმწიფოების 18 დამოუკიდებელი

ბელი ექსპერტისაგან (კომიტეტი არ არის სასამართლო ორგანო, ის კვანძი იურიდიული ორგანოა, რომლის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაგრამ სახელმწიფოები, უმრავლეს შემთხვევაში, ასრულებენ). კომიტეტი ამოწმებს იმ სახელმწიფოთა ანგარიშს, რომლებმაც ამ ხელშეკრულებაზე მოაწერეს ხელი და გამოთქვამს კონკრეტულ რეკომენდაციებს ანგარიშზე. კომიტეტმა, აგრეთვე, შესაძლებელია მხედველობაში მიიღოს ერთი წვერი სახელმწიფოს მიერ გამოთქმული უკმაყოფილება მეორე წვერი სახელმწიფოს ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, ფაკულტატური ოქმი (საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 25.01.1994 წელს) უზრუნველყოფს საჩივრის აღძვრის პროცედურას, რომლის მიხედვით პიროვნებებს აქვთ შესაძლებლობა გამოთქვან უკმაყოფილება თავისი მთავრობის მიმართ, რომელიც მოსმენილი იქნება საერთაშორისო ფორუმზე.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია (DEVAW) ადგენს, რომ სახელმწიფოებმა ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთისთვის ზომების მიღებისას „უნდა დაგმონ ქალთა მიმართ ძალადობა. დაუშვებელია რაიმე ჩვეულების, ტრადიციისა და რელიგიური შესუფუძვლების მოსმობა ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების მიზნით“.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება განახორციელონ მოქმედებები კანონმდებლობის გაძლიერების

¹ ის: http://www.parliament.ge/files/1359_21958_776138_gaertianebuli.pdf

² ის: http://www.parliament.ge/files/543_7339_179760_543_7339_450402_1994.doc

მიზნით და მიიღონ ახალი კანონები, ბევრი მათგანი ამას არ აკეთებს. უნდა აღინიშნოს, რომ სასელმწიფოებს აქვთ პასუხისმგებლობა უზრუნველყონ ქალთა საკმარისი დაცვა, რათა მათ შეძლონ ძალადობის ფაქტის გაცხადება.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ან შემცირების მიზნით სასელმწიფოთა მიერ გასატარებელი ღონისძიებები მოიცავს:

- ✎ ძალადობასთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობის გადასინჯვას;
- ✎ პოლიციისა და სასამართლო სექტორების უფლებების წარმომადგენლებისთვის, ექიმებისა და სოციალური მუშაებისთვის გენდერული მგრძობელობის ასამაღლებელი ტრენინგების უზრუნველყოფას, რათა მათ შეძლონ ქალთა მიმართ ძალადობის შეცნობა;
- ✎ თავშესაფარის დაწესებას, სადაც ქალებს დაიფარავენ ძალადობისგან.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია¹ (CEDAW) მიღებულ იქნა 1978 წლის 18 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განერალური ასამბლეის მიერ და ის სწორად განისილება, როგორც ქალთა უფლებების საერთაშორისო ბილი. კონ-

ვენცია, როგორც საერთაშორისო სელმწიფოება, ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც მეოცე სასელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული. კონვენციის რატიფიცირება 170 სასელმწიფომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა 90% მოახდინა. (საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა პ/დ 22-09-1994 წელს).²

კონვენცია იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა სტატუსის კომისიის სამუშაოს დაგვირგვინება, რომელიც ოცდაათ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. აღნიშნული ორგანო 1946 წელს დაარსდა ქალთა მდგომარეობის მონიტორინგისა და ქალთა უფლებების მხარდაჭერის მიზნით. კომისიის მუშაობამ ქმედითი როლი შეასრულა, რათა ნათელი მოეფინა ყველა იმ სფეროსთვის, რომლებშიც ქალს მამაკაცთან თანაბარი უფლებები არ ჰქონდა მინიჭებული. ქალთა წინსვლისთვის გაწეული ამ ძალისხმევის შემდეგ იყო რამდენიმე დეკლარაცია და კონვენცია, რომელთაგან კონვენცია – „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ – უმთავრესი და ყველაზე მრავლისმომცველი დოკუმენტია.

კონვენციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სელმწიფოებებს შორის. ის ყურადღებას ამახვილებს ქალთა უფლებებზე, რომლებიც მოსახლეობის ნახევარს შეადგენს. კონვენციის არსი გაერთიანებული ერების

¹ ის: http://www.wprc.org.ge/georgian/indocuments/cedaw_geo.pdf
ის: <http://www.unhchr.ch/html/menu3/b/e1cedaw.htm>

² ის: http://www.parliament.ge/files/543_7339_179760_543_7339_450402_1994.doc

ორგანიზაციის მიზნებს ეფუძნება, რაც გულისხმობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მიმართ რწმენის განმტკიცებას. აღნიშნული დოკუმენტი თანასწორობის არსსა და მისი მიღწევის საშუალებებს განმარტავს. ამ სახით, კონვენცია წარმოადგენს არა მხოლოდ ქალთა უფლებების საერთაშორისო ბილს, არამედ, აღნიშნულ უფლებათა განსასორციელებლად ქვეყნებისთვის სამოქმედო გეგმასაც.

კონვენციის განსორციელების მონიტორინგი სორციელდება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ. კომიტეტის მანდატი და სელშეკრულების განსორციელება განსაზღვრულია კონვენციის 17–30 მუხლებით. კომიტეტი შედგება მთავრობების მიერ დასახელებული 23 ექსპერტისაგან, რომლებიც არჩეულნი არიან მონაწილე სახელმწიფოთა მიერ, როგორც „მაღალი მორალური თვისებების მქონე და კონვენციაში განხილულ საკითხებში კომპეტენტური“ პიროვნებები. მონაწილე სახელმწიფოებს მინიმუმ ოთხ წელიწადში ერთხელ მოეთხოვებათ, რომ კომიტეტს წარუდგინონ ეროვნული ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება კონვენციის პირობების განსასორციელებლად მათ მიერ გატარებული ღონისძიებები.

ყოველწლიური სესიის განმავლობაში კომიტეტის წევრები განიხილავენ ანგარიშებს მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად და იკვლევენ სფეროებს შემდგომი საქმიანობისათვის კონკრეტული ქვეყნების მიხედვით. კომიტეტი ასევე აძლევს ზოგად რეკომენდაციებს მონაწილე სახელმწიფო-

ებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებზე.

ქვეყნებს, რომლებმაც კონვენცია მიიღეს ან მიუერთდნენ მას, აკისრიათ სამართლებრივი ვალდებულება მისი პირობების პრაქტიკაში გატარებისათვის.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის რატიფიცირებაზე დათქმა უფრო მეტ ქვეყანას აქვს გაკეთებული, ვიდრე სხვა სახის ადამიანის უფლებათა სელშეკრულებაზე.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები (ამონარიდი)

*ადამიანის უფლებათა კომიტეტი,
ოთხმოცდამეთერთმეტე სხდომა*

*(უენევა, 2007 წლის
15 ოქტომბერი – 2 ნოემბერი)¹*

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის მე-40 მუხლის შესაბამისად მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა.

კომიტეტი მიესალმება რა 2006 წლის მაისში „ოჯასში ძალადობის აღკვეთის, ოჯასში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მიღებას, გამოთქვამს შეშფოთებას საქართველოში ძალადობის და, კერძოდ, ოჯასში ძალადობის მსხვერპლ ქალთა მნიშვნელოვანი რაოდენ-

¹ www.ungeorgia.ge/userfiles/files/CO.Ge.pdf

ნობის არსებობის გამო, ასევე იმის გამო, რომ მსხვერპლთა დასაცავად დღეისათვის განკუთვნილი ზომები და სამსახურები არ არის საკმარისი. კომიტეტი სინანულით აღნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფოს მიანიჭა, რომ პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრების მოწყობაზე ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციებს აკისრიათ და ამასთანავე არ გამოყოფს მათთვის სათანადო დაფინანსებას (მე-3, 23-ე და 26-ე მუხლები).

მონაწილე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს გადაუდებელი ღონისძიებები 2006 წლის კანონის შესასრულებლად, მათ შორის:

ა) შემოიღოს მექანიზმი ოჯახში ძალადობის შემთხვევათა შესახებ კლასიფიცირებული (დენაგრეგირებული) მონაცემების შესაგროვებლად; ეს უნდა იყოს მონაცემები მსხვერპლთა და მოძალადეთა სქესის, ასაკისა და ოჯახური ურთიერთობის შესახებ, ასევე ჩატარებული გამოძიებებისა და სამართლებრივი დევნის შესახებ. ეს ინფორმაცია საჯარო უნდა გახდეს;

ბ) სასწრაფოდ გამოიძიოს ოჯახში ძალადობასთან და ქალების მიმართ ძალადობის სხვა აქტებთან (როგორც არის საცოლის მოტაცება და გაუპატიურება) დაკავშირებული საჩივრები და განხორციელდეს სისსლისსამართლებრივი დევნა მოძალადეთა წინააღმდეგ;

და

გ) განახორციელოს ყველა აუცილებელი ღონისძიება, რათა დაიცვას ოჯახში ძალად-

ობის მსხვერპლნი, მათ შორის, დააარსოს საჭირო რაოდენობით სათანადო თავშესაფრები მთელ ქვეყანაში.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთოევროპული კამპანიის წამოწყება

ევროპის საბჭოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია ადამიანის უფლებების დაცვა და ცნოვრებაში მათი განხორციელება. ქალების მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახში ძალადობა, ძირს უთხრის იმ ძირითად ფასეულობებს, რომლებსაც ევროპის საბჭო ემყარება. ევროპის საბჭომ, კერძოდ კი, მისმა ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის საორგანიზაციო კომიტეტმა, წამოიწყო მთელი რიგი ინიციატივები ძალადობისგან ქალების დაცვის ხელშეწყობის მიზნით. 1993 წელს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის საკითხებზე ჩატარებული ევროპულ მინისტრთა მე-3 კონფერენცია მიემდგნა მედიითა და სხვა საშუალებებით საზოგადოებაში ქალების მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად სტრატეგიის შემუშავებას. 1997 წელს, ევროპულ მინისტრთა მე-3 კონფერენციის რეკომენდაციების შესრულების პროცესში, შემუშავდა სამოქმედო გეგმა ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მიზნად ისახავდა სტრატეგიული ბაზის უზრუნველყოფას წევრ სახელმწიფოთა ხელისუფლებებისთვის. სამოქმედო გეგმას 2002 წლის აპრილში მოჰყვა ძალადობისგან ქალების

დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის №Rec (2002)5 რეკომენდაციის მიღება.¹ ეს პირველი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც გვთავაზობს მსოფლიო მასშტაბის სტრატეგიას ძალადობის თავიდან ასაცილებლად, მსხვერპლთა დასაცავად და ვრცელდება სქესის ნიშნით ძალადობის ყველა ფორმაზე. რეკომენდაცია მოუწოდებს მთავრობებს მიაწოდონ ევროპის საბჭოს ინფორმაცია მათ მიერ ქალების მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად განსორციელებული ღონისძიებების შესახებ. ამისათვის, 2005 წელს ჩამოყალიბდა მონიტორინგის სისტემა ამ სფეროში პროგრესის შესაფასებლად და დაეგზავნა წევრ სახელმწიფოებს. ამ სისტემის შეჯამება მოცემულია 2006 წლის განათხვავებულ გამოქვეყნებულ დოკუმენტში „ქალების მიმართ ძალადობასთან ბრძოლა – ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში განსორციელებული ღონისძიებების ანალიზი“.² ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ვალდებულების დასადასტურებლად ევროპის საბჭოს სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებმა მესამე სამიტზე (ვარშავა, 2005 წლის 16-17 მაისი) მიიღეს სამოქმედო გეგმა.³

გეგმა გულისხმობს ორ კონკრეტულ ღონისძიებას ქალების მიმართ ძალადობის,

მათ შორის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად:

✎ ქალების მიმართ ძალადობის მათ შორის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებას წევრი სახელმწიფოების მიერ ამ სფეროში მიღწეული წინსვლის შესაფასებლად და მექანიზმების შემოღებას საერთოევროპულ დონეზე მიღწევების შესაფასებლად სამოქმედო წინადადებების შემუშავების მიზნით;

✎ ქალების მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთოევროპული კამპანიის წარმართვას სხვა ევროპულ და სახელმწიფო ორგანიზაციებთან, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. სამოქმედო გეგმის შესაბამისად 2006 წლის დასაწყისში ქალების მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის სფეროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდა რვა საერთაშორისო ექსპერტი. გარდა წევრი სახელმწიფოების მიერ ამ სფეროში მიღწეული წინსვლისა და მიღწევების შესაფასებლად მექანიზმების შემოღებისა, სამუშაო ჯგუფმა მოამზადა ევროპის საბჭოს ქალების მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის პროექტი. პროექტი ევრო-

¹ იხ: <http://portal.coe.ge/downloads/violence/Fact%20Sheet.pdf>

² იხ: <http://portal.coe.int/stopviolence/intergov>

³ იხ: <http://www.coe.int/stopviolence/intergovma>,

პის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2006 წლის 21 ივნისს დაამტკიცა. იგი კამპანიის განხორციელების სა-
სწავლამდგანელო იქნება.

მიუხედავად Rec (2002)5 რეკომენდაციის და-
ნართში¹ მოცემული განმარტებისა ტერმი-
ნი „ქალების მიმართ ძალადობა“ გაგებულ
უნდა იქნას, როგორც სქესის ნიშნით ძალა-
დობის ნებისმიერი აქტი, რომელიც იწვევს
ან შესაძლოა გამოიწვიოს ქალებისათვის
ფიზიკური, სექსუალური თუ ფსიქოლოგიუ-
რი ზიანი ან ტანჯვა.

ძალადობაში იგულისხმება ამგვარი აქტე-
ბით *მუქარა, იძულება ან თავისუფლების*
თვითნებური წართმევა სასოგადოებრივ თუ
პირად ცხოვრებაში, იგულისხმება, აგრეთვე,
„ძალადობა ოჯახში“, მათ შორის ფიზიკუ-
რი და მორალური აგრესია, ემოციური და
ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა, გაუპატიუ-
რება და სექსუალური ძალადობა, ინცენტი
(აღრევა, სქესობრივი კავშირი უახლოეს ნა-
თესავეებს შორის), მეუღლის, რეგულარული
თუ შემთხვევითი პარტნიორის გაუპატიუ-
რება, ღირსების სახელით ჩადენილი და-
ნაშაული, ქალთა სქესობრივი ორგანოების
დამაზინჯება და სქესობრივი აქტის დროს
ტკივილის მიყენება, ასევე, ქალებისათვის
მავნებელი სხვა ტრადიციული პრაქტიკა,
როგორცაა ძალდატანებითი ქორწინება.

ქალების მიმართ ძალადობა, მათ შორის
ოჯახში ძალადობა, სქესის საფუძველზე

აღამიანის უფლებების დარღვევის ერთ-
ერთი ყველაზე უფრო სერიოზული ფორ-
მაა. იგი ართმევს ქალს შესაძლებლობას
ისარგებლოს ძირითადი თავისუფლებებით.
სქესის გამო ქალების ფიზიკური, სექსუა-
ლური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა
ოჯახში თუ ახლობლურ ურთიერთობაში,
ქალების მიმართ ძალადობა, ქალებსა და
მამაკაცებს შორის თანასწორობისთვის სე-
რიოზული დაბრკოლებაა. მიუხედავად პო-
ლიტიკასა და პრაქტიკაში განვითარებული
პოზიტიური მოვლენებისა, ქალების მიმართ
ძალადობის სხვადასხვა ფორმა ჯერ კი-
დეც ფართოდაა გავრცელებული ევროპის
საბჭოს წევრი სახელმწიფოების სასოგა-
დოებათა ყველა დონეზე. ქალების მიმართ
ძალადობის ამსახველი ციფრები გვაძლევს
საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ყველა
ქალს ერთი მესუთედებიდან ერთ მეოთხედამ-
დე ზრდასრული სიცოცხლის განმავლობა-
ში ერთხელ მაინც გამოუცდია ფიზიკური
ძალადობა, ხოლო ერთ მეათედზე მეტს
გამოუცდია სექსუალური ძალადობა ფი-
ზიკური ძალის გამოყენებით. დამატებითი
მონაცემების ანალიზის მიხედვით ქალების
დაახლოებით 12%-15%-ზე 16 წლის ასა-
კის შემდეგ განხორციელებულა ძალადობა
ოჯახში. მრავალი ქალი განიცდის ფიზი-
კურ და სექსუალურ ძალადობას ყოფილი
პარტნიორებისგან მასთან დაშორების შემ-
დეგაც კი².

1 <http://portal.coe.ge/downloads/violence/Campaign%20blueprint.pdf>

2 <http://portal.coe.ge/downloads/violence/Fact%20Sheet.pdf>

კამპანიის ამოცანები:

კამპანიის პროექტი, რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს №Rec (2002) 5 რეკომენდაციაში მითითებული ყველა ღონისძიების განსორციელებისთვის მაღალი პოლიტიკური ნების გამოვლენას, განსაზღვრავს მის **ოთხ თემატურ სფეროს:**

- ✎ საკანონმდებლო და სტრატეგიული ზომები;
- ✎ მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა და მათი დაცვა;
- ✎ მონაცემთა შეგროვება;
- ✎ საზოგადოებაში ცოდნის დონის ამაღლება.

კამპანიის პროექტი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს კამპანიის მსვლელობის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიონ ამ სფეროში. ამისათვის მათ სთავაზობენ შეაფასონ საკუთარი მიდგომა ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის მიმართ და დაადგინონ ნებისმიერი ნაკლოვანებები, რომლებიც უნდა გამოსწორდეს შესატყვისი ღონისძიებების განსორციელებით.

კამპანიის „მესიჯები“

კამპანია მიზნად ისახავს შემდეგი ოთხი „მესიჯის“ გავრცელებას:

- ✎ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა საზოგადოების გაერთიანებულ ძალისხმევას საჭიროებს;

- ✎ ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევაა;
- ✎ ოჯახში ძალადობა სერიოზულად ვნებს ქალებს და ზიანს აყენებს მთლიანად საზოგადოებას, მათ შორის მომავალ თაობებსაც;
- ✎ ოჯახში ძალადობის საკითხი საჭიროებს ქალების მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში მამაკაცების აქტიურ მონაწილეობას.

კამპანიის განსორციელება


კამპანია შედგება სამი ასპექტისაგან: სამთავრობოთაშორისო, საპარლამენტო და ადგილობრივი და რეგიონული. მას ანორციელებს ევროპის საბჭო და მისი წევრი სახელმწიფოები, ძალადობისგან ქალების დაცვაში ჩართულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით.

ევროპის საბჭო

ევროპის საბჭოს სხვადასხვა უწყება ანორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ✎ სემინარების ჩატარება რეგიონებში ინფორმაციის გავრცელებისა და ცოდნის დონის ასამაღლებლად;
- ✎ წევრ სახელმწიფოთა ეროვნული კოორდინატორების შესვენებების ჩატარება;
- ✎ ღონისძიებების ჩატარება, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ წევრ სახელმწიფოთა პარლამენ-

ტები სლოგანით: „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანებული პარლამენტები“;

 ღონისძიების ჩატარება, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის ორგანოთა კონგრესი.

წვერი სახელმწიფოები

კამპანიის მსვლელობისთვის წვერ სახელმწიფოებს მოუწოდებენ განასორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

დანიშნონ მაღალი რანგის თანამდებობის პირები (უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირი მთავრობაში, რომელსაც ესება გენდერული თანასწორობის საკითხი) და ეროვნული კოორდინატორი (საშუალო დონის საჯარო მოხელე) ევროპის საბჭოს კამპანიისა და სახელმწიფო მასშტაბის კამპანიების წარმართვის მიზნით;

წამოიწყონ სახელმწიფო მასშტაბის კამპანიები ევროპის საბჭოს კამპანიის პარალელურად ან მისი გაგრძელების სახით, რომლებიც მიზნად დაისახავს ქვეყანაში არსებული სიტუაციის შეფასებასა და კამპანიის პროექტზე დაყრდნობით კონკრეტული ამოცანების განსაზღვრას;

კამპანიის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებისა და მიღწევების შესახებ ანგარიში ჩააბარონ ქალების მიმართ ძალადობის,

მათ შორის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილ ევროპის საბჭოს სამუშაო ჯგუფს.

საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები

განსაზღვრავენ თანამშრომლობის სფეროებს ღონისძიებების ერთმანეთთან დასაკავშირებლად და ერთიანი შედეგის მისაღებად.

არასამთავრობო ორგანიზაციები

ევროპის საბჭო მჭიდროდ ითანამშრომლებს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კამპანიის დაწყება და სანგრძლივობა

კამპანია დაიწყო 2006 წლის 27 ნოემბერს მადრიდში გამართული მაღალი დონის კონფერენციის მსვლელობისას და 2008 წლის მარტში დასრულდა.

სახელმწიფო ვალდებულებები

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობა გლობალური პრობლემაა, რომელმაც დაა-

ავადა ყველა სექტორი, კლასი, კულტურული და ეკონომიკური სტატუსი და მის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ეფექტური ზომების მიღება, არც საერთაშორისო და არც ეროვნულ სამართალს არ შეუძლია დაარეგულიროს ეს პრობლემა.

საქართველოში 90-იანი წლების ბოლოს ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიუზაციის შემდეგ და პარლამენტის სპიკერთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს ინიციატივით გადაიდგა პირველი ნაბიჯები ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის. 2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“¹. კანონში მოცემულია ოჯახში ძალადობის განმარტება და მოყვანილია სახელმწიფო მექანიზმები, რომლებიც იცავს მსხვერპლს მოძალადისგან. მაგალითად, შემოტანილ იქნა დამცავი და შემაკავებელი ორდერი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პოლიციასა და სასამართლოს სწრაფად მოახდინოს რეაგირება ოჯახში ძალადობის ფაქტზე, ესმარება მსხვერპლს და ზღუდავს მოძალადის ქმედებებს. თუმცა, დღემდე კანონი სრულფასოვნად ვერ მოქმედებს, მაგალითად, 2008 წლის 1 იანვარს უნდა გასსნილიყო სარეაბილიტაციო ცენტრი მოძალადეთა დროებითი განთავსებისათვის, სადაც მათ აღმოუჩენდნენ ფსიქოლოგიურ დახმარებას,

მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტში არ იქნა გათვალისწინებული ამ ღონისძიებათა დაფინანსება.

შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხზე დუმს საერთაშორისო სამართალი – არ არსებობს საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ეხება უშუალოდ ოჯახში ძალადობას. ასეთი გათვალისწინებლობა საერთაშორისო სამართალში აისახება ეროვნულ დონეზეც, როდესაც ხელისუფლება სწორად არც კი აღიარებს ოჯახში ძალადობას, როგორც დანაშაულს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ საერთაშორისო სამართალი აყოფნებს სახელმწიფოებისთვის ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ვალდებულებების დაწესებას? ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითია. საერთაშორისო სამართალი აღიარებს პრობლემის არსებობას, მაგრამ პოლიტიკური ნების არარსებობა ხელს უშლის სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტის მიღებას (კონვენციის მიღება იგეგმება).

ნათელია, რომ საერთაშორისო სამართალი საკმარისად არ არეგულირებს ოჯახში ძალადობას, მაგრამ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლისათვის შეიძლება ზოგადი სასიათის საერთაშორისო კონვენციების გამოყენება ანალოგიით. ეს განსაკუთრებით მაშინაა შესაძლებელი, როდესაც სახელმწიფოთა ვალდებულებასზე ვსაუბრობთ, რადგანაც ინდივიდის უფლებას, ცხოვრობდეს პიროვნული უსაფრთხოების ატმოსფეროში, შიშის გარეშე, თან ახლავს სახელმწიფოთა ვალდებულება დაიცვას პირი ძალადობისგან, სადაც არ უნდა სდებოდეს

¹ http://intranet.parliament.ge/index.php?kan_det=det&kan_id=1889&lang_id=GEO&sec_id=69

იგი, და განსაკუთრებით, თუკი ძალადობა სდება ოჯახში.

მრავალ ქვეყანას აქვს კანონმდებლობა ძალადობის სწავდასწავა ფორმებთან ბრძოლისათვის. თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუცია განსაზღვრავს იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც ამ ქვეყანაში ადამიანებს გააჩნიათ. კონსტიტუციები ასევე შეიძლება განსაზღვრავდეს **სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ამ უფლებების პატივისცემისა და უზრუნველყოფისათვის.** სამწუხაროდ, ასეთი კანონები ყოველთვის ან არ არსებობენ, ან ყოველთვის ეფექტურად არ სდება მათი აღსრულება, ან არ ფარავენ ძალადობის ყველა ფორმას.

1995 წლის აგვისტოში ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს კონსტიტუცია.¹ მან ახალი სიტყვა თქვა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე, განსაზღვრა ადამიანის უფლებების პრიმატი სახელმწიფოში და როგორც ეს გამოცდილ დასავლურ დემოკრატიებშია მიღებული, სახელმწიფო დაავალდებულია პასუხისმგებლობით თითოეული მოქალაქის წინაშე.

კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად „სახელმწიფო იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს“. საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს ადამიანის უფლებების ცალკე II თავს, სადაც დაფიქსირებულია

ლია და აღიარებულია ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ანუ ის შეიცავს ქართულ „უფლებათა ბილს“.

კონსტიტუცია ნაწილად უსვამს ყველა სფეროში თანასწორობას და კრძალავს დისკრიმინაციას, ასევე, წარმოაჩენს თუ როგორია სახელმწიფოს სედეა ოჯახთან, როგორც ერთობასთან დაკავშირებით, აცხადებს რა მის სასიცოცხლო მნიშვნელობას და აწესებს ოჯახის დაცვის ვალდებულებას. ეს დებულებები სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენს სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისათვის.

✎ **მუხლი 14.** ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

✎ **მუხლი 15.** სიცოცხლე ადამიანის სულშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

✎ **მუხლი 16.** ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

✎ **მუხლი 17.** ადამიანის პატივი და ღირსება სულშეუვალია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. დაუშ-

¹ http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=23

ვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.



მუსლი 36. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. სასელმწიფო სელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.



მუსლი 39. საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

საქართველოს კონსტიტუცია ასახავს ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტრუმენტების პრინციპებსა და სტანდარტებს. ის არეგულირებს საერთაშორისო და ეროვნულ სამართლის საკითხებს და აცხადებს საერთაშორისო სამართლის პრიმატს. კონსტიტუციის მე-6 მუსლის მე-2 პუნქტის თანახმად „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო სელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასასელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. ამგვარი ჩანაწერი

კონსტიტუციაში ქმნის ძალიან სელსაყრელ პირობას კონვენციის მოთხოვნათა ცსოვრებაში გასატარებლად. პარლამენტის მიერ რატიფიცირებული კონვენცია სდება ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი და სხვა შიდასასელმწიფოებრივი კანონების მიმართ უპირატეს ძალას იძენს, რაც ნიშნავს, რომ საკანონმდებლო აქტი, რომელიც არ შეესაბამება კონვენციის ნორმებს, კანონმდებლობით დაცული მექანიზმების ამოქმედებისას ბათილად იცნობა. ამგვარი მიდგომა საერთაშორისო აქტების მიმართ ე.წ. „აბსოლუტური მიდგომით“ არის ცნობილი.

სამოქმედო გეგმების მოკლე ექსკურსი

1999 წელს პრეზიდენტის მიერ მიღებულ იქნა ბრძანებულება¹ №511 „საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“. ეს არის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც რეკომენდაციას აძლევს და ავალდებულებს სამთავრობო სტრუქტურებს მოამზადონ ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი სამოქმედო გეგმა. ბრძანებულება მიმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სელშეკრულებებისა და პეკინის სამოქმედო გეგმას და ასახავს ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სამომავლო ქმედებას.

¹ <http://www.wprc.org.ge/georgian/indocuments/003.pdf>

პრეზიდენტის ბრძანებულება №511

„საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე“, 1999 წ.

დებულება 3 რეკომენდაციას აძლევს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფის სახელმწიფო კომისიას მოამზადოს ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის სამწლიანი გეგმა. ამ გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას კრიზის-ცენტრებისა და საკონსულტაციო სამსახურების შექმნა, ასევე, მსხვერპლთა რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება.

დებულება 4 ავალდებულებს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გენერალურ პროკურატურას მთელი ქვეყნის მასშტაბით მოაგროვონ ოჯახში ძალადობის შესახებ მონაცემები.

იგივე მიდგომაა გამოვლენილი პრეზიდენტის 2000 წლის №64 ბრძანებულებაში – „ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“. ეს ბრძანებულება განსაზღვრავს მისაღწევ მიზანსა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის სტრატეგიას. ეს არის კომპლექსური გეგმა, რომელიც უნდა განხორციელდეს სწავლასა და სამთავრობო უწყებების მიერ 2000-2002 წლებში.

პრეზიდენტის 2000 წლის №64 ბრძანებულებაში „ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

დებულება 1 ავალდებულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, სასახლსო დამცველის ოფისს – მოაგროვონ ქვეყნის მასშტაბით ოჯახური ძალადობის თაობაზე მონაცემები;

დებულება 2 ავალდებულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, საქართველოს პარლამენტს სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ საქართველოს კანონმდებლობა პეკინის სამოქმედო პლატფორმასთან და საკანონმდებლო წესით გამოაცხადონ ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევად.

დებულება 3 ავალდებულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, განათლების სამინისტროს მიიღონ ზომები, რათა საზოგადოებამ გააცნობიეროს, რომ ქალთა მიმართ საზოგადოებაში თუ ოჯახში ჩადენილი ძალადობა, არის დანაშაული და ისჯება.

საქართველოს მთავრობის განკარგულება №406¹

30 ივლისი, 2007

ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნის, არსებული სარეგულაციური ადმინისტრაციის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საინფორმაციო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისა და მსხვერპლთა რეაბილიტაციის მიზნით დამტკიცდეს ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების თანდართული სამოქმედო გეგმა.
2. განკარგულება ძალაშია სელმოწერის დღიდან.

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2007 წლის 30 ივლისის
№406 დადგენილებით

¹ http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=98&info_id=27243

**ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით
განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა**

№	მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	შემსრულებელი	შესრულების ვადა
1	ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თაობაზე არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფა	ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით შექმნილი ახალი ინსტიტუტებისათვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად სამართლებრივი ბაზის სრულყოფა	1. სოციალური მუშაკის სტატუსისა და ფუნქციის განსორციელებისათვის სამართლებრივი ბაზის მომზადება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია (არასრულწლოვანთა ოჯახში ძალადობის საკითხებში); შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში; იუსტიციის სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში; ასევე, შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები	2007-2008 წწ.
			2. არსებული სოციალური მუშაკებისათვის დროებითი სტატუსის განსაზღვრა და მათი ლეგიტიმაცია	საქართველოს მთავრობა	2007 წლის ბოლომდე
			3. თავშესაფრის სტანდარტების დამტკიცება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოლო არასრულწლოვანთა ოჯახში ძალადობის საკითხებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია	2007 წლის ბოლომდე

ინფორმირებულობა პრობლემატიკის (ოჯახში ძალადობა) თაობაზე

№	მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	შემსრულებელი	შესრულების ვადა
2	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განსორციელების გზით	საზოგადოების ინფორმირებულობა	<p>1. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვა და განსორციელება. ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალური ტრენინგების მოწყობა მიზნობრივი ჯგუფებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომელთათვის, მოსამართლეებისათვის, ჯანდაცვის, განათლებისა და შესაბამისი სფეროს მუშაკთათვის</p> <p>2. ევროსაბჭოს ქალთა წინააღმდეგ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის აღკვეთის კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო/საგანმანათლებლო კამპანია</p>	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, პროკურატურა და სასამართლო ორგანოები, დაინტერესებული არასამთავრობო სექტორი, სოლო, არასრულწლოვანთა ოჯახში ძალადობის საკითხებში – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p> <p>დაინტერესებული არასამთავრობო სექტორი</p>	2007-2008 წწ.

**მსხვერპლთა დაცვა და დახმარება;
მსხვერპლთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობა**

№	მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	შემსრულებელი	შესრულების ვადა
3	მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმების დანერგვა	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება სამართლებრივი და სხვა ტიპის დახმარების განსორციელების მექანიზმების ამოქმედების გზით	1. შინაგან საქმეთა სამინისტროში „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირება; შემთხვევების აღრიცხვა და კომპიუტერიზაცია; ოპერატორების მომზადება	შინაგან საქმეთა სამინისტრო დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით	2007 წლის I ნახევრიდან (უკვე მუშაობს)
			2. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2007 წლის II ნახევრიდან

გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა

№	მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	შემსრულებელი	შესრულების ვადა
4	ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფა	ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფისათვის ფინანსური სახსრების გათვალისწინება სახელმწიფო ბიუჯეტში	1. გეგმით და შესაბამისი კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ფინანსური წინადადებებისა და გაანგარიშების მომზადება სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი თანხის გათვალისწინების შესახებ	ფინანსთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2007 წლის I ნახევარი
			თავშესაფრებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნისათვის შესაბამისი ღონისძიებების განსორციელება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2007-2008 წწ.
			ბ) თავშესაფრებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების ამოქმედებისათვის სტანდარტების შემუშავება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო	2007-2008 წწ.

საკონტროლო კითხვები ტრენერისა და მსმენელებისათვის:

- ✎ შესრულდა თუ არა რეკომენდაციები?
- ✎ საქართველო ასრულებს თუ ვერ ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებას, და რაში მდგომარეობს ეს ვალდებულება?

რჩევები ტრენერისათვის

მოდული:

- ✎ არის თანმიმდევრული ნაბიჯები ტრენინგის ჩასატარებლად;
- ✎ უნდა იყოს მოქნილი.

მოდული მოიცავს:

- ✎ შინაარსს;
- ✎ მიზნებს;
- ✎ ტრენინგის მეთოდებს;
- ✎ ყოველი ელემენტის გაგრძელებას;
- ✎ საჭირო დამხმარე მასალებს;
- ✎ მონაწილეთა განაწილებას;
- ✎ შეფასების პროცესს.

განხორციელების თანმიმდევრობა:

- ✎ ამოცანის დასახვა;
- ✎ მიზნობრივი აუდიტორიის გამოორკვევა;
- ✎ საჭირო ტიპის მასალების განსაზღვრა;

- ✎ ტრენინგის ხელშეწყობი მიზნების გარკვევა;
- ✎ შინაარსის მოსაზულობის მომზადება;
- ✎ მასალების შექმნა.

ბექდური მასალა:

- ✎ უზრუნველყოფს დაწვრილებითი ინფორმაციის მიღებას;
- ✎ უზრუნველყოფს დამოუკიდებლად სწავლებას;
- ✎ საქიროებისას მოსახერხებელია გადასამრავლებლად.

აუდიო-ვიზუალური მასალა:

- ✎ ააქტიურებს მოტივაციას;
- ✎ დამატებითი საშუალებაა;
- ✎ აჩქარებს თემის გაცნობიერებას.

შეფასება:

- ✎ მიჩნეულია, რომ ტრენინგების 50% არის დროის ხარჯვა;
- ✎ ჩვენ არ ვიცით სახელდობრ რომელი 50%? ამიტომ აუცილებელია ჯგუფური ან ინდივიდუალური შეფასება.

მიზანი:

- ✎ ტრენინგისთვის დამატებითი საჭიროებების გამოორკვევა;
- ✎ უკუკავშირის დამყარება;
- ✎ ხარისხის განსაზღვრა;

- ✎ ტრენინგის პროცესის გაუმჯობესება;
- ✎ სელშეწყობა, რათა ტრენინგებისა და მსმენელების საქმიანობა უფრო ეფექტური გახდეს.

სწავლების შეფასება:

- ✎ ტესტირება/შეფასება მნიშვნელოვანია მსმენელისათვის;
- ✎ ავლენს სუსტ ადგილებს ან შეზღუდულ ცოდნას;
- ✎ მსმენელის სწავლის შედეგები ტრენინგის წარმატების მაჩვენებელია;
- ✎ სასწავლო გეგმას შესაძლებელია დასჭირდეს გადახედვა.

შეფასება:

- ✎ ნამდვილად შეესაბამება ცვლილებები სწავლებას?
- ✎ მონაწილეებში ცვლილებები შესაძლებელია სწავლასთანაირად იქნას აღქმული;
- ✎ დროთა განმავლობაში, საქმიანობისამებრ, ცვლილებები გაგრძელდება.

ტრენინგის დაგეგმვა

- ✎ სასწავლო პროგრამის დაგეგმვა და შედგენა, განსაზღვრა თუ რა და როგორ უნდა იყოს მიღწეული.

სასწავლო პროგრამის შედგენა

- ✎ ტრენინგს სდის უფრო სისტემურს;
- ✎ უზრუნველყოფს სარისხს;
- ✎ უზრუნველყოფს მიმართულებას განსორციელებისათვის;
- ✎ ინარჩუნებს ტრენინგის მიმართულებას და თავიდან იცილებს პრობლემებს.

გეგმის შედგენა:

- ✎ მიზნების გარკვევა;
- ✎ შინაარსის ჩამოყალიბება;
- ✎ მეთოდების და ტექნიკის შერჩევა;
- ✎ საქირო რესურსები.

მიზნების გარკვევა:

- ✎ მიზნები მიაწინებენ გეზს;
- ✎ „თუ არ სარ დარწმუნებული სად მიდისარ, შესაძლებელია მისვლდე სადღაც სწავლან და ვერ მისვდე სად სარ“;
- ✎ ცნობა იმის შესახებ, თუ რის გაკეთებას შეძლებს მსმენელი ტრენინგის დამთავრების შემდეგ;
- ✎ მსმენელმა უნდა იცოდეს რა გზით მიდის, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ ეცოდინება რას ელოდება იან მისგან.

მიზნები უნდა იყოს:

- ✎ იოლი;
- ✎ ზომიერი;
- ✎ მისაღწევი;

- ✎ სანდო;
- ✎ დაგეგმილი საათების მისედვით.

შინაარსის ჩამოყალიბება – ოთხი წამყვანი პრინციპი:

- I. იოლი საკითხიდან რთულზე გადასვლა, იოლი თემებით დაწყება და უფრო რთულ თემებზე გადასვლა, რაც მსმენელთა თავდაჯერებულობას ამაძღვრებს;
- II. ზოგადი საკითხებიდან სპეციფიკურ საკითხებზე გადასვლა, რადგან მსმენელისთვის, ხშირად, უფრო ნაცნობია ზოგადი კონცეფციები, ვიდრე სპეციფიკური;
- III. ლოგიკური სტრუქტურა – ზოგიერთი მსმენელი უპირატესობას ანიჭებს განსაკუთრებულ თანმიმდევრობას, შესაბამისად, შინაარსის თანმიმდევრობით ჩამოყალიბებას;
- IV. ნაცნობი თემიდან უცნობ თემაზე გადასვლა – მსმენელი ცოდნას და უნარჩვევებს ითვისებს ისე, რომ უკავშირებს იმას, რაც უკვე იცის ან იმას, რაც შეუძლია რომ გააკეთოს; მსმენელთა არსებული დონიდან გადასვლა ახალ დონეზე.

დამოკიდებულებების ან ღირებულებების შეცვლა:

- ✎ ტრენინგის მეთოდების იმგვარად გამოყენება, რომ გამოვლინდეს

საწყისი და ფორმულირებული (ცვლილებები ტრენინგის პროცესში) დამოკიდებულებები და ღირებულებები;

- ✎ მთავარი თემების განმეორება ცვლილებების გასამტკიცებლად.

მეთოდოლოგია:

- ✎ ტრენინგის მასალები;
- ✎ სავარჯიშოები;
- ✎ საკითხავი მასალა;
- ✎ ჯგუფური დისკუსია;
- ✎ რეალური მაგალითები;
- ✎ როლების გათამაშება.

ტრენერი უზრუნველყოფს:

- ✎ შინაარსის კარგად ჩამოყალიბებას, რომელიც შეესაბამება არსებულ ცოდნას;
- ✎ კითხვების გამოყენებას მსმენელთა ცოდნის შესამოწმებლად;
- ✎ მსმენელთა საქმირობებს.

ეფექტური ჯგუფური დისკუსია:

- ✎ მოსალოდნელი შედეგების ნათლად გარკვევა;
- ✎ აქცენტების გაკეთება მსოფლიოში რეალურ პრობლემებზე;
- ✎ სამუშაოს ყოველი ფაზისთვის დრო შესწავლილი;
- ✎ შეჯამება და დაკავშირება უკვე შესწავლილ მასალასთან.

საკითხავი:

- ✎ მსმენელისთვის საინფორმაციო ქაღალდებისა და კონსპექტების დარიგება, სადაც აღნიშნული იქნება ინფორმაცია მიმდინარე თემასთან დაკავშირებით;

სავარჯიშოები:

- ✎ სავარჯიშოები გამოიყენება ცოდნისა და უნარ-ჩვევების გასამტკიცებლად, რომელიც მათ შეიძინეს.

ეფექტური სავარჯიშოები:

- ✎ მიზანინათლად არის ახსნილი;
- ✎ სავარჯიშო არც ისე რთული უნდა იყოს, მაგრამ უნდა დააფიქროს მსმენელი;
- ✎ არ უნდა იყოს ძალიან რთული, რადგან დრო შეზღუდულია.

რეალური მაგალითები:

- ✎ მსმენელის მგრძობელობისა და ცნობიერების ასამაღლებლად მათი უზრუნველყოფა აღწერილობითი ინფორმაციით, რომელიც რეალურ ამბებს ეხება;

როლების გათამაშება:

- ✎ მსმენელები სიღრმისეულად იგებენ სასწავლო მასალებს როლის

გათამაშების პროცესში, რომელიც რეალური ცხოვრებისეული სიტუაციიდანაა;

- ✎ ყველა მსმენელი ჩართულია პროცესში, როგორც მოქმედი პირი ან დამკვირვებელი.

საჭირო რესურსების გამორკვევა:

- ✎ საჭირო დამხმარე საშუალებების, აღჭურვილობისა და მასალების გამორკვევა;
- ✎ ადმინისტრაციული პერსონალის კოორდინაცია.

4.4. შერჩეული დასარიგებელი მასალა

ოთხი მსოფლიო კონფერენცია ქალთა მდგომარეობაზე

1975-1995 წლები: ისტორიული რეტროსპექტივა¹

გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა ოთხმა მსოფლიო კონფერენციამ ხელი შეუწყო გენდერული თანასწორობის პრობლემის წინ წამოწევას და მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში

¹ <http://www.un.org/russian/document/gadocs/23spec/4conf.htm>

ტრში მოქცევას. კონფერენციის გადაწყვეტილებებმა საერთო მიზნების მისაღწევად მთელი მსოფლიო გააერთიანა, შეიმუშავა რა ეფექტური სამოქმედო გეგმა ქალთა საყოველთაო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პირად და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

1945 წელს, გაეროს დაფუძნების მომენტში, ბრძოლა გენდერულ თანასწორობისათვის ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე იყო. გაეროს წევრი 51 ქვეყნიდან მხოლოდ 30 წევრ ქვეყანაში ჰქონდათ ქალებს მამაკაცებთან თანასწორი საარჩევნო უფლება, ან ნებართვა, დაეკავებინათ სახელმწიფო თანამდებობები. მიუხედავად ამისა, გაეროს წესდების ფუძემდებლებმა სპეციალურად გაითვალისწინეს „ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა“ და „აღამიანის ფუნდამენტური უფლებებითა“ და „პიროვნების ღირსებითა და ღირებულებებით“ მოახდინეს ორგანიზაციის მრწამსის დემონსტრირება. აღნიშნულ დრომდე არცერთი საერთაშორისო დოკუმენტით არ გაცხადებულა აღამიანთა თანასწორობის შესახებ და სპეციალურად არ გამოყოფილა ერთ-ერთი სქესი, როგორც დისკრიმინაციის საფუძველი. ამ მომენტიდან ნათელი გახდა, რომ ქალთა უფლებები მომავალში საქმიანობის ცენტრალური საკითხი იქნებოდა.

პირველი სამი ათწლეულის განმავლობაში ქალთა პრობლემების გადასაჭრელად გაეროს მუშაობა უპირველესად ქალთა იურიდიულ და სამოქალაქო უფლებების განსაზღვრის, ასევე, მთელ მსოფლიოში ქალთა მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეკრებისათვის მიმდინარეობდა. მიუ-

ხედავად ამისა, სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ქალთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად მხოლოდ კანონი საკმარისი არ იყო.




გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლის მეორე ეტაპი გახდა გაეროს ინიციატივით ოთხი მსოფლიო კონფერენციის მოწვევა, რომელიც ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შემუშავებას ითვალისწინებდა. წამოწყებამ რამდენიმე ფაზა განვლო და განიცადა ტრანსფორმაცია, დაწყებული ქალზე არსებული თვალსაზრისით, დამთავრებული ქალის არსებითი წვლილის სრული აღიარებით განვითარების პროცესში, მათი უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების მისწრაფებით, რომ სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ აღამიანთა საქმიანობის ყველა სახეობაში და ყველა დონეზე.

მესიკო: მსოფლიო დიალოგის დასაწყისი

პირველი მსოფლიო კონფერენცია ქალთა მდგომარეობის შესახებ მოწვეულ იქნა 1975 წელს. ეს წელი გამოცხადდა ქალთა საერთაშორისო წლად, რათა მსოფლიო საზოგადოებისთვის შეესწავინათ, რომ მრავალ ქვეყანაში ქალის დისკრიმინაცია ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა. კონფერენციის მოთხოვნითა და გაეროს ინიციატივით ხუთი თვის შემდეგ ათწლეული უნდა გამოცხადებულიყო ქალთა ათწლეულად გაეროს მიერ. ეს იყო ახალი ერის დასაწყისი მსოფლიო მიზანსწრაფვის, რათა

დიალოგის გზით გაეუმჯობესებინათ ქალთა მდგომარეობა. დაიწყო გამოცდილების მოპოვების პროცესი, რომელიც მოიცავდა დისკუსიას, მოლაპარაკებებს, სამომავლო მიზნების დასახვას, დაბრკოლებების განსაზღვრასა და მიღწეული წარმატებების განხილვას.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მუშაობის პროცესში გაკეთებული დასკვნების თანახმად მენიკოს კონფერენციას უნდა მიეპყრო საერთაშორისო წრეების ყურადღება, რათა ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებლად შეემუშავებულიყო სამომავლო მიზნები, ეფექტური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ამისათვის გენერალური ასამბლეის მონაწილეებმა განსაზღვრეს 3 ძირითადი ამოცანა, რომელიც მომავალში გაეროს მუშაობის ძირითადი მიმართულება გახდა ქალთა პრობლემების გადასაჭრელად:

-  სრული გენდერული თანასწორობა და სქესობრივი კუთვნილებით დისკრიმინაციის ლიკვიდაცია;
-  განვითარების პროცესში ქალების ჩართვა და მათი თანასწორი მონაწილეობა ამ პროცესში;
-  მსოფლიოს გაძლიერების პროცესში ქალთა წვლილის გაზრდა.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მსოფლიო სამოქმედო გეგმა, დოკუმენტი, რომელიც გენერალური ასამბლეის მიერ დასმული სამი ძირითადი საკვანძო ამოცანის გადასაწყვეტად მომავალი ათი წლის განმავლობაში სელისუფლებისა და მსოფლიო საზოგადოების საქმიანობის ძირითად მი-

მართულებებს მოიცავდა. სამოქმედო გეგმის მისეღვით 1980 წლამდე განისაზღვრა პროგრამა-მინიმუმი, რომლის ძირითადი ამოცანა იყო ქალებისათვის თანაბარი სელმისაწვდომობა ისეთ სფეროებზე, როგორცაა განათლება, დასაქმება, პოლიტიკური მოღვაწეობა, ჯანდაცვა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა, კვება და ოჯახის დაგეგმარება.

ასეთი მიდგომა ნიშნავდა ცვლილებებს ქალებთან მიმართებაში, რომელიც 70-იან წლებში დაიწყო. თუ ადრე ქალები მიაჩნდათ დახმარებისა და მხარდაჭერის პასიურ მიმღებად, ახლა მათ ექცევიან, როგორც მამაკაცების თანასწორ და სრულფასოვან პარტნიორებს, რომელთაც თანასწორი სელმისაწვდომობა აქვთ რესურსებსა და შესაძლებლობებთან. ასეთივე ცვლილებები ხდებოდა განვითარების პროცესთან დაკავშირებითაც: დაწყებული ადრე არსებული იმ აზრით, რომ განვითარება ემსახურება ქალების პროგრესს, დამთავრებული ახლებური მიდგომით, რომ თვით განვითარება შეუძლებელია ქალების სრულფასოვანი მონაწილეობის გარეშე.

კონფერენციის მონაწილეებმა მოუწოდეს მთავრობებს, რათა განვითარების პროცესში ქალების თანასწორი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შეემუშავებინათ ეროვნული სტრატეგია და განესაზღვრათ მიზნები და პრიორიტეტები. ათწლეულის ბოლოს ქალები გაეროს 127 წევრი ქვეყნიდან გამოენშაურნენ გაეროს მოწოდებას, კვლევის ჩასატარებლად და პროგრამების შესაქმნელად შეემუშავებინათ პოლიტიკა ეროვნული მექანიზმებისა და ინსტიტუტების ამა

თუ იმ ფორმის შექმნის შესახებ, რომელიც გამიზნული იყო ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და განვითარების პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

განვითარების პროცესში ქალთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად დამატებით უკვე არსებულ განყოფილებასთან (ამჟამად დეპარტამენტთან), კონფერენციის მიმდინარეობისას მენიკოში, ინიცირებულ იქნა ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაეროს სისტემაში საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და გაეროს ფონდის შექმნა.

მენიკოში შესვედრის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ დისკუსიის ტონს ქმნიდნენ თვითონ ქალები. იქ შეკრებილი 133 გაეროს წევრი დელეგაციიდან 113-ს სელმძღვანელობდა ქალი. ასევე, ქალებმა გაუწიეს ორგანიზება არასამთავრობო ორგანიზაციების პარალელურ ფორუმს, ქალთა საერთაშორისო წლის ტრიბუნას, რომელშიც 4 000-მდე ადამიანი მთლიანად მონაწილეობდა.

ფორუმზე შეკრებილ ქალებს შორის წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა იმ დროის პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიების შესახებ. მაგალითად, ქალები აღმოსავლეთ ნაწილიდან უფრო მეტ ინტერესს მსოფლიოს საკითხებისადმი ავლენდნენ. ამავდროს, ქალები დასავლეთის ქვეყნებიდან აქცენტს აკეთებდნენ თანასწორობაზე, ხოლო, ქალები განვითარებადი ქვეყნებიდან პრიორიტეტს ანიჭებდნენ სასელმწიფოს განვითარების პრობლემებს.

მიუხედავად მოსაზრებათა მრავალფეროვნებისა, ფორუმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფორმაციისა და აზრთა გაცვლის მიზნით, სხვადასხვა კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყნებიდან ქალებისა და მამაკაცების ერთად შეკრებით, ასევე, იმ პროცესების ამოქმედების თვალსაზრისით, რომლის შედეგადაც შემდგომში შესაძლებელი გახდა ქალთა მოძრაობის გაერთიანება და რამაც ათწლეულის ბოლოს გაეროს ქალები მართლაც ინტერნაციონალურები გახადა. ფორუმი ასევე დაენშარა არასამთავრობო ორგანიზაციებს ეთანამშრომლათ გაეროსთან და უზრუნველყოთ ქალთა მონაწილეობა გაეროს პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

კოპენჰაგენი: ჩატარებული სამუშაოს შეფასებისა და ანალიზის პროცესის დასაწყისი

ქალთა მდგომარეობის შესახებ მეორე მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ იქნა 1980 წელს კოპენჰაგენში, გაეროს 145 წევრი ქვეყნის წარმომადგენლებმა 1975 წელს დასახული მსოფლიო სამოქმედო გეგმის შესრულება შეაფასეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამ სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნეოდა. სელისუფლებამ და მსოფლიო საზოგადოებამ წარმატებით განახორციელა სუთი წლის წინ მენიკოში დასახული მიზნები.

მნიშვნელოვანი იყო გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წლის დეკემბერში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ კონვენციის, როგორც

ქალთა თანასწორობისთვის ბრძოლაში ერთ-ერთ ყველაზე საჭირო ინსტრუმენტის მიღება. კონვენცია, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ქალთა უფლებების ბილი“ (კანონი), ამჟამად იურიდიულად აერთიანებს გაეროს 165 წევრ ქვეყანას და ავალდებულებს მათ რატიფიკაციის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში, სოლო შემდეგ, ყოველ მეოთხე წელს, გააკეთოს მოხსენება კონვენციის დებულებების შესრულების, მათ წინაშე მდგარი დაბრკოლებების გადასალახად მიღებული ზომების შესახებ. 1999 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებების დაცვის დღეს, გაიხსნა კონვენციის ხელმოწერისთვის დამატებითი პროტოკოლი, რომელიც საშუალებას აძლევდა სქესობრივი დისკრიმინაციისგან მსხვერპლ ქალებს შეეტანათ საჩივარი სახელშეკრულებო ორგანოში. მისი ძალაში შესვლის შემდეგ კონვენციას მიეცა ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ისეთ საერთაშორისო ინსტრუმენტების სტატუსთან თანაბარი სტატუსი, რომელსაც ახლავს ინდივიდუალური საჩივარის განხილვის პროცედურები.

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, კოპენჰაგენის კონფერენციის მიმდინარეობისას აღიარებულ იქნა გარანტირებულ უფლებებსა და ქალების მიერ ამ უფლებების გამოყენების შესაძლებლობას შორის შეუსაბამობის ფაქტი. ამ პრობლემის გადასაჭრელად კონფერენციის მონაწილეებმა სამი სფერო გამოყვეს, სადაც თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობის მისაღწევად უნდა მიეღოთ მენიკოს კონფერენციაზე დასახული სპეციალური მიზანმიმართული ზომები. ამ სამ სფეროს წარმოადგენდა განათლების,

დასაქმების შესაძლებლობასა და სათანადო სამედიცინო მომსახურებაზე თანაბრი ხელმისაწვდომობა.

კოპენჰაგენის კონფერენციაზე გამართულ დისკუსიას თან ახლდა პოლიტიკური ზეწოლის ნიშნები, რომელთა შორის ბევრი მენიკოს კონფერენციისთვისაც იყო დამსახურებული. მიუხედავად ამისა, კონფერენცია დასრულდა არაერთსულოვნად მიღებული სამოქმედო გეგმის მიღებით, რომელშიც დასახელდა რიგი განსხვავებული ფაქტორები, რომელიც არ შეესაბამებოდა იურიდიულ უფლებებსა და ქალთა მიერ მათი გამოყენების შესაძლებლობას, მათ შორის:

- ✎ საზოგადოებაში ქალთა როლის ამაღლებისთვის მამაკაცთა არასაკმარისი მონაწილეობა;
- ✎ პოლიტიკური ნების ნაკლებობა;
- ✎ საზოგადოების განვითარებაში ქალთა ფასეული წვლილის არასაკმარისი აღიარება;
- ✎ ქალთა განსაკუთრებული მოთხოვნების არასაკმარისი გათვალისწინება დაგეგმარებისას;
- ✎ ქალთა არასაკმარისი რაოდენობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე;
- ✎ მომსახურების არასაკმარისი რაოდენობა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობას: კოოპერატივები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საკრედიტო დაწესებულებები;
- ✎ ფინანსური რესურსების საყოველთაო უკმარისობა;

✎ ქალების მიერ მათთვის სელმისაწვდომი შესაძლებლობების არასაკმარისი გაცნობიერება;

ამ პრობლემების გადასაწყვეტად კოპენჰაგენის სამოქმედო პროგრამა მოუწოდებდა მიეღოთ უფრო არსებითი სასწავლო პროგრამები ქალთა უფლებების უზრუნველსაყოფად საკუთრებისა და ქონების მართვის, ასევე, მეკვიდრეობის უფლების გაფართოებაზე, ბავშვებზე მეურვეობის და მოქალაქეობის შეცვლაზე. კონფერენციის დელეგატებმა ასევე მოითხოვეს დასრულებულიყო სტერეოტიპული შეხედულება ქალებთან მიმართებაში.

ნაირობი: „მსოფლიო ფემინიზმის დაბადება“

მოძრაობამ გენდერული თანასწორობისთვის საყოველთაო აღიარება მიიღო ქალთა მდგომარეობის შესახებ მესამე მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც შედგა 1985 წელს ნაირობში სასწავლოდებით – „გაეროს მსოფლიო კონფერენცია ქალთა ათწლეულის მიღწევათა მიმოხილვისა და შეფასებისათვის: თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა“.

15000 წარმომადგენელთაგან შემდგომი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციების პარალელურ ფორუმზე, კონფერენციას მიუდგნენ, როგორც „მსოფლიო ფემინიზმის დაბადების“ აქტს.

მენიკოს კონფერენციაზე პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიებით გაყოფილი ქალთა მოძრაობა ახლა საერთაშორისო ძალად

იქცა, რომელიც გაერთიანდა თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობის ცოდნის ეგიდით. ამ ეპოქალური მოვლენის უკან ათწლეულის დაძაბული მუშაობა იდგა. განხილვების, მოლაპარაკებებისა და ანალიზის პროცესის შედეგად შეგროვდა დიდი ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება.

ამავე დროს, დელეგატები შეშფოთებულნი იყვნენ წარმოდგენილი ანგარიშების შოკის მომგვრელი მონაცემებით. გაეროს მიერ მოპოვებულმა ინფორმაციამ გვიჩვენა, რომ დისკრიმინაციის შესამცირებლად სტატუსის გაუმჯობესება და გარკვეული ძალისხმევა მსოფლიო ქალების უმნიშვნელო უმცირესობას შეესო. ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება განვითარებად ქვეყნებში, უკეთეს შემთხვევაში, უმნიშვნელო იყო. მოკლედ, გაეროს ეგიდით დასახული ათწლეულის მეორე ნახევრის მიზნები არ იქნა მიღწეული.




ამ ფაქტის გაცნობიერებამ საჭირო გახადა ახალი მიდგომის შემუშავება. ნაირობის კონფერენციის დელეგატები უფლებამოსილნი იყვნენ დაეწყოთ ახალი გზების ძიება ათწლეულის მიზნების – თავისუფლების, განვითარებისა და მშვიდობის მიხედვით დაბრკოლებების გადასალახად.

ნაირობის პერსპექტიული სტრატეგიები შემუშავებული და ერთმანად მიღებული გაეროს 157 წევრი სასწავლოდებით მიერ 2000 წლამდე სრულყოფილი პროექტია ახწლეულის ბოლომდე ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ახალი ეტაპია გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლაში. ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების

მიღების პროცესში და საქმიანობის ყველა სფეროს მართვის ხელმისაწვდომობა აღიარებულ იქნა არა მხოლოდ მათ კანონიერ უფლებად, არამედ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აუცილებლობად, ფაქტორად, რომელიც ყველა საზოგადოებრივ ინსტიტუტში ჯერ კიდევ დასახერგი იყო.

ეროვნულ (სახელმწიფოებრივ) დონეზე თანასწორობის მისაღწევად დოკუმენტის საფუძველშივე იქნა ჩადებული რიგი ღონისძიებები. მთავრობებს უნდა განესაზღვრათ საკუთრი პრიორიტეტები, რომელიც განვითარების სტრატეგიასა და რესურსების შესაძლებლობებზე იქნებოდა დაფუძნებული.

ღონისძიების სამ ძირითად ჯგუფს წარმოადგენდა:

-  კონსტიტუციისა და კანონის სრულყოფის ზომები;
-  თანასწორი მონაწილეობა სოციალურ პროგრამებში;
-  თანასწორი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

იმ მტკიცების შესაბამისად, რომ ყველა საერთო პრობლემა ქალთა პრობლემაცაა, ნაირობის შესწავლაზე შემუშავებული პერსპექტიული სტრატეგიით რეკომენდირებული ზომები სფეროთა ფართო სპექტრზე ვრცელდებოდა: დაწყებული დასაქმების, ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური მომსახურებით და დამთავრებული მრეწველობით, მეცნიერებით, კომუნიკაციითა და გარემოს დაცვის სფეროებით. გარდა ამისა, მსოფლიოს გაძლიერების პროცესში ქალთა

მონაწილეობის მხარდასაჭერად შეთავაზებულ იქნა ეროვნული ზომების ძირითადი მიმართულებები, ასევე, მათი დანშარება განსაკუთრებით მძიმე სიტუაციებში.

ამის შესაბამისად, ნაირობის კონფერენციაზე რეკომენდირებულ იქნა ყველა ქვეყნის ხელისუფლებისათვის უფლებამოსილების დელეგირება ქალთა პრობლემების გადასაწყვეტად ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში და პროგრამებში. უფრო მეტიც, კონფერენციის კვალდაკვალ გენერალური ასამბლეის დელეგატებმა თხოვნით მიმართეს გაეროს შეეტანათ ძირითადი პუნქტები ქალთა პრობლემების შესახებ ორგანიზაციის მუშაობის ყველა სფეროში, სახელდობრ, იქ, სადაც აქამდე არ იყო.

ნაირობში კონფერენციის მსვლელობისას ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შემუშავებულ იქნა უფრო ფართო მიდგომა. საბოლოოდ, აღიარებულ იქნა, რომ ქალთა თანასწორობა არ არის იზოლირებული პრობლემა და ის უშუალოდ ენება ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროს. ამიტომ მიზნის მისაღწევად და ათწლეულის ქალების ამოცანათა გადასაწყვეტად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივები, მათი აქტიური ჩართვა ყველა პრობლემის გადაწყვეტაში და არა მხოლოდ იმ პრობლემის, რომელიც უშუალოდ მათ ენებათ.

პეკინი: წარმატება მექვიდროებით

მიუხედავად იმისა, რომ ძალისხმევა, რომელიც დახარჯულ იქნა გასული ორი ათ-

წლეულის განმავლობაში, დაწყებული 1975 წლის მენიკოს კონფერენციით, დაესმარა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებასა და რესურსებზე მათი ხელმისაწვდომობის გაფართოებას, ისინი არ შეეხებოდა ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობის სტრუქტურულ საფუძვლებს. გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას ახდენდა ყველა ადამიანის ცხოვრებაზე, უმეტესად ჯერ კიდევ მამაკაცების მიერ იყო მიღებული. გაჩნდა აუცილებლობა, რომ მოძებნილიყო გზები ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გასაფართოებლად, რათა მათ შეძლებოდათ წინ წამოეწიათ საკუთარი პრიორიტეტები და მამაკაცებთან თანასწორი პარტნიორობის ღირებულება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩართვის აღიარებამ გამოხატულება პპოვა მსოფლიო კონფერენციებში, რომლებიც ჩატარდა გაეროს მიერ 90-იან წლებში განვითარების სხვადასხვა ასპექტით: გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებები, ქვეყნის მოსახლეობა და სოციალური განვითარება. ყველა კონფერენციაზე ხაზგასმით იქნა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა სრულფასოვანი მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ და ქალთა პრობლემები ჩაერთო სადისკუსიო გეგმასა და მიღებულ დოკუმენტებში.

მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლის ახალი თავი გაიხსნა მსოფლიო ქალთა პრობლემებზე ჩატარებულ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე, პეკინში, 1995 წელს.

მთავარი ცვლილება, რომელიც პეკინში მოხდა, იმ აუცილებლობის გაცნობიერება იყო, რომ ძირითადი ყურადღება ქალებიდან გადაეტანათ სქესთა კონცეფციაზე, საზოგადოების მთელი სტრუქტურის გადაფასების საჭიროების აღიარებაზე და მის შიგნით ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთობაზე ყოველმხრივ. მსოფლიო საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების ასეთი ფუნდამენტალური რესტრუქტურისაციის გზით შეუძლიათ ქალებს დაიკავონ მათი უფლებით განკუთვნილი ადგილი მამაკაცებთან თანასწორ პარტნიორობად ცხოვრების ყველა სფეროში. ამ ცვლილებებმა კიდევ უფრო გამოკვეთა ის ფაქტი, რომ ქალის უფლებები ეს არის ადამიანის უფლებები და გენდერული თანასწორობა არის საერთო პრობლემა, რომელთა გადაწყვეტითაც მოგებული იქნება ყველა.

პეკინის კონფერენციის შემკვიდრებითობა მდგომარეობდა იმაში, რომ ის შთააგონებდა მსოფლიო საზოგადოებას განახლებული გლობალური მოვალეობების მისაღებად ქალთა უფლებების საყოველთაო გაფართოებისა და შესაძლებლობების შესახებ და მიიპყრო უპრეცედენტო საერთაშორისო ყურადღება.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, რომელიც არსებითად წარმოადგენდა დღის წესრიგს ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებისათვის პრობლემების გადასაჭრელად და ეპოქას ქალთა პროგრესის გზაზე XXI საუკუნეში. სამოქმედო პლატფორმაში გამოყოფილია 12 ყველაზე საჭირო პრობლემური სფერო,

რომლებშიც შედის მთავარი დაბრკოლებები ქალთა პროგრესის გზაზე და რომელიც ითხოვს სელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ზომების მიღებას. ეს სფეროებია:

- ✎ ქალები და სიღარიბე;
- ✎ განათლება და ქალთა პროფესიული მომზადება;
- ✎ ქალები და ჯანდაცვა;
- ✎ ქალთა მიმართ ძალადობა;
- ✎ ქალები შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში;
- ✎ ქალები და ეკონომიკა;
- ✎ ქალთა მონაწილეობა დირექტიულ ორგანოთა მუშაობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ✎ ინსტიტუციონალური მექანიზმები ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- ✎ ქალები და ადამიანის უფლებები;
- ✎ ქალები და გარემო;
- ✎ გოგონები.

პეკინის სამოქმედო გეგმის მიღებით სელისუფლებამ პასუხისმგებლობა აიღო ეფექტურად ჩაერთო გენდერული ასპექტი ყველა სახელმწიფო ინსტიტუტში, სტრატეგიაში, დაგეგმარებასა და გადაწყვეტილების მიღებაში. საქმით ეს ნიშნავდა, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე ან გეგმის შესრულებამდე ყოველთვის აუცილებელია მათი შედეგების ანალიზის ჩატარება, როგორც ქალებისათვის, ისე მამაკაცებისათვის, ასევე, ქალებისა და მამაკაცების საჭიროებების ანალიზი. მაგალითად, თანადათანობით და არა „თვალისდასამხამებაში“ გაეხადათ განათლების არსებული სისტემა ქალების-

ათვის უფრო ხელმისაწვდომი, რაკი გენდერული ასპექტის ჩართვა მოითხოვს ამ სისტემის გარდაქმნას იმგვარად, რომ თანაბრად პასუხობდეს როგორც ქალების, ისე მამაკაცების მოთხოვნებს.

გენდერული კომპონენტის შეტანამ მოითხოვა მთლიანობაში საზოგადოების ყველა სტრუქტურის გადახედვა და ამ სტრუქტურაში უთანასწორობის საფუძვლების აღმოფხვრა. ამიტომ, ძირითადი ყურადღება აღარ იყო მიპყრობილი საზოგადოებაში ქალებსა და მათ მდგომარეობაზე, არამედ გადატანილი იყო საზოგადოებრივი ინსტიტუტების გარდაქმნაზე, პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მთლიანად საზოგადოებაში.

სამოქმედო პლატფორმის მხარდაჭერით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა ყველა სახელმწიფოს, გაეროს სტრუქტურებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს, რომ მიეღოთ ზომები მისი რეკომენდაციების შესასრულებლად. ქალთა სტატუსის გაძლიერების მიზნით გაეროს თვით წევრ სახელმწიფოებს შიგნით არსებულ სახელმწიფო მექანიზმებს, რომლებიც შეიქმნა ქალთა სტატუსის გასაძლიერებლად, მიეცათ ახალი ფუნქცია ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანოების მიერ ყველა ინსტიტუტსა და პროგრამაში გენდერული კომპონენტის დასანერგად.

გაეროს სისტემის ფარგლებში გენერალურმა მდივანმა დანიშნა უმაღლესი თანამდებობის პირი სპეციალურ მრჩეველად გენ-

დერულ საკითხებში, ვის მოვალეობაშიც შედიოდა გენდერული კომპონენტის უზრუნველყოფა გაეროს საქმიანობის ყველა სფეროში მთელი სისტემის ფარგლებში. ასევე გაეროს დაეკისრა პლატფორმის დებულებების შესრულების გაკონტროლება.

პეკინის კონფერენციას ჰქონდა დიდი წარმატება როგორც მასშტაბითა და მასში მრავალი ქვეყნის წარმომადგენლობით, ასევე შედეგის თვალსაზრისითაც. ეს იყო ისტორიაში სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ყველაზე დიდი შეკრება, რომელშიც 189 ქვეყნიდან 17 000 დელეგატი მონაწილეობდა. კონფერენციასთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმმა ასევე მოხსნა ყველა რეკორდი, შეკრიბა რა 47 000-ზე მეტი მონაწილე.

გაეროს გენერალური ასამბლეის შესრულებული სამუშაოს ანალიზი

გენერალურმა ასამბლეამ შესრულებული სამუშაოს ანალიზის ჩასატარებლად პეკინის სამოქმედო პლატფორმის მიღების მომენტიდან 5 წლის განმავლობაში სპეციალური სესიის მოწვევის შესახებ გამოაცხადა.

სპეციალური სესია ნიუ-ორკში 2000 წლის 5-9 ივნისს შედგა, სახელწოდებით – „ქალები 2000 წლისთვის: ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა XXI საუკუნეში“.

„სპეციალური სესიის ჩატარება შესაძლებლობას მისცემს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას გაუზიარონ ერთმანეთს სასარგებლო გამოცდილება და განიხილონ მიმდინარე პრობლემები და დაბრკოლებები, რომელიც წარმოიშვა პეკინის სამოქმედო გეგმის შესრულებისას. ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის მისაღწევად, ასევე, გენდერული უფლებებისა და შესაძლებლობების გასაფართოებლად პოლიტიკურ საქმიანობაში გაჩნდა ახალი იმპულსი.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი

მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში აღნიშნული მიმართულებებიდან მეორე პუნქტი, ადამიანის უფლებების კომიტეტის წინაშე აყენებს ოთხ ძირითად ამოცანას.

პირველ რიგში კომიტეტი იღებს და განიხილავს მონაწილე სახელმწიფოების მოხსენებებს (სახელმწიფოების, რომლებმაც ხელი მოაწერეს პაქტს ან მიუერთდნენ მას) მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ პაქტში დამტკიცებული უფლებების ცნობრებაში განსახორციელებლად. მათი მოხსენებების შესწავლის საფუძველზე კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს აძლევს კონკრეტულ რეკომენდაციებს.

გარდა ამისა, კომიტეტი პაქტის ამა თუ იმ დებულების აზრისა და მოცულობის განმარტების ფორმით ზოგადი ნასიათის შე-

ნიშვნებს აყალიბებს, რაც განკუთვნილია მონაწილე სახელმწიფოების დასახმარებლად, რათა ცნოვრებაში განახორციელონ პაქტის დებულებები.

გარკვეული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში კომიტეტს ასევე შეუძლია რომელიმე მონაწილე სახელმწიფოსაგან მიიღოს დამადასტურებელი შეტყობინება იმის შესახებ, რომ სხვა მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, შესთავაზოს დახმარება და იმ შემთხვევაში, თუ შედეგი არ იქნება, დანიშნოს შემთანხმებული კომისია.

და ბოლოს, რასაც შესაძლოა ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს არის ის, რომ ადამიანის უფლებების კომიტეტი იღებს და განიხილავს ცალკეულ პირთა შეტყობინებებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ამა თუ იმ მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტის დებულებების დარღვევის მსწერ პლანი. კომიტეტის ეს ფუნქცია დამტკიცებულია პაქტის ფაკულტატურ პროტოკოლში, რომელიც მიღებულ იქნა თვით პაქტთან ერთად გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს.

პაქტი ითვალისწინებს საერთაშორისო კონტროლის ორ პროცედურას:

- ა) სახელმწიფო ვალდებულია სისტემატურად მიაწოდოს კომიტეტს მოსხენება პაქტის დაცვის შესახებ;
- ბ) სახელმწიფოს შეუძლია გაგზავნოს კომიტეტში შეტყობინება სხვა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ.

კომიტეტში ინდივიდუალური მიმართვის შეტანის პროცედურა დარეგულირებულია პაქტთან არსებული ფაკულტატური პროტოკოლით.

კომიტეტი შედგება სახელმწიფოთა მიერ არჩეული 18 წევრისაგან. კომიტეტი არ არის სასამართლო ორგანო, რადგან სარჩელის განხილვის პროცედურა მასში სამართალწარმოების მსგავსია. მდებარეობს ჟენევაში.

კომიტეტი იკრიბება წელიწადში ორჯერ სესიაზე და გადაწყვეტილებას იღებს სმათა უმრავლესობით.

ადამიანის უფლებათა კომიტეტში მიმართვის პროცედურა

1. *ვის შეუძლია მიმართოს ადამიანის უფლებათა კომიტეტს:*
 1. ადამიანის უფლებათა კომიტეტს სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელით შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა პირმა, მტკიცებით, რომ შესაბამისი სელშეკრულებით გათვალისწინებული მისი უფლება დარღვა;
 2. გარდა ამისა, კომიტეტს შეიძლება მიმართოს პირმა სხვა პირის სახელით იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმ პირის წერილობითი თანხმობა, ვისი უფლებებიც ნამდვილად იქნა დარღვეული.
 3. წერილობითი თანხმობა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, როცა:

- ✎ მშობლებს შეაქვთ სარჩელი მცირეწლოვანი შვილის სახელით, ან, მეურვეს იმ პირის სახელით, რომელსაც არ შეუძლია მისცეს ოფიციალური თანხმობა;
- ✎ პიროვნება იმყოფება ცისეში და ხელი არ მიუწვდება გარე სამყაროზე (კომიტეტი არ მოითხოვს ოფიციალურ თანხმობას სარჩელის შესატანად მეორე პირისგან);
- ✎ საჩივრის შეტანა შესაძლებელია ასევე წარმომადგენელის მიერ.

თქვენი საქმის მიღება

ვიდრე კომიტეტი, რომელშიც თქვენ წარადგინეთ თქვენი საქმე, შეძლებს შეუდგეს მისი არსის განსილვას, ის უნდა დარწმუნდეს მოცემული სარჩელი შეესაბამება თუ არა ფორმალურ მოთხოვნებს. საკითხის განსილვამდე კომიტეტი ითვალისწინებს რამდენიმე ფაქტორს:

1. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მოქმედებთ სხვა პირის სახელით, ფლობთ თუ არა აუცილებელ ნებართვას, ან გაქვთ თუ არა თქვენ სხვა საფუძველი იმისთვის, რომ იმოქმედოთ შესაბამისად?
2. ხართ თუ არა თქვენ (ან პირი, რომლის სახელითაც თქვენს მიერ შემოტანილ იქნა საჩივარი) საკუთარ დარღვევის მსხვერპლი?

თქვენ უნდა უჩვენოთ, რომ უშუალოდ შეგესოთ მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა, პოლიტიკა, პრაქტიკა, მოქმედება

ან უმოქმედობა, რომელმაც, როგორც თქვენ ამტკიცებთ, დაარღვია ან არღვევს თქვენს უფლებებს.

კომიტეტი არ განიხილავს:

- ✎ საჩივარს ფიზიკური პირების, მეწარმეების ან ორგანიზაციების ქმედებებზე.

საკმარისი არ არის მხოლოდ აბსტრაქტულად შეედაო კანონმდებლობას, სახელმწიფო პოლიტიკას ან პრაქტიკას, (ე. წ. action popularis) თუ ამასთანავე არ მიუთითებთ, როგორ ხართ მსხვერპლი აღნიშნული კანონმდებლობის, პოლიტიკის ან პრაქტიკის.

შეესაბამება თუ არა თქვენი საჩივარი ხელშეკრულების დებულებებს, რომელზეც ხდება მითითება?

სავარაუდო დარღვევა უნდა ენებოდეს უფლებას, რომელზეც ფაქტიურად გრცელდება პაქტის დაცვა. თუ მაგალითად, თქვენ შეიტანეთ საჩივარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური პროტოკოლის შესაბამისად, თქვენ არ შეგეძლება განაცხადოთ საკუთრების დარღვევის უფლებაზე, რადგან მოცემული პაქტი არ იცავს ამ უფლებას. მსგავს შემთხვევაში თქვენი სარჩელი იქნება (იურიდიული ენით) მიუღებელი ration materiae.

პაქტი არ ამტკიცებს შემდეგ უფლებას:

საკუთრების უფლებას, შრომის უფლებას, განათლების უფლებას, საპენსიო უზრუნველყოფის უფლებას.

იქნა თუ არა ამოწურული თქვენს მიერ სამართალდაცვის ყველა შიდა საშუალება?

ძირითადი პრინციპი, რომელიც არეგულირებს საჩივრის სადაგობას მდგომარეობს იმაში, რომ სანამ თქვენს პრეტენზიას კომიტეტს გადასცემთ, უნდა ამოწუროთ სამართალდაცვის ყველა საშუალება თქვენს სასელმწიფოში. ეს პროცესი ითვალისწინებს თქვენი სარჩელის განხილვას ადგილობრივ სასამართლო სისტემის მიერ. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ კომიტეტის აზრით მხოლოდ ეჭვების წარმოდგენა არ შეესაბამება წომეობის ეფექტურობას.

ამავე დროს არსებობს შესაძლებელი გამოწვევისები ამ წესებიდან.

თუ სამართალდაცვის საშუალებათა ამოწურვის პერიოდი გაურკვეველი ვადით გრძელდება, ან თუ ეს საშუალებები ამკარად არაეფექტურია (მაგალითად, თუ კანონი თქვენს სასელმწიფოში არის სრულიად მკაფიო განხილულ საკითხთან დამოკიდებულებაში), ან თუ ეს საშუალებები სელმისაწვდომი არ არის თქვენთვის (მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეში სამართლებრივი დახმარების მიღების შეუძლებლობასთან დაკავშირებით), თქვენ შეიძლება გათავისუფლდეთ სამართალდაცვის შიდა საშუალებების ამოწურვის შესახებ აუცილებელი პირობის შესრულებისგან.

თქვენთვის მაინც აუცილებელია დაწვრილებით ახსნათ მიზეზები, რომლის გამოც არ ღირს ამ საერთო წესების გამოყენება. ან სამართალდაცვის შიდა საშუალებებ-

ბის ამოწურვის საბაბით მოგიწევთ თქვენს პირველ საჩივარში ჩადოთ მთელი ძალისხმევა, რომელიც მიიღეთ ადგილობრივი სამართალდაცვის შიდა საშუალებების ამოსაწურად. ანდა კონკრეტულად მიუთითოთ სელისუფლების ეროვნულ ორგანოებში შეტანილი სარჩელი, ასევე თარიღი და სასამართლო განხილვის შედეგები, ან ერთ-ერთ ვარიანტად მიუთითოთ მიზეზები, რომლის მისედეფიტაც აუცილებელია გამოწვევისის დაშვება.

არის თუ არა თქვენი პრეტენზია საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურის ბოროტად გამოყენება?

იშვიათ შემთხვევებში კომიტეტი მიდის დასკვნამდე, რომ საქმე არასერიოზულია, ატარებს სადაო ხასიათს, ან წარმოადგენს სარჩელის წარდგენისა და განხილვის პროცედურების უფლების გაუმართლებელ გამოყენებას და მას უარყოფენ, როგორც მიუღებელს; მაგალითად, თუ თქვენ არაერთხელ შეგაქვთ სარჩელი კომიტეტში ერთსა და იმავე საკითხზე, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე უარყვეს.

განხილება თუ არა თქვენი საჩივარი საერთაშორისო რეგულირების სხვა მექანიზმის ფარგლებში?

თუ თქვენ წარუდგინეთ ერთი და იგივე სარჩელი სხვა სასელშეკრულებო ორგანოს ან რეგიონალურ მექანიზმს, ისეთს, როგორიც ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოა, კომიტეტს არ შეუძლია განხილოს თქვენი საჩივარი. ამასთანავე, მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ არ დაიშვას უშედეგო

დუბლირება საერთაშორისო დონეზე. არსებობს კიდევ ერთი საკითხი სადაგობისა, რომელსაც პასუხი უნდა გასცეთ თქვენს პირველ საჩივარში ნებისმიერი სარჩელით, რომელიც თქვენ შეიტანეთ, და მიუთითოთ ის ორგანო, რომელსაც თქვენ მიმართეთ, თარიღისა და შედეგის აღნიშვნით.

თქვენი საქმის განხილვა

ყოველი საქმე განიხილება კომიტეტის მიერ დასურულ სხდომაზე. თუმცა, დებულებებით ზოგიერთი კომიტეტის პროცედურის წესით გათვალისწინებულია ზეპირი მოსმენაც, პრაქტიკაში საჩივარი მაინც განიხილება მონაწილე სახელმწიფოსა და საჩივრის ავტორის მიერ წარდგენილი წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე. ამიტომ პრაქტიკაში მხარეების ზეპირი მოსმენა, ან აუდიო, ან აუდიო-ვიზუალური მტკიცებულება (ისეთი, როგორიც არის აუდიოკასეტები ან ვიდეოფირები) არ მიიღება. გარდა ამისა, კომიტეტები არ სარგებლობენ მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ფაქტების დამოუკიდებლად გამოძიების ჩასატარებლად. ამის შედეგად, ისინი არ განიხილავენ მესამე მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტების მოკლე აღწერას (არცთუ იშვიათად დასათაურებული მოკლე მონათხრობით amicus).


კომიტეტის მიერ თქვენი საქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ერთდროულად გეცნობებათ თქვენც და მონაწილე სახელმწიფოსაც. კომიტეტის ერთმა ან მეტმა წევრმა შესაძლებელია დაურთოს ამ გადაწყვეტილებას განსაკუთრებული აზრი, თუკი ისინი უპირავლესობისა-


გან განსხვავებულ გადაწყვეტილებამდე მივლენ. ან, შესაძლებელია, სხვა მიზეზის გამო. ნებისმიერი საბოლოო გადაწყვეტილება თქვენი საქმის შესახებ, ან გადაწყვეტილება მიუღებლობის შესახებ, როგორც ინფორმაცია კომიტეტის მუშაობის შესახებ, განთავსდება ელექტრონული ვებ-გვერდის შემდეგ მისამართზე:

www.unhchr.ch/html/menu2/8/jurispr.htm.

რა ხდება კომიტეტის მიერ თქვენს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ?

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება და გადაწყვეტილება, როგორც წესი, საბოლოოა. თქვენი საქმის ბედი დამოკიდებულია მიღებული გადაწყვეტილების სახიათზე.

 თუ კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ თქვენი უფლებები დაირღვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ, შეთანხმების თანახმად, ის სთავაზობს მონაწილე სახელმწიფოს სამი თვის განმავლობაში წარმოადგინოს ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომელიც მან მიიღო მის მიერ გამოტანილ დასკვნებთან მიმართებაში. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად ისილეთ კონკრეტული პროცედურების აღწერა.

 თუ კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას თქვენს საქმეში სულშეკრულების დარღვევის არარსებობისა და თქვენი საჩივრის მიუღებლობის შესახებ, პროცედურა დასრულებუ-

ლად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც მიღებული გადაწყვეტილება გეცნობებათ თქვენ და მონაწილე სახელმწიფოს.



თუ კომიტეტი აღიარებს თქვენს საქმეს მიღებულად, მთლიანად, ან კონკრეტულ განცხადებასა და მუსლებთან კავშირში, გამოყენებულ იქნება ზემოთ აღნიშნული საერთო პროცედურა. სხვა სიტყვებით, მონაწილე სახელმწიფოსათვის შეთავაზებული იქნება შექმნას საქმის არსის შესახებ წარმოდგენა დადგენილ კონკრეტულ ვადაში. ამის შემდეგ, თქვენს განკარგულებაშია გარკვეული პერიოდი შენიშვნების გასაკეთებლად, რის შემდეგაც, როგორც წესი, საქმე მზადაა კომიტეტში განსახილველად. უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მოყვანილია თავში, რომელიც ეხება კონკრეტულ პროცედურებს.

ადაშიანის უფლებების ხელშეკრულების თანახმად როდის შეიძლება წარადგინო საჩივარი?

როგორც წესი, არ არსებობს საერთაშორისო შეთანხმების თანახმად საჩივრის შეტანის ოფიციალური ვადა სავარაუდო დარღვევის თარიღის შემდეგ. ამავე დროს, მიზანშეწონილია, საქიროებისამებრ წარადგინოთ თქვენი საჩივარი შიდა სამართალდაცვის საშუალებების ამოწურვის შემდეგ რაც შეიძლება სწრაფად. დაგვიანებით წარდგენილმა თქვენმა საქმემ შეიძლება დააბრკოლოს პასუხის დროულად მიღება მონაწილე სახელმწიფოსაგან. გამონაკ-

ლის შემთხვევებში საჩივრის დაგვიანებით წარდგენის გამო თქვენი საქმე შეიძლება მიჩნეულ იქნას მიუღებლად შესაბამისი კომიტეტის მიერ.

სასწრაფო ან დელიკატური ხასიათის საქმეებთან დაკავშირებული განსაკუთრებული ვითარება

ყოველ კომიტეტს შეუძლია მიიღოს სასწრაფო ზომები, თუ მოცემული საქმის ჩვეული რიგით განხილვამდე ზარალი იქნება გამოუსწორებელი. ცალკეული კომიტეტების მიერ მსგავსი წინასწარი ზომების საფუძვლის აღწერა მოყვანილია ქვემოთ. მათ საერთო თვისებას წარმოადგენს აღნიშნული კომიტეტის მიერ მიმართვის შესაძლებლობა, მოცემული საქმის განხილვამდე ნებისმიერ ეტაპზე სთხოვოს მონაწილე სახელმწიფოს გამოუსწორებელი ზარალის შესაწყვეტად მიიღოს ე.წ. ცნობილი „წინასწარი ზომები“. როგორც წესი, მსგავსი თხოვნით მიმართავენ იმ ქმედებების შესაწყვეტად, რომელთა განსორციელება შეუძლებელია შეაჩერო შემდგომ, მაგალითად, სასიკვდილო განაჩენის აღსრულება ან ცალკეული პირების გადასახლება, რომელთაც ემუქრებათ წამების საშიშროება. თუ გსურთ, რომ კომიტეტმა განიხილოს თქვენი თხოვნა წინასწარი ზომების მიღების შესახებ, მიზანმიმართულად ზუსტად განაცხადეთ ამის შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში თქვენ აუცილებლად გესაჭიროებათ მაქსიმალურად გულდასმით გადმოსცეთ ის მიზეზები, რომლებიც ხსნიან თუ რატომ მიგაჩნიათ, რომ წინასწარი ზომების გამოყენება აუცილებელია.

გაუგზავნეთ თქვენი კორექსონდენცია და შეკითხვები საჩივართან დაკავშირებით ადამიანის უფლებების კომიტეტს, წამების წინააღმდეგ კომიტეტს და რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტს შემდეგ მისამართზე:

საფოსტო მისამართი: Petitioners Team
Office of the High Commissioner for
Human Rights
United Nations Office at Geneva
1211 Geneva 10, Switzerland



ფაქსი: +41 22 917 9022 (განსაკუთრებით სასწრაფო საკითხებზე)

ელ-ფოსტა: tb-petitions.hchr@unog.ch

ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით საჩივრების მიღებისა და განხილვის პროცედურები

საჩივრის ფორმის ნიმუში:

შესატყობინებლად, შესაბამისობაში:

-  სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატურული პროტოკოლის
-  წამების წინააღმდეგ კონვენციის, ან

მიუთითეთ შემოთაღნიშნულ რომელ პროცედურისთვის აგზავნით: _____

თარიღი: _____

I. საჩივრის ავტორის შესახებ ინფორმაცია:

გვარი: _____

სახელი: _____

მოქალაქეობა: _____

თარიღი და დაბადების ადგილი:

შეტყობინება ეგზავნება:

ავტორის სახელით: _____

[თუ საჩივრის წარდგენა ხდება სხვა პირის სახელით:]

გთხოვთ გვაცნობოთ ამ „სხვა“ პიროვნების პირადობის მონაცემები:

გვარი: _____

სახელი: _____

მოქალაქეობა: _____

თარიღი და დაბადების ადგილი:

თუ თქვენ მოქმედებთ ამ პირის ნებართვითა და შეთანხმებით, გთხოვთ წარმოადგინოთ ამ პირის მიერ წარმოდგენილი ნებართვა საჩივრის შემოსატანად: _____

ან

თუ თქვენ გაქვთ უფლებამოსილება, გთხოვთ განმარტოთ თქვენი ურთიერთობა ამ პირთან: _____

II. სახელმწიფო, რომელსაც ენება/მუსლის დარღვევა

იმ სახელმწიფოს სახელი, რომელიც ან ფაკულტატური პროტოკოლის მონაწილეა (თუ საჩივარი გაგზავნილია ადამიანის უფლებათა კომიტეტში), ან გააკეთა შესაბამისი განცხადება (თუ საქმე ენება საჩივარს წამების წინააღმდეგ კომიტეტში ან რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ კომიტეტს):

კონვენციის ან პაქტის მუსლი, რომელიც საგარეუდოდ დაირღვა:

III. სამართალდაცვის შიდა საშუალებების ამოწურვა /სხვა საერთაშორისო პროცედურების გამოყენება

საგარეუდო მსხვერპლის ან მათი სახელით მიღებული ზომები აღნიშნულ სახელმწიფოში საგარეუდო დარღვევისგან სამართალდაცვის უზრუნველყოფის მიზნით – დაწვრილებით მიუთითეთ პროცედურები, რომლებიც გამოყენებულ იქნა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში, რა განცხადებები გააკეთეთ, როდის და რა შედეგით დასრულდა: _____

თუ თქვენ არ ამოწურეთ სამართალდაცვის ეს საშუალებები იმ აზრით, რომ მათი მიღება გაუმართლებლად იწვევება, ის არ იქნება ეფექტური, არ გადმოგეცემათ თქვენ, ან სხვა რაიმე მიზეზით, გთხოვთ განმარტოთ დაწვრილებით თქვენი მოსაზრება: _____

წარადგენდით თუ არა იგივე საკითხს განსახილველად საერთაშორისო გამოძიების სხვა რომელიმე პროცედურის შესაბამისად (მაგალითად, განსახილველად ადამიანის უფლებათა ამერიკულ კომისიაში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ან ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკის კომისიაში)? _____

თუ კი, დაწვრილებით მიუთითეთ რომელი პროცედურები იქნა ან იქნება გამოყენებული, რა განცხადებები გააკეთეთ, როდის და როგორია შედეგები: _____

IV. საჩივარში მოთხოვნილი ფაქტები

ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აღწერეთ საგარეუდო დარღვევის ფაქტები და გარემოება. შეიტანეთ ყველა საკითხი, რომელსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს თქვენი კონკრეტული საქმის განხილვისა და შეფასებისთვის. გთხოვთ განმარტოთ, თქვენი შესვლად მიყვანილი ფაქტები და გარემოება როგორ არღვევს თქვენს უფლებებს:

ავტორის ხელმოწერა: _____

შეტყობინების მოცემული ნიმუშის დანაყოფების გამოტოვებული ნაწილები მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ თქვენი პასუხები აუცილებელია. თქვენ შეიძლება გადმოსცეთ თქვენი პასუხები იმდენად ზედმიწევნით, რამდენადაც ეს აუცილებელია.

V. დამხმარე დოკუმენტების სია (ასლი, არა ორიგინალი, რომელიც თან ერთვის საჩივარს)

- ✎ წერილობითი თანხმობა (თუ თქვენ წარადგენთ საჩივარს სხვა პირის სახელით და არ განმარტავთ რაიმენაირად კონკრეტული ნებართვის უქონლობას):
- ✎ თქვენი საჩივრის შესახებ შიდა სასამართლოებისა და ხელისუფლების ნებართვა (სასურველია, ასევე, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ასლი): _____
- ✎ საჩივარი და გადაწყვეტილება რომელიმე საერთაშორისო გამოძიების, ან რეგულირების სხვა პროცედურების შესაბამისად: _____
- ✎ ნებისმიერი დოკუმენტი, ან ზოგიერთი თქვენს განკარგულებაში არსებული ჩვენება, რომელიც ამტკიცებს თქვენი საჩივრის IV ნაწილში მოთხოვნილ ფაქტებს და/ან თქვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოთხოვნილი ფაქტები წარმოადგენს თქვენი უფლებების დარღვევას: _____

თუ თქვენ არ დაურთეთ ზემოთაღნიშნული ინფორმაცია და საქმე გახდა აუცილებლად მისი გამოთხოვა თქვენგან, ან თუ თანხმობები დოკუმენტაცია არ არის წარდგენილი სამდივნო სამუშაო ენით, თქვენი საჩივრის განხილვას შესაძლებელია დიდი დრო დასჭირდეს.

სახელშეკრულებო ორგანოები

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი

ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კონვენციის მე-17 მუხლში საუბარია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის დაფუძნებაზე. მისი მიზანია კონვენციის დებულებების განხორციელების მსვლელობის განხილვა. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში არსებული ექვსიდან ერთი კონტროლის ორგანო, ადამიანის უფლებების ხელშეკრულების დაცვის კომიტეტი ფინანსდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგულარული ბიუჯეტით და გენერალური მდივანი უზრუნველყოფს მას აუცილებელი პერსონალითა და აღჭურვილობით ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

კომიტეტის შემადგენლობა

კომიტეტი შედგება 23 ექსპერტისაგან, ისინი არჩეულნი არიან ფარული კენჭისყრით სიაში შეყვანილი იმ პირებიდან, „რომლებიც გამოირჩევიან მაღალი მორალური ღირსებებითა და კომპეტენტურობით კონვენციის სფეროში. ექსპერტთა კანდიდატურების შეთავაზება ხდება მონაწილე სახელმწიფოს მიერ, რომელთაც შეუძლიათ წინ წასწიონ თავიანთი მოქალაქეებიდან ერთი პირი. კონვენციაში შეტანილია კომიტეტის მოწოდება წევრების არჩევისას გაითვალისწინონ სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და „ცივილიზაციის სხვა-

დასსვა ფორმისა და ძირითადი სამართლის სისტემების“ წარმომადგენლობა.

მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის წევრების დაწინაურება ხდება თავიანთი ქვეყნის ხელისუფლების დახმარებით და აირჩევა მონაწილე სახელმწიფოების მიერ, ისინი გამოდიან როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები და არა როგორც დელეგატები ან თავიანთი ქვეყნის წარმომადგენლები.

ექსპერტები აირჩევიან ოთხი წლის ვადით, მათი უფლებამოსილება იწყება არჩევნების შემდგომ, ახალი წლის პირველივე დღეს, იანვრის თვეში, და მთავრდება 31 დეკემბერს ოთხი წლის შემდეგ. შესაძლებელია მათი გადარჩევაც. კომიტეტის წევრების არჩევნები მიმდინარეობს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების სსდომაზე, რომელსაც იწვევს გენერალური მდივანი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ნიუ-ორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებაში. ამ სსდომაზე მონაწილე სახელმწიფოები ხმას აძლევენ კომიტეტის წევრების ნახევარს. გაუთვალისწინებელი ვაკანსიების შესავსებად მონაწილე სახელმწიფო, რომლის ექსპერტმაც შეწყვიტა ფუნქციონირება კომიტეტის თანხმობის შემთხვევაში, ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის თანამოქალაქეთაგან კომიტეტის წევრის წარსახვაში.

მთლიანი მდგომარეობით, 1982 წელს მისი პირველი სსდომის ჩატარებიდან 97 კომიტეტის წევრი ექსპერტი იყო.

კომიტეტის წევრების სია შეიძლება იხილოთ მის ვებ-გვერდზე.

კომიტეტის თანამდებობის პირები

კომიტეტის პროცედურების წესების თანახმად კომიტეტი თავის წევრებს შორის ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის სამ მოადგილეს და მომხსენებელს, რომლებიც ქმნიან კომიტეტის ბიუროს, ირჩევიან ორი წლის ვადით ან გადაირჩევიან „როტაციის პრინციპების დაცვის პირობით“.

კომიტეტის სსდომის მიმდინარეობის კონტროლისა და მის მუშაობაზე დაკვირვებასთან ერთად სსდომის ჩატარების პერიოდებს შორის თავმჯდომარე წარმოადგენს კომიტეტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თათბირზე, სადაც კომიტეტი ოფიციალურად არის მიწვეული მონაწილეობის მისაღებად. ყოველწლიურად კომიტეტის სახელით თავმჯდომარე მონაწილეობას იღებს კომისის მუშაობაში ქალთა მდგომარეობის შესახებ, ადამიანის უფლებების შესახებ და მესამე კომიტეტის, გენერალური ასამბლეის შესახებ.

ის, ასევე, მონაწილეობას იღებს თავმჯდომარეთა ყოველწლიურ შეხვედრაში ადამიანის უფლებათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულების დაცვის გასაკონტროლებლად, რომელზეც განიხილება მოხსენება შესაბამისი გენერალური ასამბლეის მოღვაწეობის შესახებ. თავმჯდომარე ან მისი წარმომადგენელი ხშირად მიწვეულნი არიან კომიტეტის წარსადგენად მსოფლიო კონფერენციებზე, უმაღლესი დონის შეხვედრებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა დონის დიებზე. ასევე ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ სახელისუფლებო და არა-

სამთავრობო ორგანიზაციების ღონისძიებებზე.

კომიტეტის ფუნქციები

კონვენციაში გათვალისწინებულია, რომ კომიტეტი თავისი ამოცანების შესრულებისას, განიხილავს რა კონვენციის დებულებების განხორციელების მიმდინარეობას, ძირითადად შეისწავლის მოსხენებებს, რომლებსაც სამართლებრივი მოვალეობების შესაბამისად წარმოადგენს ყოველი მონაწილე სახელმწიფო. ამ მოსხენებებში აღწერილი იქნება კანონმდებლობა, სასამართლო და ადმინისტრაციული ზომები, მონაწილე სახელმწიფოს მიერ მიღებული კონვენციის დებულებების განსახორციელებლად. კონვენციის 21 მუხლის შესაბამისად კომიტეტი ასევე უფლებამოსილია შეიტანოს წინადადება და რეკომენდაცია მონაწილე სახელმწიფოების მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და მოსხენებათა შესწავლის საფუძველზე. ამგვარი წინადადებები, როგორც წესი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქვედანაყოფების მისამართითაა გაგზავნილი, მაშინ, როდესაც ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, ჩვეულებრივ, ეგზავნებათ მონაწილე სახელმწიფოებს და ისინი ავითარებენ კომიტეტის ხელშეწყობის ვალდებულებების მისხედვით, რაც როგორც კონვენციის მხარე სახელმწიფოებს აკისრიათ.

კონვენციის ფაქულტატური პროტოკოლის საფუძველზე კომიტეტის ფუნქციები ითვალისწინებს ცალკეული შეტყობინების მი-

ღებასა და განხილვას, ასევე, იმ სარწმუნო ფაქტების გამოძიებას, რომელიც მოწმობს მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციაში ჩადებულ პროტოკოლის უფლების სერიოზულ ან სისტემატურ დარღვევას.

კომიტეტის მუშაობა

კონვენციის 20 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ კომიტეტი ყოველწლიურად ატარებს თავის მორიგ სესიონს, როგორც წესი, არაუმეტეს ორი კვირის განმავლობაში, თუმცა, გენერალური ასამბლეის შემდგომი გადაწყვეტილებით გაიზარდა კომიტეტის სესიის ჩატარების დრო.

კომიტეტი ყოველწლიურად ატარებს ორ სესიას სამი კვირის ხანგრძლივობით, როგორც წესი, იანვარსა და ივნისში ან ივლისში. იმისათვის, რათა დასრულდეს კომიტეტში განსახილველად გადაცემული დაგროვილი მოსხენებების შესწავლა, გენერალურმა ასამბლეამ 2001 წელს თავის ორმოცდამეთექვსმეტე სესიაზე გამონაკლისის ხანით დაამტკიცა 2002 წელს კომიტეტის მესამე სესიის ჩატარება, რომელიც შედგა აგვისტოს თვეში.

1991 წლიდან დაწყებული, სესიის შემდგომი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის კომიტეტის ოთხი ან ხუთი წევრი, პრობლემებისა და საკითხების ნუსხის შედგენის, ასევე კომიტეტის მიერ მონაწილე სახელმწიფოს ხელახალი და პერიოდული მოსხენებების სესიაზე განხილვის მიზნით, იკრიბებოდა ყოველი მომდევნო სე-

სიის ჩატარების წინააღმდეგ. სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი პრობლემებისა და საკითხების ნუსხა, გადაეცემათ იმ მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც წინასწარ უნდა წარადგინონ ის წერილობითი სახით სამდივნოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ ენაზე სათარგმნად და შემდგომ, სესიის წინ, ურიგდებოთ კომიტეტის წევრებს, რომელთაც უნდა განისილონ შესაბამისი მოსხენებები.

2001 წლის იანვარში, ოცდამეოთხე სესიაზე, კომიტეტმა დაამტკიცა მის მიერ გადამოწმებული პროცედურების წესები, რომლებიც ითვალისწინებს კომიტეტის მარეგულირებელ პროცედურების წესებს ფაკულტატურ პროტოკოლთან მიმართებაში. კომიტეტის მუშაობის ხელშეწყობის მიზნით ისინი ითვალისწინებენ სამუშაო ჯგუფების შექმნასა და მომსახურებლების დანიშვნას პროტოკოლით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად, მათ შორის, მონაწილე სახელმწიფოებისათვის გაგზავნილ კითხვებს შუალედურ ზომებსა და შეტყობინების მიღების შესახებ. თავის ოცდამეოთხე სესიაზე კომიტეტმა ფაკულტატური პროტოკოლით გათვალისწინებული სუთი კაცისაგან შემდგარი მუდმივი სამუშაო ჯგუფი დანიშნა.

ფაკულტატური პროტოკოლის მიღება

შეტყობინების მიღების პროცედურა

ეს პროცედურა ნებას რთავს ცალკეულ პირებს ან პიროვნებათა ჯგუფს, პირდაპირ ან წარმომადგენლის მეშვეობით წარადგინოს კომიტეტში საჩივარი უფლებების დარღვე-

ვასთან დაკავშირებით, რომელიც კონვენციისა და პროტოკოლის ამა თუ იმ მონაწილე-სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის დებულებით არის დაცული.

ვის შეუძლია წარადგინოს განცხადება?

შეტყობინება შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა კერძო პირმა ან პიროვნებათა ჯგუფმა, რომლის უფლებებიც დაირღვა იმ სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, რომელმაც რატიფიცირება მოახდინა, როგორც კონვენციის, ასევე ფაკულტატური პროტოკოლის.

შეტყობინების შეტანა შეიძლება ცალკეული პირების ან პირთა ჯგუფის სახელით. ეს მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ განსაკუთრებულ წინააღმდეგობებს, რომელსაც აწყდებიან ქალები, მათ შორის, რეპრესიული ქმედებების საფრთხეს, მთლიანობაში განათლების დაბალ დონეს და, ნაწილობრივ, სამართლებრივ განათლებას. გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც წარმომადგენლებს შეუძლიათ დაასაბუთონ გამომწვევნილი შეტყობინება სავარაუდო დაზარალებულის ან დაზარალებულების თანხმობის გარეშე, მათ უნდა გააკეთონ ეს დაზარალებულთან შეთანხმებით.

ვისთან დამოკიდებულებაში შეიძლება იქნას შეტანილი საჩივარი?

საჩივარი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ კონვენციის ან პროტოკოლის მონაწილე სახელმწიფოს. სავარაუდო დარღვევა და-

კავშირებული უნდა იყოს სახელმწიფოს ქმედებასთან ან უმოქმედობასთან, ან სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას სახელმწიფო მოხელეთა ქმედებებთან (მაგალითად, დისკრიმინაციული კანონები, პოლიტიკა, პროგრამები ან პრაქტიკა, დისკრიმინაციული ქმედებები ქალებთან მიმართებაში, ცუდი მოპყრობა სამართალდამცავი ან სამხედრო ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან). საჩივარი არ უნდა ეხებოდეს ცალკეული პირების ან დაწესებულებების ქმედებებს. თუმცა, ცნობას შესაძლებელია ჰქონდეს კავშირი ცალკეული პირების ან დაწესებულებების ქმედებებთან, თუ მონაწილე სახელმწიფომ ვერ შეძლო მიეღო სათანადო პრევენციული ზომები, სამართალდაცვის ზომები, სამართალდამრღვევთა დასჯის ზომები და ზომები ზარალის ასანაწლავურებად მოვალეობის შესრულების მიზნით, გადმოცემული კონვენციით. მაგალითად, კონვენციის მე-2 მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ქალთა მიმართ რომელიმე პირის, ორგანიზაციის ან დაწესებულების მხრიდან დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის.

ამგვარად, მოსარჩელეს შეუძლია განაცხადოს, რომ მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც ვერ შეძლო აეცილებინა, დაესაჯა ან გადაეცა სამართალდაცვის საშუალებებისთვის რომელიმე პიროვნების, ორგანიზაციის ან დაწესებულების მხრიდან განსორციელებული დისკრიმინაციული ფაქტი, დაარღვია ეს მუხლი.

რა დარღვევებს შეიძლება შეიცავდეს შეტყობინება?

იმისთვის, რათა სავარაუდო დარღვევების შესახებ შეტყობინება ეხებოდეს „კონვენციაში ჩადებულ ნებისმიერ უფლებას“, კომიტეტის საერთო რეკომენდაციები უნდა განიხილებოდეს ამ უფლებების განმარტების კონტექსტში. კერძოდ, საერთო რეკომენდაციაში 19 კომიტეტმა წარმოადგინა განმარტება, რომელიც შეიცავს კონვენციის I მუხლის მისეფვით დისკრიმინაციის განსაზღვრას, ჩართო მასში ქალთა მიმართ ძალადობა, როდესაც განაცხადა, რომ „დისკრიმინაციის განსაზღვრებაში შეტანილია ქალთა მიმართ ძალადობა, ანუ ძალადობა, რომელიც ჩადენილია ქალებთან მიმართებაში, იმისდა მიუხედავად, რომ ის ქალია, ან ძალადობა, რომელიც ქალებზე ახდენს უზომო ზემოქმედებას. ძალადობა ქალებთან მიმართებაში, დამაბრკოლებელი ან ქალთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების განსორციელებლობა, რომელიც მინიჭებული აქვთ საერთაშორისო სამართლის ნორმების ან კონვენციის დებულებების შესაბამისად, არის დისკრიმინაცია კონვენციის I მუხლის შესაბამისად“.

როგორი შეტყობინება არ ექვემდებარება განხილვას?

შეტყობინებამ უნდა გაიაროს განხილვის ორი ეტაპი. პირველ ეტაპზე დადგინდება თუ რამდენად მიესადაგება შეტყობინება მოთხოვნათა დაცვის თვალსაზრისით შეტყობინების წარდგენის ფორმებს, სოლო მეორე ეტაპზე განისაზღვრება მისი არის

ან შინაარსი. კომიტეტს შეუძლია განიხილოს ეს საკითხები ცალ-ცალკე, მაგრამ როგორც წესი, მიღებისა და შეტყობინების არსის საკითხები განხილვა ერთად.

შეტყობინება განხილვას არ ექვემდებარება, თუ:

- ✎ ის წარმოდგენილი არ არის წერილობითი სახით;
- ✎ მას აქვს ანონიმური სახიათი;
- ✎ შესაბამისმა სახელმწიფომ არ მოახდინა კონვენციის ან ფაკულტატური პროტოკოლის რატიფიცირება;
- ✎ არ იყო ამოწურული სამართალდაცვის ყველა შიდა საშუალება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც ასეთი შემთხვევების დაცვა გაუმართლებლად იწელება ან საეჭვოა მოიტანოს შედეგი;
- ✎ იგივე საკითხი უკვე განხილულ იქნა კომიტეტის მიერ, ან განიხილა, ან განიხილება საერთაშორისო განხილვის ან დარეგულირების სხვა პროცედურების შესაბამისად;
- ✎ ის შეუთავსებელია კონვენციის დებულებებთან;
- ✎ ის აშკარად უსაფუძვლოა ან არასაკმარისად დასაბუთებული;
- ✎ ფაქტებს, რომლებიც წარმოადგენს შეტყობინების საგანს, ადგილი ჰქონდათ იქამდე, სანამ ფაკულტატური პროტოკოლი შევიდა ძალაში შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოსათვის, მხოლოდ, თუ ამ ფაქტებს ადგილი არ ჰქონდათ სსენებელი თარიღის შემდგომაც.

სად გავგზავნოთ შეტყობინება?

შეტყობინება საქიროთა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე:

Division for the Advancement of Women
United Nations
2 UN Plaza, DC2-12th Floor
New York, NY 10017-USA
Fax +1 212 963 3463 87


სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, მათი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე


აღამიანის უფლებების შესახებ კომისიის 1994/45 რეზოლუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1994 წლის 4 მარტს, შესულია გადაწყვეტილება ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, მათ მიზეზებსა და შედეგებზე სპეციალური მომხსენებლის დანიშვნის შესახებ. მანდატი გაფართოვდა აღამიანის უფლებების კომისიის 59-ე სესიაზე 2003 წელს 2003/45 რეზოლუციაში. აღამიანის უფლებების შესახებ კომისიის იგივე რეზოლუცია აცხადებს:

„მკაცრად გამოხს ყველა ძალადობის აქტს ქალთა და გოგონათა მიმართ, და დეკლარაციის შესაბამისად მოუწოდებს ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად სქესობრივი ნიშნით ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრისაკენ ოჯახში, საერთოდ საზოგადოებაში და ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც ის ნორციელდება სახელმწიფოს მიერ ან


მისი შემწყნარებლობით. ხაზს უსვამს სელისუფლების მოვალეობას თავი შეიკავოს ქალებთან მიმართებაში ძალადობისგან. სათანადოდ ადექვატურად გააფრთხილოს, გამოიძიოს და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად დაგმოს ძალადობის აქტები ქალებთან მიმართებაში, მიიღოს ეფექტური ზომები ძალადობის აღმოსაფხვრელად იმის მიუხედავად, ეს აქტი ჩადენილია სახელმწიფოს, კერძო პირის, შეიარაღებული ძალების თუ მეომარი მხარეების მიერ. უზრუნველყოს მსხვერპლთათვის დაცვის სამართლიანი და ეფექტური საშუალებების, მათ შორის, სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა: ამტკიცებს ამ კონტექსტში, რომ ძალადობა ქალებთან მიმართებაში წარმოადგენს ქალების თავისუფლებისა და უფლებათა დარღვევას, და რომ ძალადობა ქალებთან მიმართებაში აბრკოლებს ან საშუალებას არ აძლევს მათ ისარგებლონ ამ უფლებებითა და თავისუფლებით.“

მანდატის თანახმად, კონფერენციის სპეციალური მომხსენებელი ვალდებულია:


 დაკითხოს და მიიღოს ინფორმაცია ქალებთან მიმართებაში ძალადობის საკითხზე, მათ მიზეზებსა და შედეგებზე, სელისუფლების, სახელშეკრულებო ორგანოების სელისუფლებათშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების ჩათვლით და მიიღოს ეფექტური ზომები ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით.


 ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე მიაწოდოს


რეკომენდაცია ზომების, გზებისა და საშუალებების შესახებ ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების აღმოფხვრის მიზნით:

 იმუშაოს სხვა სპეციალურ მომხსენებლებთან, სპეციალურ წარმომადგენლებთან, სამუშაო ჯგუფებთან და ადამიანის უფლებათა კომისიის დამოუკიდებელ ექსპერტებთან, უმცირესობათა დაცვისა და დისკრიმინაციის გამაფრთხილებელ ქვეკომისიასა და სახელშეკრულებო ორგანოებთან, კომისიის თხოვნის გათვალისწინებით იმის შესახებ, რომ რეგულარულად და სისტემატიურად ჩართონ თავიანთ მოხსენებში მათ ხელთ არსებული ინფორმაცია ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ, რომელიც ეხებათ ქალებს და მჭიდროდ ითანამშრომლონ კომისიასთან ქალთა მდგომარეობის შესახებ მისი ფუნქციების განსახორციელებლად.

თავისი მანდატის შესრულების დროს სპეციალური მომხსენებელი:

 სახელმწიფოს უგზავნის სასწრაფო მიმართვას და შეტყობინებას ქალთა მიმართ ძალადობის სავარაუდო შემთხვევების შესახებ;

 მდგომარეობის გაცნობის მიზნით მოგზაურობს ქვეყანაში;

 ადამიანის უფლებათა კომისიას წარუდგენს ყოველწლიურ თემატურ ცნობას.

მიდგომა ძალადობასთან

- ✎ ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას და, შესაბამისად, უნდა აღმოიფხვრას ყველგან, რადგან ქალებს არ ეძლევათ საშუალება სრულყოფილად განახორციელონ თავიანთი სელშეუწყებელი უფლება და თავისუფლება (1, 3, 4, 7, 8, 9)
- ✎ ძალადობა ქალზე, როგორც წამება და არაადამიანური მოპყრობა (2, 4, 6, 9)

ნორმატიული აქტები

- ✎ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია
- ✎ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი;
- ✎ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კონვენცია;
- ✎ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაცია (გაერო);
- ✎ ბავშვთა უფლებების კონვენცია (გაერო);
- ✎ რეზოლუცია 1325;
- ✎ ვენის და პეკინის დეკლარაცია;
- ✎ საერთაშორისო სისხლის სამართლის რომის სტატუსი.

ორგანოები

- ✎ ადამიანის უფლებათა კომიტეტი;

- ✎ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კომიტეტი;
- ✎ გაეროს კომიტეტის სპეციალური მომსწენებელი ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემებზე.

ასალი კამპანია

გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი გამოდის ინიციატივით ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ 2015 წლამდე მსოფლიო კამპანიის დაწყების თაობაზე. ამის შესახებ საუბარია გაეროს გენერალური მდივნის ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ განცხადებაში, რომელიც აღინიშნება 25 ნოემბერს. როგორც პან გი მუნის განცხადებაშია ნათქვამი, 2015 წლამდე ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მსოფლიო კამპანიის მიზანია გაეროს გამოცდილებითა და ამ პროცესში სელიუსუფლების მხარდაჭერით წინ წამოსწიოს მთელ მსოფლიოში ქალთა მიმართ ძალადობის ბრძოლის იდეა. გაეროს გენერალურმა მდივანმა ასევე შესთავაზა გაეროს გენერალურ ასამბლეას, რომ ყოველწლიურად შეიტანოს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი დღის წესრიგში. მან მოუწოდა გაეროს უშიშროების საბჭოს შექმნას ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის დონის მონიტორინგის მექანიზმი 1325 რეზოლუციის ჩარჩოში – ქალებთან, მშვიდობასთან და უსაფრთხოებასთან მიმართებაში. „ქალების მიმართ ძალადობა ყოველთვის არის ადამიანის უფლებების დარღვევა, ის არის ყოველთვის დანაშაული და ყოველ-

თვის დაუშვებელია“ – აღინიშნება განცხადებაში.

ადამიანის უფლებათა კომისარის გამოსვლა კონფერენციაზე 2006 წლის 27 ნოემბერს, მადრიდში, რომელიც მიეძღვნა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ევროსაბჭოს მიერ კამპანიის გახსნას

(არაოფიციალური თარგმანი)

„რატომ არ არის ოჯახში ძალადობა მსოფლიო ქალების პრობლემა“

მიუხედავად გენდერულ თანასწორობაზე არსებული ყველა პოზიტიური და წამაღალი განცხადებისა მრავალი ქალი ძველებურად უფლებაშეზღუდულია. ისინი არა მარტო არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკურ ასამბლეებში და განიცდიან დისკრიმინაციას შრომის ბაზარზე, არამედ, ასევე, იტანჯებიან საშიშროებით ფიზიკურ უსაფრთხოებასთან მიმართებაში. ევროპის საბჭოს ახალი კამპანია ეძღვნება ქალების უსაფრთხოებასა და ხელშეუხებლობას.

სამწუხაროა, რომ ასეთი კამპანიის გატარება საერთოდ საჭირო გახდა მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის საკითხი ქალებთან მიმართებაში განისილებოდეს როგორც ყველაზე აქტუალური საკითხი პოლიტიკურ

ცნოვრებაში. რეკომენდაციაში, რომელიც მიღებულ იქნა 2002 წელს, მინისტრთა კომიტეტმა ამ სფეროში კონკრეტული სტრატეგია შეიმუშავა. საპარლამენტო ასამბლეა და ევროპის საბჭოს რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების კონგრესი ასევე ამ კამპანიის მხარდამჭერები არიან.

კამპანია ხსნავს სერიოზულ ამოცანას – მიაღწიოს კარდინალურ ცვლილებებს ქალებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, ნათლად ჩანს, რომ ოჯახში ძალადობა ვრცელდება და ევროპული საზოგადოება არ წარმოადგენს გამონაკლისს.

რთულია შეცვალო ადამიანის ცნობიერება და ქცევა. საკმაოდ დრო დასჭირდა, რათა კანონში შეტანილიყო დებულება, რომ ქორწინებაში სქესობრივი ურთიერთობა თანხმობის გარეშე არის გაუპატიურება. ადრე აღიქმებოდა რომ, თუ ქალი გათხოვილია, ის თანახმა უნდა იყოს სექსუალურ ურთიერთობაზე მაშინ, როცა ამის სურვილი ექნება მეუღლეს. სხვა სიტყვებით მისი სხეული მას არ ეკუთვნოდა.

მსგავსი დამოკიდებულება სუფევდა ღირსების დანაშაულის გაგების საფუძველში. ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულთა ეს ტიპები ზოგჯერ განისილებოდა ხელისუფლების მიერ, როგორც უფრო სერიოზული, რამდენადაც საუბარი იყო ოჯახის ღირსებაზე. მსხვერპლნი, როგორც წესი ხდებოდნენ ცოლები, ქალიშვილები ან დები, რომლებსაც თავად სურდათ გადაეწ-

ყვიტათ როგორ ეცნოვრათ და ვისთან ჰქონდათ ურთიერთობა.

ქალებისათვის სასქესო ორგანოების წინდაცვეთის პრაქტიკა წარმოადგენს კიდევ ერთ ექსტრემალურ ძალადობის ფორმას ქალებთან და გოგონებთან მიმართებაში, რომლის მთავარი მიზანია მათი სექსუალური ცნოვრების გაკონტროლება და ჩახშობა. ეს არაადამიანური ტრადიცია შენარჩუნებულია აფრიკულ ქვეყნებში და იქ ძველებურად არის შემთხვევები, როცა ევროპაში ნაცნოვრებ გოგონებზე არდადეგების დროს თავის ქვეყანაში ასორციელებენ წინდაცვეთას.

მართლაც, ძალადობის ამ საზიზღარი სახეობიდან ზოგიერთი ქრება, მაგრამ სრულიად უდაო პრინციპი, რომლის თანახმადაც ქალს აქვს უფლება განკარგოს საკუთარი სხეული, ძველებურად ყველასთვის მისაღები არ არის. ამის ერთერთი დადასტურება ოჯახში ცოლების ცემის ფაქტზე შეყოვნებული რექციაა.

ეს არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ახლახანს გამოქვეყნებული მასშტაბური კვლევის მთავარი თემა. აღნიშნულ მოსხენებაში ნათლად არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ მიუხედავად მრავალ ქვეყანაში მიღებული შესაბამისი კანონისა, ეროვნულ დონეზე რეაგირების უმეტესობა არასაკმარისია და ხშირ შემთხვევაში არ აღიკვეთა დანაშაულის ჩამდენ პირთა დაუსჯელობა.

გაეროს კვლევებში აღწერილია ამ უხეში დისკრიმინაციის უკიდურესად ნეგატიუ-

რი შედეგები მთელი საზოგადოებისათვის. ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს ის, რომ ხდება ბავშვების ტრავმირება, ეს კი თავის მხრივ მაღლა სწევს იმის რისკს, რომ ძალადობის გამოყენების ასეთი ქცევის მოდელი გადაეცემა მომავალ თაობას და, ამგვარად, ხალხს საშუალება არ ექნება გაარღვიოს ეს ჩაკეტილი წრე.

გაეროს მოსხენებაში საზგასმულია, რომ ქალებთან მიმართებაში ოჯახში ძალადობა უნდა განიხილებოდეს როგორც **ადამიანის უფლებების** დარღვევა. ამისთვის არსებობს ორი საფუძველი. პირველი, ქალების უმეტეს ნაწილს სერიოზულად ცუდად ეპყრობიან, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება იწოდოს სასტიკი, არაადამიანური ან ადამიანური ღირსების დამამცირებელიც კი – ან თუნდაც წამება – თუკი ამას სახელმწიფო ორგანოების თანამშრომელნი სჩადიან.

მეორე მიზეზი – ეს არის იმის აღიარება, რომ პასუხისმგებლობას ატარებენ არა მხოლოდ ცალკეული პირები, არამედ სახელისუფლებო ორგანოები. მათ უნდა განასორციელონ გადაამწყვეტი ქმედებები ამგვარი ცუდი მოპყრობის გასაფრთხილებლად, გამოიძიონ ნებისმიერი შეტყობინება ძალადობის აქტზე, რომელიც იმსახურებს ნდობას და დასაჯოს მისი ჩამდენი პირები.

ის, რომ სელისუფლება პასუხისმგებელია ცალკეულ ადამიანებს შორის ძალადობაზე, გამომდინარეობს ევროპული კონვენციიდან და დამტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. მაგალითად სასამართლომ საქმეში X და

Y ნიდერლანდების წინააღმდეგ 1985 წელს, მიიჩნია, რომ „სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება კონვენციის მე-3 და მე-10 მუხლის შესაბამისად მიიღოს ისეთი დებულებები, რომლებიც ეფექტურად დასჯიდა გაუპატიურებას და გამოყენებული იქნებოდა პრაქტიკაში ეფექტური გამოძიების და სამართალწარმოების შემდეგ“.

სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მისცეს მსხვერპლს იურიდიული დაცვისა და კომპენსაციის შესაბამისი ფორმები, ასევე უზრუნველყოს მათი დაცვა, ვინც მუდმივი რისკის ქვეშ არის. კანონმდებლობამ ასევე უნდა გაითვალისწინოს თავისუფლების შეზღუდვა ძალადობის ჩამდენ პიროვნებებთან მიმართებაში.

პოლიციამ უნდა მიიღოს მხედველობაში ის, რომ ძალადობა სწორად ბადებს შიშს. ნაცემი ქალები ბევრ შემთხვევაში უბრალოდ ვერ ბედავენ ისაუბრონ თავიანთი მდგომარეობის შესახებ, სოლო ისინი, ვინც ამას აკეთებენ, ცხოვრობენ მუდმივი საშინელების პირობებში, შიშით, რომ მათი პარტნიორი მათზე შურს იძიებს.

ეს რისკები გათვალისწინებული უნდა იქნას სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში და სასამართლო სისტემის ფარგლებში. ჯანდაცვის სისტემის თანამშრომლებსა და სოცმუშაკებს ასევე უნდა ჰქონდეთ წუსტი ინსტრუქცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმოქმედონ, როდესაც ისინი დაინახავენ ცუდი მოპყრობის ნიშნებს. იქ, სადაც აუცილებელია, უნდა გაისწავლოს თავშესაფარი და გაეწიოს ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება.

ოჯახში ძალადობა ბევრ შემთხვევაში ტრაგედიაა იმ პირისთვისაც, ვინც ამას სჩადის. ბოროტადგამოყენება სწორად დაკავშირებულია ალკოჰოლთან, სიღარიბესთან, პირად იმედგაცრუებასთან და ოჯახურ პრობლემებთან, ან ჯანმრთელობის პრობლემასთან. ეს ხაზს უსვამს სოციალური დახმარებისა და მკურნალობის პროგრამების საჭიროებას ამ ადამიანებისთვისაც.

რა თქმა უნდა საჭიროა სოციალური სამსახურები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ არის ეთიკური კონსესუსის შექმნის აუცილებლობა იმასთან მიმართებაში, რომ ძალადობა აბსოლუტურად მიუღებელია.

პოლიტიკურმა ლიდერებმა ყური უნდა უგდონ ქალთა მოძრაობის აზრს და დაეხმარნონ მოქალაქეთა განათლებას, ქალთა მიმართ ძალადობის „არ მოთმენის“ აღიარებას. ეს არის არა მხოლოდ „ქალთა საკითხი“, არამედ მთელი საზოგადოების პრობლემა მთლიანად, მათ შორის ბავშვების.

დაიან, პოლიტიკოსმა მამაკაცებმა ამის შესახებ დამაჯერებლად – სმამაღლა და ენერგიულად უნდა განაცხადონ.

თომას ჰამარბერგი

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ

მიღებულია და სელმოწერის, რატიფიკაციისა და შეერთებისათვის გახსნილია გენერალური ასამბლეის 1979 წლის 18 დეკემბრის 34/180 რეზოლუციით

ძალაში შესვლა: 1981 წლის 3 სექტემბერი
27 (1) მუხლის თანახმად

წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ კვლავ დაამკვიდრა ადამიანის ძირითადი უფლებების, ადამიანის ღირსების და პიროვნების ღირებულების და ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის რწმენა,

ითვალისწინებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადასტურებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს და აღიარებს, რომ ადამიანები თავისუფლები და ღირსებითა და უფლებებით თანასწორები იბადებიან და რომ თითოეული ადამიანი უნდა ფლობდეს მასში აღიარებულ ყველა უფლებასა და თავისუფლებას ყოველგვარი განსხვავების გარეშე, მათ შორის სქესის განუსხვავებლად,

ითვალისწინებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტების მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ ქალებისა და მამაკაცებისათვის თანასწორი უფლება

ისარგებლონ ყველა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით,

მხედველობაში იღებენ რა გაეროსა და მისი სპეციალიზირებული ორგანიზაციების ეგიდით მიღებულ საერთაშორისო კონვენციებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისათვის სელმეწიფობის მიზნით,

ასევე ითვალისწინებენ რა გაეროსა და მისი სპეციალიზირებულ დაწესებულებათა მიერ მიღებულ რეზოლუციებს, დეკლარაციებსა და რეკომენდაციებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის სელმეწიფობის მიზნით,

თუმცა, შეშფოთებულნი არიან რა იმით, რომ, მთელი რიგი ამ დოკუმენტების მიუხედავად, კვლავაც სდება ქალთა მნიშვნელოვანი დისკრიმინაცია,

შეგვახსენებენ რა, რომ ქალთა დისკრიმინაცია არღვევს თანასწორობისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის მიზეზებს, აბრკოლებს მამაკაცის თანაბრად ქალის მონაწილეობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, სელს უშლის საზოგადოებრივი და ოჯახური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და კიდევ უფრო აძნელებს ქალთა შესაძლებლობების სრულ გამოვლენას თავიანთი ქვეყნებისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ,

შეშფოთებული არიან რა იმით, რომ სილატაკის პირობებში ქალებისათვის ძალიან ნაკლებად სელმისაწვდომია სურსათი, ჯანდაცვა, განათლება, პროფესიული მომ-

ზადება და შრომითი მოწყობის შესაძლებლობანი, ასევე სხვა მოთხოვნილებანი.

დარწმუნებულნი არიან რა, რომ თანასწორობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას.

ხაზს უსვამენ რა, რომ აპარტჰეიდის, ყველა ფორმის რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აგრესიის, უცხოური ოკუპაციისა და ბატონობისა და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის აღმოფხვრა აუცილებელია მამაკაცთა და ქალთა უფლებების სრული განხორციელებისათვის.

ადასტურებენ რა, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შეწყობა, ურთიერთთანამშრომლობა ყველა სახელმწიფოს შორის მათი სოციალური და ეკონომიკური სისტემების მიუხედავად, საყოველთაო და სრული განიარაღება, განსაკუთრებით ბირთვული განიარაღება მკაცრი და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით, სამართლიანობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპების დამკვიდრება ქვეყნებს შორის ურთიერთობაში და უცხოური და კოლონიური ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების განხორციელება, ასევე სახელმწიფოთა ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა ხელს შეუწყობს სოციალურ პროგრესსა

და განვითარებას და, როგორც ამის შედეგი, ხელს შეუწყობს მამაკაცთა და ქალთა სრული თანასწორობის მიღწევას.

დარწმუნებული არიან რა, რომ ქვეყნების სრული განვითარება, მთელი მსოფლიოს კეთილდღეობა და მშვიდობის საქმე ყველა დარგში მამაკაცთა თანაბრად ქალთა მაქსიმალურ მონაწილეობას მოითხოვს.

ითვალისწინებენ რა ქალთა წვლილს ოჯახურ კეთილდღეობასა და საზოგადოების განვითარებაში, რაც დღემდე სრულად არაა აღიარებული, დედობის სოციალურ მნიშვნელობას და ორივე მშობლის როლს ოჯახში და ბავშვების აღზრდაში და აცნობიერებენ რა, რომ ქალის როლი გვარის გაგრძელებაში დისკრიმინაციის მიზეზი არ უნდა იყოს, რამდენადაც ბავშვების აღზრდა მამაკაცებისა და ქალების და მთელი საზოგადოების ერთობლივ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

ანსოვთ რა, რომ მამაკაცთა და ქალთა სრული თანასწორობის მისაღწევად აუცილებელია როგორც მამაკაცის, ასევე ქალის ტრადიციული როლის შეცვლა საზოგადოებასა და ოჯახში.

მტკიცედ აქვთ რა გადაწყვეტილი, განხორციელონ ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ დეკლარაციაში გამოცხადებული პრინციპები, და ამ მიზნით მიიღონ ყველა საჭირო ზომა ყველა ფორმითა და გამოვლინებითი ასეთი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ცნება „ქალთა დისკრიმინაცია“ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისსა და შეზღუდვას სქესობრივი ნიშნით, რომელიც გამიზნულია შეასუსტოს და გამორიცხოს ქალთა მიერ, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა დარგში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარება, სარგებლობა ან განსორციელება.

მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციას, თანახმა არიან დაუყოვნებლივ ყველა სელმისაწვდომი საშუალებით გაატარონ ქალთა დისკრიმინაციის აღკვეთის პოლიტიკა და ამ მიზნით ვალდებულებას კისრულობენ:

ა) მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის პრინციპი შეიტანონ თავიანთ ეროვნულ კონსტიტუციაში ან სხვა შესაბამის კანონმდებლობაში, თუ ეს ჯერ კიდევ არ გაკეთებულა, და კანონის და სხვა შესაბამისი საშუალებების დახმარებით უზრუნველყონ ამ პრინციპის განსორციელება;

ბ) მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა და სხვა ზომები, მათ შორის სანქციებიც, რომლებიც, იქ, სადაც ეს აუცილებელია, კრძალავს ქალთა ყოველგვარ დისკრიმინაციას;

გ) დააწესონ მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე ქალთა უფლებების იურიდიული დაცვა და უზრუნველყონ კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების დახმარებით ქალთა ეფექტიანი დაცვა დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან;

დ) თავი შეიკავონ ქალთა მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტების ან ქმედებათა ჩადენისაგან და უზრუნველყონ, რომ სახელმწიფო ორგანოებმა და დაწესებულებებმა ამ ვალდებულების შესაბამისად იმოქმედონ;

ე) მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა რომელიმე პირის, ორგანიზაციის ან საწარმოს მიერ ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად;

ვ) მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის საკანონმდებლოც, მოქმედი კანონების, დადგენილებების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის გასაუქმებლად, რომლებიც ქალთა დისკრიმინაციას წარმოადგენს;

ზ) გააუქმონ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა დებულება, რომლებიც ქალთა დისკრიმინაციას წარმოადგენს.

მუსლი 3

მონაწილე სახელმწიფოები ყველა დარგში, და კერძოდ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ დარგებში, მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას, მათ შორის საკანონმდებლოსაც, ქალთა ყოველმხრივი პროგრესისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, რათა მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე უზრუნველყოფილი იყვნენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განხორციელებითა და სარგებლობით.

მუსლი 4

1. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ დროებითი ზომების მიღება, რომლებიც მიმართულია ქალთა და მამაკაცთა ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად, არ მიიჩნევა, როგორც ეს წინამდებარე კონვენციით განისაზღვრება, დისკრიმინაციულად, თუმცა იგი არანაირად არ უნდა იწვევდეს არათანასწორუფლებიანი ან დიფერენცირებული სტანდარტების შენარჩუნებას; ეს ზომები უნდა გაუქმდეს, როდესაც მიღწეულ იქნება შესაძლებლობათა თანასწორობის და თანასწორუფლებიანი ურთიერთობის მიზნები.
2. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ სპეციალური ზომების მიღება, რომლებიც მიმართულია დედობის დასაცავად, მათ შორის იმ ზომების ჩათვლით, რომლებსაც წინამ-

დებარე კონვენცია შეიცავს, დისკრიმინაციულად არ ითვლება.

მუსლი 5

მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა:

- ა) შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები ცრურწმენათა აღმოფხვრის და და ყველა იმ ჩვეულებისა და პრაქტიკის გაუქმების მიღწევის მიზნით, რომლებიც ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ანდა მამაკაცებისა და ქალების როლის სტერეოტიპულობის იდეას ეფუძნება;
- ბ) უზრუნველყონ, რომ ოჯახური აღზრდა მოიცავდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორად გაგებას და თავიანთი შვილების აღზრდისა და განათლებისათვის მამაკაცთა და ქალთა საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას, იმ პირობით, რომ ყველა შემთხვევაში ბავშვების ინტერესები უპირატესია.

მუსლი 6

მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ, მათ შორის საკანონმდებლოს, ქალებით ყველა სახის ვაჭრობის და ქალთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის აღსაკვეთად.

ნაწილი II

მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად და, კერძოდ, მამაკაცთა თანასწორად უზრუნველყოფენ ქალებს უფლებით:

- ა) სმა მისცენ ყველა არჩევნებსა და საჯარო რეფერენდუმზე და არჩეული იქნან ყველა საჯარო არჩევით ორგანოში;
- ბ) მონაწილეობდნენ მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებასა და განსორციელებაში და იკავებდნენ სახელმწიფო თანამდებობებს, აგრეთვე სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე ასორციელებდნენ ყველა სახელმწიფოებრივ ფუნქციას;
- გ) მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებზე მუშაობენ.

მუხლი 8

მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყონ ქალები შესაძლებლობით, მამაკაცთა თანაბარი პირობებით და რაიმე დისკრიმინაციის გარეშე წარმოადგენდნენ თავიანთ მთავრობას საერთაშორისო დონეზე და მონა-

წილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცთა თანასწორ უფლებებს მოქალაქეობის შექმნის, შეცვლისა და შენარჩუნების საკითხში. ისინი, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ არც უცხოელზე დაქორწინება, არც ქმრის მოქალაქეობის შეცვლა ქორწინების განმავლობაში არ იწვევდეს ცოლის მოქალაქეობის ავტომატურ შეცვლას, არ გადააქცევდეს მას მოქალაქეობის არმქონე პირად და არ აიძულებდეს მას მიიღოს ქმრის მოქალაქეობა.
2. მონაწილე სახელმწიფოები ანიჭებენ ქალებს მამაკაცთა თანასწორ უფლებებს მათი შვილების მოქალაქეობის საკითხში.

ნაწილი III

მუხლი 10

მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად, რათა უზრუნველყონ ისინი მამაკაცთა თანასწორი უფლებებით განათლების დარგში და, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ:

- ა) ერთნაირი პირობები პროფესიის ან სპეციალობის არჩევისას ორიენტაციისათვის, განათლებისა და დიპლომების მიღების სელმისაწვდომობისათვის და მისაღებად ყველა კატეგორიის სასწავლო დაწესებულებებში როგორც სოფლის, ისე ქალაქის რაიონებში; ეს თანასწორობა უზრუნველყოფილია სკოლამდელ, ზოგად, სპეციალურ და უმაღლეს ტექნიკურ განათლებაში, ასევე ყველა სახეობის პროფესიული მომზადებაში;
- ბ) ერთნაირი სასწავლო პროგრამების, ერთნაირი გამოცდების, ერთნაირი კვალიფიკაციის მასწავლებელთა შემადგენლობის, ერთნაირი ხარისხის სასკოლო ნაგებობებისა და აღჭურვილობის სელმისაწვდომობა;
- გ) მამაკაცთა და ქალთა როლის ნებისმიერი სტერეოტიპული კონცეფციის აღკვეთა ყველა დონის და ყველა ფორმის სწავლებისას ერთობლივი სწავლების და სწავლების სხვა სახეობების წახალისების გზით, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას და, კერძოდ, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სასკოლო პროგრამების გადასინჯვის, ასევე სასკოლო სწავლების მეთოდების ადაპტაციის გზით;
- დ) სტიპენდიებისა და განათლებისათვის სხვა დახმარებების მიღების ერთნაირი შესაძლებლობები;
- ე) განათლების განგრძობის პროგრამების, მათ შორის მოზრდილებს შორის ცოდნის გავრცელების პროგრამებისა

და ფუნქციური განათლების პროგრამების სელმისაწვდომობის ერთნაირი შესაძლებლობები, რომლებიც, კერძოდ, გამიზნულია მამაკაცთა და ქალთა ცოდნაში ნებისმიერი განსხვავების რაც შეიძლება სწრაფი აღმოფხვრისათვის;

- ვ) გოგონათა რიცხვის შემცირება, რომლებიც სკოლას ვერ ამთავრებენ, და პროგრამების შემუშავება გოგონებისა და ქალებისათვის, რომლებმაც სკოლა დროზე ადრე მიატოვეს;
- ზ) ერთნაირი შესაძლებლობები სპორტსა და ფიზიკურ მომზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის;
- თ) საგანმანათლებლო სასიათის სპეციალური ინფორმაციის სელმისაწვდომობა ოჯახური ჯანმრთელობის და კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის ინფორმაციისა და ოჯახის რიცხოვნობის დაგეგმვის შესახებ კონსულტაციის სელმისაწვდომობა.

მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ დასაქმების დარგში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყონ მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე თანაბარი უფლებები, კერძოდ:

- ა) შრომის უფლება, როგორც ყველა ადამიანის განუყოფელი უფლება;
- ბ) სამუშაოზე აყვანისას ერთნაირ შესაძლებლობათა უფლება, მათ შორის

შერჩევის ერთნაირი კრიტერიუმების გამოყენება დაქირავებისას;

- გ) პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფალი არჩევის, თანამდებობრივი დაწინაურებისა და დასაქმების გარანტიის უფლება, ასევე უფლება, ისარგებლონ ყველა სამუშაო შეღავათითა და პირობით, გაიარონ პროფესიული მომზადება და გადამზადება, შეგირდობის, მაღალი დონის პროფესიული მომზადების და რეგულარული გადამზადების ჩათვლით;
- დ) თანაბარი ანაზღაურების, მათ შორის შეღავათების მიღების, თანაბარი ღირებულების შრომის მიმართ თანაბარი პირობების, ასევე სამუშაოს ხარისხის შეფასებისას თანაბარი მიდგომის უფლება;
- ე) სოციალური უზრუნველყოფის უფლება, კერძოდ პენსიაზე გასვლის, უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის სხვა შემთხვევებში, ასევე ანაზღაურებადი შვებულების უფლება;
- ვ) ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის გვარის გაგრძელების ფუნქციის შენარჩუნების უფლება.

2. დაქორწინების ან დედობის მიზეზით ქალთა დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მათთვის შრომის ეფექტიანი უფლების უზრუნველსაყოფად მონაწილე სა-

ხელმწიფოები მიიღებენ შესაბამის ზომებს, რათა:

- ა) აკრძალონ, სანქციათა გამოყენების მუქარით, სამუშაოდან დათხოვნა ორსულობის მიზეზით ან ორსულობის ან მშობიარობის გამო შვებულების მიზეზით, ან სამუშაოდან დათხოვნისას ოჯახური მდგომარეობის გამო დისკრიმინაცია;
- ბ) შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულებები ან შვებულებები შესაბამისი სოციალური დახმარებებით ორსულობისა და მშობიარობის გამო წინა სამუშაო ადგილის, უფროსობის ან სოციალური დახმარების დაკარგვის გარეშე;
- გ) წაახალისონ აუცილებელი დამატებითი სოციალური მომსახურების გაწევა, რათა მშობლებს საშუალება მისცენ ოჯახურ მოვალეობათა შესრულება შეუთავსონ შრომით საქმიანობას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, კერძოდ ბავშვთა მოვლის დაწესებულებათა ქსელის შექმნისა და გაფართოების გზით;
- დ) უზრუნველყონ ორსულობის პერიოდში ქალების განსაკუთრებული დაცვა ისეთ სახეობათა სამუშაოზე, რომლის მავნებლობა ჯანმრთელობისათვის დამტკიცებულია.

3. კანონმდებლობა, რომელიც ეხება წინამდებარე მუნღში მოყვანილ უფლებათა დაცვას, პერიოდულად განიხილება მეცნიერულ-ტექნი-

კური ცოდნის გათვალისწინებით, ასევე გადაისინჯება, უქმდება ან ფართოვდება, რამდენადაც ეს საჭიროა.

მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ ჯანდაცვის დარგში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად, რათა მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე უზრუნველყონ მათთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, კერძოდ ისეთი მომსახურებისა, რომელიც ოჯახის რიცხვნობის დაგეგმვას ესება.
1. წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის დებულებებისგან დამოუკიდებლად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ქალებს შესაბამისი მომსახურებით ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, სთავაზობენ რა მათ, როცა ეს აუცილებელია, უფასო მომსახურებას, ასევე შესაბამის კვებას ორსულობისა და მეტუპურობის პერიოდში.

მუხლი 13

მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ ეკონომიკური და სოციალური ცნოვრების სხვა სფეროებში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ თანაბარი უფლებები, კერძოდ:

- ა) საოჯახო დახმარების უფლება;
- ბ) სესხის, უძრავი ქონების გირაოთი სესხის მიღებასა და სხვა ფორმის ფინანსური კრედიტის უფლება;
- გ) დასვენებასთან, სპორტთან დაკავშირებულ ღონისძიებებსა და კულტურული ცნოვრების ყველა სფეროში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებენ განსაკუთრებულ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან სოფლად მცხოვრები ქალები, და მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ისინი ასრულებენ თავიანთი ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, ასევე მათ საქმიანობას მეურნეობის არასასაქონლო დარგებში, და ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ სოფლად მცხოვრებ ქალთა მიმართ წინამდებარე კონვენციის დებულებათა გამოსაყენებლად.
2. მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ სოფლის რაიონებში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ მათი მონაწილეობა სოფლის რაიონების განვითარებაში და ასეთი განვითარებით სარგებლის მიღებაში და, კერძოდ, უზრუნველყოფენ ასეთ ქალებს უფლებით:

- ა) მონაწილეობა მიიღონ განვითარების გეგმების განხორციელებაში ყველა დონეზე;
- ბ) ხელი მიუწვდებოდეთ შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე, მათ შორის ოჯახის დაგეგმვის საკითხების შესახებ ინფორმაციაზე, კონსულტაციაზე და მომსახურებაზე;
- გ) უშუალოდ ისარგებლონ სოციალური დახმავების პროგრამების ყველა სიკეთით;
- დ) მიიღონ ყველა ფორმის მომზადება და ფორმალური თუ არაფორმალური განათლება, მათ შორის ფუნქციური განათლება, ასევე ისარგებლონ სათემო მომსახურების ყველა საშუალებით, სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე საკონსულტაციო სამსახურით, კერძოდ მათი ტექნიკური დონის ასამაღლებლად;
- ე) შექმნან თვითდახმარების ჯგუფები და კოოპერატივები, რათა უზრუნველყონ ეკონომიკური შესაძლებლობების თანაბარი ხელმისაწვდომობა დაქირავებით მუშაობის ან დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის მეშვეობით;
- ვ) მონაწილეობა მიიღონ ყველა ფორმის კოლექტიურ საქმიანობაში;
- ზ) ხელი მიუწვდებოდეთ სასოფლო-სამეურნეო კრედიტებსა და სესხებზე, გასაღების სისტემაზე, შესაბამის ტექნოლოგიებზე და თანაბარი სტატუსით სარგებლობდნენ მიწის და აგრარულ

რეფორმებში, ასევე მიწების ხელახალი გადანაწილების გეგმებში;

- თ) ისარგებლონ ცხოვრების სათანადო პირობებით, განსაკუთრებით საცხოვრებელი პირობებით, სანიტარიული მომსახურებით, ელექტრო- და წყალმომარაგებით, ასევე ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით.

ნაწილი IV

მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ კანონის წინაშე ქალთა თანასწორობას მამაკაცებთან.
2. მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცთა თანაბარ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას და მისი რეალიზაციის ერთნაირი შესაძლებლობებს. ისინი, კერძოდ, უზრუნველყოფენ მათ თანაბარი უფლებებით ხელშეკრულებების დადებისას და ქონების მართვისას, ასევე მათ მიმართ თანაბარ მოპყრობას სასამართლოებსა და ტრიბუნალებში გარჩევის ყველა ეტაპზე.
3. მონაწილე სახელმწიფოები თანაშინა არიან, რომ ყველა ხელშეკრულება და ნებისმიერი სხვა სახის კერძო დოკუმენტები, რომელთა სამართლებრივი შედეგია ქალთა უფლებაუნარიანობის შეზღუდვა, ბათილად ჩაითვალოს.

4. მონაწილე სასჯელმწიფოები მამაკაცებს და ქალებს ანიჭებენ ერთნაირ უფლებებს კანონმდებლობის მიმართ, რომელიც ენება პირთა გადაადგილებას და საცხოვრებელი ადგილისა და ადგილსამყოფელის არჩევის თავისუფლებას.

მუხლი 16

1. მონაწილე სასჯელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად ყველა საკითხში, რომლებიც ენება ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებს და, კერძოდ, უზრუნველყოფენ მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე:

- ა) ქორწინების ერთნაირ უფლებებს;
- ბ) მეუღლის თავისუფალი არჩევის და მხოლოდ მათი თავისუფალი და სრული თანხმობის შემთხვევაში ქორწინების ერთნაირ უფლებებს;
- გ) ქორწინების პერიოდში და განქორწინებისას ერთნაირ უფლებებსა და მოვალეობებს;
- დ) მამაკაცების და ქალების, როგორც მშობლების, ერთნაირ უფლება-მოვალეობებს, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, საკითხებში, რომლებიც მათ შვილებს ენება; ყველა შემთხვევაში შვილების ინტერესები უპირატესია;
- ე) ერთნაირ უფლებებს თავისუფლად და პასუხისმგებლობით გადაწყვიტონ შვი-

ლების რაოდენობის და მათი დაბადების შუალედების საკითხი და ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე, განათლებაზე, ასევე სასწრებზე, რომლებიც ამ უფლების განხორციელების საშუალებას იძლევა;

- ვ) ერთნაირი უფლება-მოვალეობებს იყენენ ბავშვების მეურვეები, მზრუნველები, რწმუნებულები და მშვილებლები ან ასორციელებდნენ ანალოგიურ ფუნქციებს, როდესაც ისინი გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით; ყველა შემთხვევაში ბავშვების ინტერესები უპირატესია;
- ზ) ცოლ-ქმრის ერთნაირ პირად უფლებებს, მათ შორის გვარის, პროფესიის და საქმიანობის არჩევის უფლებას;
- თ) მეუღლეთა ერთნაირ უფლებებს ქონების ფლობის, შექენის, მართვის, სარგებლობისა და განკარგვის საქმეში როგორც უფასოდ, ასევე საფასურით.

2. ბავშვის დანიშნავს და ქორწინებას იურიდიული ძალა არ აქვს და ყველა საქმეში ზომა მიიღება, მათ შორის საკანონმდებლოც, რათა განისაზღვროს მინიმალური საქორწინო ასაკი და ქორწინებათა სავალდებულო რეგისტრაცია სამოქალაქო მდგომარეობის აქტებში.

1. წინამდებარე კონვენციის განხორციელების მიმდინარეობის განსახილველად ფუძნდება ქალთა დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტი (შემდგომში კომიტეტად წოდებული), რომელიც კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისათვის შედგება თვრამეტი, სოლო მისი რატიფიკაციის ან მასთან ოცდამეთხუთმეტე მონაწილე სახელმწიფოს მიერთების შემდეგ – ოცდასამი ექსპერტისაგან, რომლებსაც ასასიათებთ მაღალი სწეობრივი თვისებები და კომპეტენტურობა სფეროში, რომელსაც წინამდებარე კონვენცია მოიცავს. ამ ექსპერტებს მონაწილე სახელმწიფოები ირჩევენ თავიანთი მოქალაქეებისგან და მოქმედებენ თავიანთი სახელით, ამასთან მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და სხვადასხვა ფორმის ცივილიზაციების, ასევე ძირითადი სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა.
2. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წამოყენებულ პირთა სიიდან. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წამოაყენოს ერთი პირი თავის მოქალაქეთა რიცხვიდან.
3. პირველადი არჩევნები ტარდება წინამდებარე კონვენციის ძალაში

- შესვლიდან ექვსი თვის შემდეგ, ყოველი არჩევნების ჩატარებამდე სულ ცოტა სამი თვით ადრე გაეროს გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს წინადადებით წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები ორი თვის განმავლობაში. გენერალური მდივანი ამზადებს სიას, რომელშიც ანბანის მიხედვით შეყვანილია ამგვარად წამოყენებული პირები მონაწილე სახელმწიფოთა მითითებით, რომლებმაც წამოაყენეს ისინი, და წარუდგენს ამ სიას მონაწილე სახელმწიფოებს.
4. კომიტეტის წევრთა არჩევნები ტარდება მონაწილე სახელმწიფოების სსდომაზე, რომელსაც გენერალური მდივანი იწვევს გაეროს ცენტრალურ დაწესებულებებში. ამ სსდომაზე, რომელზეც მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი შეადგენს კვორუმს, კომიტეტში არჩეულ პირებად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც სმების უმეტეს რაოდენობას და მონაწილე სახელმწიფოების იმ წარმომადგენელთა სმების აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებენ, რომლებიც ესწრებიან და მონაწილეობენ კენჭისყრაში.
 5. კომიტეტის წევრებს ოთხი წლის ვადით ირჩევენ. მაგრამ პირველ არჩევნებში არჩეული ცხრა წევრის უფლებამოსილების ვადა ორი წლის შემდეგ იწურება; პირველი არჩევნების ჩატარებისთანავე ამ

- ცხრა წევრის გვარებს წილისყრით ირჩევს კომიტეტის თავმჯდომარე.
6. კომიტეტის სუთ დამატებით წევრს ირჩევენ წინამდებარე მუხლის 2, 3 და 4 მუხლების დებულებათა შესაბამისად ოცდამეთხუთმეტე სასელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შემდეგ. ამგვარად არჩეული ორი დამატებითი წევრის უფლებამოსილების ვადა ორი წლის შემდეგ იწურება; ამ ორი წევრის გვარებს წილისყრით ირჩევს კომიტეტის თავმჯდომარე.
 7. გაუთვალისწინებელი ვაკანსიების შესავსებად მონაწილე სასელმწიფო, რომლის ექსპერტმაც შეწყვიტა ფუნქციონირება როგორც კომიტეტის წევრმა, ნიშნავს სხვა ექსპერტს თავისი მოქალაქეებიდან, იმ პირობით თუ მას კომიტეტი მოიწონებს.
 8. კომიტეტის წევრები იღებენ გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ ანაზღაურებას გაეროს სახსრებიდან კომიტეტის მოვალეობათა მნიშვნელობის გათვალისწინებით ასამბლეის მიერ დადგენილი წესებითა და პირობებით.
 9. გაეროს გენერალური მდივანი გამოჰყოფს საქირო პერსონალსა და მატერიალურ სახსრებს წინამდებარე კონვენციის შესაბამისად კომიტეტის ფუნქციათა ეფექტიანი შესრულებისათვის.

მუხლი 18

1. მონაწილე სასელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ გაეროს გენერალურ მდივანს კომიტეტის განსახილველად წარუდგინონ მოსხენებები საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციულ ან სხვა ზომებზე, რომლებიც მათ მიიღეს წინამდებარე კონვენციის დებულებათა შესასრულებლად, და ამასთან დაკავშირებით მიღწეულ პროგრესზე;
- ა) წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში დაინტერესებული სასელმწიფოსათვის;
- ბ) ამის შემდეგ ყოველ ოთხ წელიწადში მაინც და შემდგომში, როდესაც ამას კომიტეტი მოითხოვს.

2. მოსხენებებში შეიძლება მითითებულ იქნეს ის ფაქტორები და სიძნელებები, რომლებიც გავლენას ახდენს წინამდებარე კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე.

მუხლი 19

1. კომიტეტი ამტკიცებს თავის საკუთარ პროცედურის წესებს.
2. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ორი წლის ვადით ირჩევს.

მუხლი 20

1. კომიტეტი ყოველწლიურად ატარებს სხდომებს, როგორც წესი, არა უმეტეს ორკვირიანი პერიოდის განმავლობაში, რათა განისილოს წინამდებარე კონვენციის 18 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი მოსხენებები.
2. კომიტეტის სხდომები, როგორც წესი, ტარდება გაეროს ცენტრალურ დაწესებულებებში ან ნებისმიერ სხვა შესაბამის ადგილას, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს.

მუხლი 21

1. კომიტეტი ყოველწლიურად ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით გაეროს გენერალურ ასამბლეას წარუდგენს მოსხენებას თავისი საქმიანობის შესახებ და შეუძლია შეიტანოს ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები, დაფუძნებული მონაწილე სახელმწიფოებისა და ინფორმაციის შესწავლაზე. ასეთი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები შედის კომიტეტის მოსხენებაში მონაწილე სახელმწიფოთა შენიშვნებთან ერთად, თუკი ასეთი არსებობს.
2. გაეროს გენერალური მდივანი კომიტეტის მოსხენებებს ინფორმაციისათვის უგზავნის ქალთა მდგომარეობის შემსწავლელ კომისიას.

მუხლი 22

სპეციალიზებულ დაწესებულებებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ წინამდებარე კონვენციის ისეთ დებულებათა განხორციელების შესახებ საკითხების განხილვისას, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზირებულ დაწესებულებებს შესთავაზოს მოამზადონ მოსხენებები იმ დარგებში კონვენციის განხორციელების შესახებ, რომლებიც მისი საქმიანობის სფეროს განეკუთვნებიან.

ნაწილი VI

მუხლი 23

არაფერი წინამდებარე კონვენციაში არ ეხება რაიმე დებულებებს, რომლებიც ხელს უწყობენ მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის მიღწევას და რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს:

- ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა; ან
- ბ) სხვა რომელიმე საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც ძალაშია ასეთი სახელმწიფოსათვის.

მუხლი 24

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან ეროვნულ დონეზე ყველა საჭირო ზომას მიიღონ წინამდებარე კონვენციით

აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციის მისაღწევად.

მუხლი 25

1. წინამდებარე კონვენცია სელმოსაწერად გასხნილია ყველა სახელმწიფოსათვის
2. გაეროს გენერალური მდივანი წინამდებარე კონვენციის დეპონიტარად ინიშნება.
3. წინამდებარე კონვენცია რატიფიკაციას ექვემდებარება. სარატიფიკაციო სიგელები შესაბამისად გაეროს გენერალურ მდივანს ბარდება.
4. წინამდებარე კონვენცია გასხნილია მისაერთებლად ყველა სახელმწიფოსათვის. მიერთება სორციელდება გაეროს გენერალური მდივნისათვის მიერთების შესახებ დოკუმენტის ჩაბარების გზით.

მუხლი 26

1. წინამდებარე კონვენციის გადასინჯვის შესახებ თსოგნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ნებისმიერ დროს ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს მიერ გაეროს გენერალური მდივნის სახელზე წერილობითი შეტყობინების გზით.
2. გაეროს გენერალური ასამბლეა, თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს რაიმე ზომების გატარებას, იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ როგორი ზომები უნდა იქნეს გატარებული ასეთი თსოგნის მიმართ.

მუხლი 27

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე დღეს გაეროს გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის ჩაბარების შემდეგ.
2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე კონვენციის რატიფიკირებას მოახდენს ან მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ჩაბარების შემდეგ მიუერთდება მას, წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე დღეს მისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის შესაბამისად ჩაბარების შემდეგ.

მუხლი 28

1. გაეროს გენერალური მდივანი იღებს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის დათქმების ტექსტს, რომლებიც სახელმწიფოებმა რატიფიკაციის ან შეერთების მომენტში გააკეთეს.
2. დათქმა, რომელიც შეუთავსებელია წინამდებარე კონვენციის მიზნებთან და ამოცანებთან, არ დაიშვება.
3. დათქმები შეიძლება მოისწას ნებისმიერ დროს შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით გაეროს გენერალური მდივნის სახელზე, რომელიც შემდეგ ამის შესახებ აცნობებს ყველა მონაწილე სა-

სელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

მუხლი 29

1. ნებისმიერი დავა ორ ან მეტ მონაწილე სასელმწიფოს შორის წინამდებარე კონვენციის განმარტების ან გამოყენების თაობაზე, რომელიც ვერ გადაწყდა მოლაპარაკების გზით, ერთ-ერთი მონაწილე მხარის თხოვნით საარბიტრაჟო განსილვაზე გადაეცემა. თუ საარბიტრაჟო განსილვის შესახებ განცხადების შეტანიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეებმა ვერ მოახერხეს თანხმობის მიღწევა საარბიტრაჟო განსილვის ორგანიზაციის თაობაზე, ამ მხარეთაგან ნებისმიერს შეუძლია მოცემული დავა საერთაშორისო სასამართლოს გადასცეს სასამართლოს სტატუსის შესაბამისი განცხადების შეტანის გზით.
2. თითოეულ მონაწილე სასელმწიფოს შეუძლია წინამდებარე კონვენციის სელმწიფოს ან რატიფიკაციის ან მასთან მიერთებისას

განაცხადოს, რომ იგი არ თვლის თავს შეზღუდულად ვალდებულებებით, რომლებსაც ამ მუხლის 1 პუნქტი შეიცავს. სხვა მონაწილე სასელმწიფოებს არ აკისრიათ მოცემული მუხლის აღნიშნული პუნქტიდან გამომდინარე ვალდებულებები, რომელიც სხვა მონაწილე სასელმწიფოს მიმართ, რომელმაც აღნიშნული დათქმა გააკეთა.

3. ნებისმიერ მონაწილე სასელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა წინამდებარე მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს მოსწინას თავისი დათქმა გაეროს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გზით.

მუხლი 30

წინამდებარე კონვენცია, რომლის ტექსტებიც რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტიკურია, შესაბამისად ბარდება გაეროს გენერალურ მდივანს.

რის დასტურადაც სათანადოდ უფლებამოსილმა ქვემოთ სელმომწიფეებმა სელი მონაწილეს წინამდებარე კონვენციას.

5. ინსტიტუციონალური მექანიზმები



საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

№625 2008 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა
განმხორციელებელი საუწყებთაშორისო საბჭოს
შემადგენლობისა და დებულებების დამტკიცების შესახებ

1. შეიქმნას ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმხორციელებელი სა-
უწყებთაშორისო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:



ლალი ფაფიაშვილი	– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამარ- თლე, საუწყებთაშორისო საბჭოს თავმჯდომარე
ირაკლი გიორგობიანი	– საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე
ეკატერინე ზღულაძე	– საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე
ნინო კალანდაძე	– საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე
თამარ კინწურაშვილი	– საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი
მაია კობალეიშვილი	– საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

- ანა ჟვანია – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე
- ქეთევან სუციშვილი – დამოუკიდებელი ექსპერტი.

2. ეთნოვით საუწყებათაშორისო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა:

- ლელა ბაქრაძეს – (UNFPA) გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენელს
- კობა ბოჭორიშვილს – კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის თავმჯდომარეს
- ია დადუნაშვილს – შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს
- მარინა თაბუკაშვილს – ფონდ „ტასოს“ თავმჯდომარეს
- დონალდ კეროლს – აშშ-ის საელჩოს პოლიტიკურ ოფიცერს
- ირინა ლორთქიფანიძეს – ამერიკის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს
- თამარ (ბაია) რომელაშვილს – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გამომცემისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსს
- თამარ საბედაშვილს – (UNIFEM) გაეროს ქალთა ფონდის წარმომადგენელს
- ნათია ფარცხალაძეს – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს
- რუსუდან ფხაკაძეს – არასამთავრობო ორგანიზაცია „სახლის“ თავმჯდომარეს
- ნინო ქოჩიშვილს – საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენელს
- ნატო შავლაყაძეს – ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავმჯდომარეს
- ნათია ჩერქეზიშვილს – (UNDP) გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელს
- ხათუნა ჭითანავას – საქართველოს ანლაგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს
- მარკ პულსტს – საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრეფიკინგის საწინააღმდეგო პროგრამის ოფიცერს.

3. დამტკიცდეს საუწყებათაშორისო საბჭოს თანდართული დებულება.
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.


 მისხილჩხაკაშვილი


**ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმასრვლებელი
საუწყებოთაშორისო საბჭოს დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმასრვლებელი საუწყებოთაშორისო საბჭო (შემდეგში - საუწყებოთაშორისო საბჭო) შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
2. საუწყებოთაშორისო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.
3. საუწყებოთაშორისო საბჭოს სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 2. საუწყებოთაშორისო საბჭოს სტრუქტურა

1. საუწყებოთაშორისო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა და ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.
2. საუწყებოთაშორისო საბჭოს შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებებთან ერთად შედიან შესაბამის სფეროში საქმიანობის განმასრვლებელი აარასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები, ამავე სფეროს სპეციალისტები და მეცნიერები.
3. საუწყებოთაშორისო საბჭოს საქმიანობაში საუწყებოთაშორისო საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით შეიძლება მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრები, სახელმწიფო უწყებთა ხელმძღვანელები, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
4. საუწყებოთაშორისო საბჭოს შემადგენლობიდან წევრის გამოწვევა ხდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკუთარი ინიციატივით ან საუწყებოთაშორისო საბჭოს წევრის წარმდგენი ორგანოს წინადადებით.

მუხლი 3. საუწყებოთაშორისო საბჭოს ამოცანები

- ა) ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მისი თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრება

ღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში ხელის შეწყობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია;

- ბ) ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის, ოჯახში ძალადობის ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრის თაობაზე წინადადებების შემუშავება და საქართველოს პრეზიდენტისათვის განსახილველად წარდგენა;
- გ) ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო სექტორთან, ამ პრობლემებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე ერთობლივი წინადადებების შემუშავება საქართველოს პრეზიდენტისათვის წარსადგენად;
- დ) ოჯახში ძალადობის ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი.

მუხლი 4. საუწყებათაშორისო საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია

1. საუწყებათაშორისო საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს და საუწყებათაშორისო საბჭოს სსდომებს წარმართავს საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობიდან ნიშნავს პრეზიდენტი;
2. საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარის დავალებით ასორცილებს საუწყებათაშორისო საბჭოს ერთ-ერთი წევრი;
3. საუწყებათაშორისო საბჭოს სსდომები, როგორც წესი, ტარდება სამ თვეში ერთხელ.
4. საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარემ შეიძლება საუწყებათაშორისო საბჭოს სსდომები საქიროებისამებრ მოიწვიოს დადგენილ ვადაზე ადრე;
5. საუწყებათაშორისო საბჭოს სსდომის მომზადებას უზრუნველყოფს საუწყებათაშორისო საბჭოს სსდომის მდივანი;
6. საუწყებათაშორისო საბჭოს სსდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვს საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარეს და საუწყებათაშორისო საბჭოს წევრებს;
7. საუწყებათაშორისო საბჭოს სსდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საუწყებათაშორისო საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი;
8. საუწყებათაშორისო საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა სმების უბრალო უმრავლესობით. სმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარის სმა;
9. საუწყებათაშორისო საბჭოს სსდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 5. დასკვნითი დებულება

საუწყებათაშორისო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

6. სიტუაციური მატალითები

შემთხვევა №1

(მსხვერპლის ახსნა-განმარტება)

ახსნა-განმარტება

მოგასხენებთ, რომ ვცხოვრობ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე ჩემს დედასთან, დასთან და შვილთან ერთად. ჩვენს ოჯახში მუდმივი კონფლიქტური სიტუაციებია, რაც გამოწვეულია ჩემი დის საქციელით. ის გვლანძღავს ოჯახის ყველა წევრს, ამტვრევს ქურჭელს. მუდმივად ვიმყოფებით დაძაბულ სიტუაციაში. ჰყავს ერთ-ერთ ოთახში კატები, რის გამოც დგას საშინელი სუნი და ანტისანიტარიაა მთელს ბინაში. თხოვნაზე მოაშოროს კატები ბინიდან, უარს აცხადებს, რის გამოც ჩვენ ვერ ვჩერდებით ვერც სასტუმრო ოთახში, ვერც მისაღებსა და სამზარეულოში. ჩემი შვილი 9 წლისაა და შეიძლება ამდენი სკანდალისაგან ფსიქიურად დაზარდდეს. მას ძალიან ეშინია დედასთან ურთიერთობა, ვინაიდან იგი გაუწონასწორებელი ადამიანია.

ახსნა-განმარტება დაწერილია ჩემს მიერ სწორად და გაწერ სელს.

(მოძალადის ახსნა-განმარტება)

ახსნა-განმარტება

მოგასხენებთ, რომ ვცხოვრობ აღნიშნულ მისამართზე დედასთან, ჩემს დასთან და დის შვილთან ერთად. ჩვენი ბინა შედგება № ოთახისაგან, მათგან ერთი ჩემია, სადაც მე ვიმყოფები ჩემს კატებთან ერთად. კატები არავის სელს არ უშლის, ვინაიდან მე მათ ოთახიდან არ ვუშვებ. ოჯახის წევრებს არ ვეჩხუბები და შეურაცხყოფას არ ვაყენებ მანამ, სანამ მე არ შემესებან. არ მომწონს როდესაც ერევიან ჩემს ცხოვრებაში და არ მაძლევენ პირადი ცხოვრების საშუალებას, არ მესმარებიან არაფერში.

შენიშვნა: მოქალაქე ცუდად ხედავს, რის გამოც ახსნა-განმარტება არის სხვა პირის მიერ დაწერილი და ნამძალაღა წაკითხვის შემდეგ აქვს მოქალაქეს სელი მოწერილი.

(სსმ 20.09.2006 წ 129 მუხ. 1712)

რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სარეგისტრაციო კოდი 140.130.000.22.034.009.227

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება ნ 1079**

2006 წლის 11 სექტემბერი
ქ. თბილისი

შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ

– ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტების, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის ნ614 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების მე-11 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შემაკავებელი ორდერის თანდართული ფორმა (დანართი ნ1).
2. დამტკიცდეს შემაკავებელი ორდერის ოქმის თანდართული ფორმა (დანართი ნ2).
3. შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის შედგენის უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:
 - ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სასაზო დანაყოფების შემდეგი თანამდებობის პირები: ს

ა.ა. ოცეულის მეთაური;

ა.ბ. ათეულის მეთაური;

ა.გ. უფროსი პატრულ-ინსპექტორი;

ა.დ. პატრულ-ინსპექტორი;

ა.ე. უმცროსი პატრულ-ინსპექტორი.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების უბნის ინსპექტორები – მხოლოდ იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც განსაზღვრული არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო ტერიტორია.

4. ამ ბრძანებით განსაზღვრულმა უფლებამოსილმა პირებმა აწარმოონ შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების აღრიცხვა.
5. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

შემაკავებელი ორდერი №00000

1. ორდერის შედგენის თარიღი, დრო და ადგილი _____

2. ორდერის შედგენის საფუძველი _____

(კონკრეტულად რაში გამოინატა ძალადობა)

ფსიქოლოგიური ძალადობა

3. მსხვერპლის სახელი, გვარი, მისამართი _____

4. მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი

5. ძალადობის ფორმა (გაუსვით საზი):

ა) ფიზიკური; ბ) ფსიქოლოგიური; გ) ეკონომიკური; დ) სექსუალური; ე) იძულება.

6. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად შემაკავებელი ორდერი ითვალისწინებს (შემოსაზეთ):

ა) მოძალადის იმ სახლისაგან მოშორებას, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს;

ბ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

გ) მოძალადის მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოების აკრძალვას, სადაც მსხვერპლი იმყოფება;

დ) მოძალადისთვის იარაღის, მათ შორის სამსახურეობრივ-საშტატო იარაღის, სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ასევე იარაღის შექმნის უფლების აკრძალვას;

ე) მოძალადის ბავშვებისაგან განცალკევებას;

ვ)

(სხვა ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისთვის)

7. შემაკავებელი ორდერი ითვალისწინებს მსხვერპლის დაცვის შემდეგ ღონისძიებებს (შემოსაწეთ):

ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან გარიდებას;

ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში მოთავსებას;

გ)

(გრაფა ივსება საჭიროების შემთხვევაში)

8. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოძალადეს ეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

9. შემაკავებელი ორდერი ძალაშია მისი გამოცემისთანავე.

10. შემაკავებელი ორდერი შედგენილია 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ბარდება მოძალადეს, ერთი – მსხვერპლს და ერთი რჩება მის გამომცემ პირთან.

11. შემაკავებელი ორდერი გაცემულია _____

მიერ

(თანამდებობა, სახელი და გვარი)

(სელმოწერა)

შემაკავებელი ორდერის ოქმი №00000

1. მსხვერპლის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონი _____

2. მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი და ტელეფონი _____

3. მოწმის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონი _____

4. ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია:

1. შემთხვევის თარიღი:	_____			
2. შემთხვევის ადგილი:	_____			
3. დრო:	_____	_____	_____	_____
	ძალადობის დრო	შეტყობინების დრო	შემთხვევის ადგილზე მისვლის დრო	
4. არსებული მსარეები (გაუსვით ხაზი)	<u>მსხვერპლი</u>	<u>მოძალადე</u>	<u>ბავშვი</u>	<u>მოწმე</u>
5. ზიანის სახე: (რაში გამოისატა ზიანი)	_____			
	<u>სიტყვიერი შეურაცხყოფა</u>			
6. ვის აღმოუჩინეს სამედიცინო დასმარება, რა სახის და სად	_____			

7. იარაღის გამოყენება: (გაუსვით ხაზი)	გამოიყენა სცადა გამოყენება დაემუქრა არ გამოიყენა
8. იარაღის შენახვის და ტარების უფლება	მოძალადეს აქვს შენახვის უფლება, აქვს ტარების უფლება, აქვს სამსახურეობრივ-საშტატო იარაღი. (გაუსვით ხაზი)
9. მსხვერპლის დამოკიდებულება მოძალადესთან	მეუღლე, ყოფილი მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მიძღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები მეურვე. (გაუსვით ხაზი)
10. ოჯახის წევრები	<hr/> <hr/> <hr/>
11. ბავშვის (ბავშვების) მონაწილეობა	იღებდა მონაწილეობას ინციდენტში, <u>არის ინციდენტის მოწმე</u> , არ მონაწილეობდა ინციდენტში. (გაუსვით ხაზი)
12. შეგროვილი სამხილები (თუ არის)	<hr/> <hr/> <hr/>
13. მსხვერპლის აღქმა (შემოსაზეთ)	<p>ა) მსხვერპლს მიაჩნია, რომ მოძალადემ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ან მოკლას იგი;</p> <p>ბ) მსხვერპლი განცალკევდა ან ცდილობს განცალკევებას;</p> <p>გ) მსხვერპლი ითხოვდა კანონით გათვალისწინებულ დაცვას.</p>
14. მოძალადის აღქმა (შემოსაზეთ)	<p>ა) მოძალადე აღიარებს მომხდარ ფაქტს;</p> <p>ბ) მოძალადე უარყოფს მომხდარ ფაქტს;</p> <p>გ) მოძალადე ადანაშაულებს მსხვერპლს.</p> <p>შენიშვნა: _____</p> <hr/> <p style="text-align: center;">(შენიშვნის გრაფა ივსება საჭიროების შემთხვევაში)</p>
15. დამატებითი ინფორმაცია	<p>ოქმზე არის მსხვერპლის სელმოწერა, მოძალადემ უარი განაცხადა</p> <hr/> <hr/>
16. ოქმს თან ერთვის (გაუსვით ხაზი)	<p>მსხვერპლის ახსნა-განმარტება;</p> <p>მოძალადის ახსნა-განმარტება;</p> <p>მოწმის ახსნა-განმარტება</p> <p>(ახსნა-განმარტებაში აღინიშნება ოჯახში ძალადობის ფაქტთან ადაკეშირებული გარემოებები და მისი გამომწვევი მიზეზი)</p>

5. ოქმი წარმოადგენს შემაკავებელი ორდერის გამოცემის საფუძველს, რომელშიც აღინიშნება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით მიღებული ზომები.

6. მსწვერპლს და მოძალადეს განემარტათ მათი უფლებები და მოვალეობები.

7. შემაკავებელი ორდერის ოქმს და შემაკავებელს ორდერს გავეცანი და ვეთანხმები მის შინაარსს:

(მსწვერპლის ხელმოწერა)

8. შემაკავებელი ორდერის ოქმს და შემაკავებელს ორდერს გავეცანი:

(მოძალადის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარი)

9. შემაკავებელი ორდერის ოქმი შედგენილია 2 ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ბარდება ზედამხედველ პროკურორს, სოლო ერთი რჩება მის გამომცემ პირთან.

10. ოქმი შედგენილია „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსწვერპლთა დაცვისა და დასმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

11. შემაკავებელი ორდერის ოქმი გაცემულია _____

მიერ.

(თანამდებობა, სახელი და გვარი)

(ხელმოწერა) _____

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით
შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ

თებერვალი, 2008 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე №1-ის მდივნობით, შემაკავებელი ორდერის შემდგენელი ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს III ოცეულის შუამდგომლობის პატრულ-ინსპექტორის, მსხვერპლისა და მოძალადის მონაწილეობით, განიხილა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს III ოცეულის შუამდგომლობის პატრულ-ინსპექტორის მიერ მოქალაქე №1-ის მიმართ შედგენილი შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე შუამდგომლობა.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

2008 წლის თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მომართა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს III ოცეულის პატრულ-ინსპექტორმა მოქალაქე №1-ის მიმართ შედგენილი შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე.

წარმოდგენილი მასალით ირკვევა, რომ მოქალაქის მიმართ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ძალადობას №1-ის მხრიდან, რაზეც 2008 წელს შედგენილ იქნა შემაკავებელი ორდერი. შემაკავებელი ორდერი შედგენილია შემდეგი პირობებით: აკრძალოს მოძალადეს მიახლოება მსხვერპლთან და იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

2008 წლის თებერვალს გამართულ სასამართლო სსდომაზე გამოცხადებული შემაკავებელი ორდერის შემდგენი – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს III ოცეულის პატრულ-ინსპექტორი დაეთანხმა წარმოდგენილ ორდერს, დაადასტურა მასში მითითებული გარემოებანი და ორდერის დამტკიცება მოითხოვა.

აღნიშნული გარემოება დაადასტურა ასევე იმავე სსდომაზე გამოცხადებულმა მსხვერპლმა, რომელმაც განმარტა, რომ მოძალადე არის მისი და, რომელიც ახორციელებს მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ითხოვს ორდერის დამტკიცებას.

22.02.2008 წლის სასამართლო სსდომაზე არ გამოცხადდა მოძალადე, რომელიც გაფრთხილებული იყო სსდომის დროის შესახებ კანონით დადგენილი წესით.

სასამართლომ განიხილა რა წარმოდგენილი საქმის მასალა, მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დადგენილია „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დასმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად წარმოდგენილი შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ძალადობა მოძალადე №1-ის მხრიდან მსხვერპლის მიმართ, რაც წარმოადგენს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს III ოცეულის შუამდგომლობის პატრულ-ინსპექტორის მიერ შემოტანილი შემაკავებელი ორდერის დამტკიცების საკმარის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ ისევემდგანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 2114-ე, 2113-ე, 2115-ე. მუხლებით.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის ისან-სამგორის I ოცეულის შუამდგომლობის პატრულ-ინსპექტორის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი მოქალაქე №1-ის მიმართ.
2. შემაკავებელი ორდერი დამტკიცდეს შემდეგი პირობებით: მოძალადეს აეკრძალოს იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება და მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა.
3. გაგრძელდეს შემაკავებელი ორდერის მოქმედება დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.
4. გადაწყვეტილება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს სამი დღის ვადაში საჩივრის შემოტანის გზით ამავე სასამართლოში.

მოსამართლე:

შემთხვევა №2

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის
მთავარი სამმართველოს უფროსს _____
ამავე სამმართველოს ისანი-სამგორის
მიმართულების I ასეულის
პატრულ-ინსპექტორის

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა №

მოგასხენებთ, რომ 2007 წლის 13 ნოემბერს, რადიოსადგურ „022“ შეტყობინების საფუძველზე გამოვცხადდი ქ. თბილისში

ადგილზე მისვლისას გაირკვა, რომ გამოგვიძახა მოქალაქე ნათელამ, მცხოვრებმა აღნიშნულ მისამართზე, რომელმაც განგვიცხადა, რომ მას სასლში მეუღლესთან აქვს კონფლიქტი, რომელიც მას აყენებს ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობას და ითხოვდა დახმარებას კანონით გათვალისწინებული წესით, შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის შედგენას.

(მსხვერპლის ახსნა-განმარტება)

ახსნა-განმარტება

მოგასხენებთ, რომ ვცხოვრობ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილებთან ერთად. მეუღლესთან ვიმყოფები კანონიერ ქორწინებაში 2000 წლიდან. ამა წლის ნოემბერის თვეში მეუღლემ განმიცხადა, რომ მე ვღალატობ და მას არ სურს ჩემთან ცხოვრება. მომთხოვა გაყრა და ბინის დატოვება ბავშვებთან ერთად, ვინაიდან აღნიშნული ბინა, სადაც ვცხოვრობთ ბავშვებთან ერთად, ეკუთვნის მას. მე ვუთხარი, რომ ბინიდან ჯერჯერობით ვერ გავიდოდი, სანამ არ მივიღებდი სასამართლოდან საბუთს კანონიერი წესით გაყრის შესახებ. ერთად თანაცხოვრების მანძილზე ჩვენ ერთობლივად შეძენილი გვაქვს ოჯახისათვის საქირო ნივთები, ასევე დამატებით განგიმარტავთ, რომ აღნიშნული ბინის შექენაში, რომელიც გაფორმებულია მეუღლის სახელზე, დავეხმარე ჩემი კუთვნილი ოქროულით, რომელიც ჩაიდო ლომბარდში გარკვეული თანხის საფასურ-

რად. 2007 წლის ნოემბერს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საქმეზე „ქონების გაყოფა და ალიმენტის დანიშვნა“ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გარემოებების საკითხი და მიიღო დადგენილება: დააყადაღა მეუღლის სახელზე რიცხული ბინა. ამა წლის 13 ნოემბერს ჩემი მეუღლე მოვიდა სასლში და წაიღო დაუკითხავად გარკვეული საოჯახო ნივთები, მე დავრეკე საპატრულო პოლიციაში და ვთხოვე დახმარება. საპატრულო პოლიციის მოსვლამდე მას უკვე ჰქონდა წაღებული აღნიშნული ნივთები. ჩვენი კონფლიქტის წარმოქმნის შემდეგ იგი ჩემს მიმართ იყენებს ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობას. ასსნა-განმარტება დაწერილია ჩემი სელით, ჩემივე სიტყვებით და ვაწერ სელს.

(სსმ 20.09.2006 №129 მუს. 1712)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
140.130.000.22.034.009.227

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება №1079**

2006 წლის 11 სექტემბერი ქ. თბილისი

შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის

**ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების
განსაზღვრის შესახებ**

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსწვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტების, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის 614 ბრძანებულებით დამ-

ტვიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების მე-11 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შემაკავებელი ორდერის თანდართული ფორმა (დანართი ნ1).
2. დამტკიცდეს შემაკავებელი ორდერის ოქმის თანდართული ფორმა (დანართი .№2).
3. შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის შედგენის უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სასაზო დანაყოფების შემდეგი თანამდებობის პირები:

ა.ა. ოცულის მეთაური;

ა.ბ. ათეულის მეთაური;

ა.გ. უფროსი პატრულ-ინსპექტორი;

ა.დ. პატრულ-ინსპექტორი;

ა.ე. უმცროსი პატრულ-ინსპექტორი.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების უბნის ინსპექტორები – მხოლოდ იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც განსაზღვრული არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო ტერიტორია.

4. ამ ბრძანებით განსაზღვრულმა უფლებამოსილმა პირებმა აწარმოონ შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების აღრიცხვა.
5. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

შემაკავებელი ორდერი №00000

1. ორდერის შედგენის თარიღი, დრო და ადგილი _____

2. ორდერის შედგენის საფუძველი _____

(კონკრეტულად რაში გამოინატა ძალადობა)

მოძალადე მსხვერპლს აყენებს სექსუალურ და ფსიქოლოგიური ძალადობას

3. მსხვერპლის სახელი, გვარი, მისამართი _____

4. მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი

5. ძალადობის ფორმა (გაუსვით ხაზი):

ა) ფიზიკური; ბ) ფსიქოლოგიური; გ) ეკონომიკური; დ) სექსუალური; ე) იძულება.

6. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დანშარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად შემაკავებელი ორდერი ითვალისწინებს (შემოსაზეთ):

ა) მოძალადის იმ სახლისაგან მოშორებას, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს;

ბ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

გ) მოძალადის მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოების აკრძალვას, სადაც მსხვერპლი იმყოფება;

დ) მოძალადისთვის იარაღის, მათ შორის სამსახურეობრივ-საშტატო იარაღის, სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ასევე იარაღის შექმნის უფლების აკრძალვას;

ე) მოძალადის ბავშვებისაგან განცალკევებას;

ვ) _____
(სხვა ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია მსწვერპლის უსაფრთხოებისთვის)

7. შემაკავებელი ორდერი ითვალისწინებს მსწვერპლის დაცვის შემდეგ ღონისძიებებს (შემონაწეთ):

ა) მსწვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან გარიდებას;

ბ) მსწვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში მოთავსებას;

გ) _____
(გრაფა ივსება საჭიროების შემთხვევაში)

8. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოძალადეს ეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

9. შემაკავებელი ორდერი ძალაშია მისი გამოცემისთანავე.

10. შემაკავებელი ორდერი შედგენილია 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ბარდება მოძალადეს, ერთი – მსწვერპლს და ერთი რჩება მის გამომცემ პირთან.

11. შემაკავებელი ორდერი გაცემულია _____

მიერ.

(თანამდებობა, სახელი და გვარი)

(სელმოწერა)

შემაკავებელი ორდერის ოქმი №00000

1. მსხვერპლის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონი _____

2. მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი და ტელეფონი _____

3. მოწმის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონი _____

4. ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია:

1. შემთხვევის თარიღი:			
2. შემთხვევის ადგილი:			
3. დრო:	ძალადობის დრო	შეტყობინების დრო	შემთხვევის ადგილზე მისვლის დრო
4. არსებული მსარეები (გაუსვით საზი)	<u>მსხვერპლი</u>	<u>მოძალადე</u>	ბავშვი მოწმე
5. ზიანის სახე: (რაში გამოისატა ზიანი)	მსხვერპლი ნათელა მეუღლისგან განიცდის ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობას		

6. ვის აღმოუჩინეს სამედიცინო დასმარება, რა სახის და სად	
7. იარაღის გამოყენება: (გაუსვით ხაზი)	გამოიყენა სცადა გამოყენება დაემუქრა არ გამოიყენა
8. იარაღის შენახვის და ტარების უფლება	მოძალადეს აქვს შენახვის უფლება, აქვს ტარების უფლება, აქვს სამსახურეობრივ-საშტატო იარაღი (გაუსვით ხაზი)
9. მსხვერპლის დამოკიდებულება მოძალადესთან	მეუღლე , ყოფილი მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მიძღები ოჯახის (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები მეურვე (გაუსვით ხაზი)
10. ოჯახის წევრები	
11. ბავშვის (ბავშვების) მონაწილეობა	იღებდა მონაწილეობას ინციდენტში, არის ინციდენტის მოწმე, არ მონაწილეობდა ინციდენტში (გაუსვით ხაზი)
12. შეგროვილი სამსილები (თუ არის)	
13. მსხვერპლის აღქმა (შემოსაზეთ)	ა) მსხვერპლს მიაჩნია, რომ მოძალადემ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ან მოკლას იგი; ბ) მსხვერპლი განცალკევდა ან ცდილობს განცალკევებას; გ) მსხვერპლი ითხოვდა კანონით გათვალისწინებულ დაცვას.
14. მოძალადის აღქმა (შემოსაზეთ)	ა) მოძალადე აღიარებს მომხდარ ფაქტს; ბ) მოძალადე უარყოფს მომხდარ ფაქტს; გ) მოძალადე ადანაშაულებს მსხვერპლს. შენიშვნა: _____ (შენიშვნის გრაფა ივსება საქიროების შემთხვევაში)
15. დამატებითი ინფორმაცია	
16. ოქმს თან ერთვის (გაუსვით ხაზი)	მსხვერპლის ახსნა-განმარტება: მოძალადის ახსნა-განმარტება: მოწმის ახსნა-განმარტება (ახსნა-განმარტებაში აღინიშნება ოჯახში ძალადობის ფაქტთან ადაკვშირებული გარემოებები და მისი გამომწვევი მიზეზი)

5. ოქმი წარმოადგენს შემაკავებელი ორდერის გამოცემის საფუძველს, რომელშიც აღინიშნება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით მიღებული ზომები.

6. მსხვერპლს და მოძალადეს განემარტათ მათი უფლებები და მოვალეობები.

7. შემაკავებელი ორდერის ოქმს და შემაკავებელს ორდერს გავეცანი და ვეთანხმები მის შინაარსს:

(მსხვერპლის ხელმოწერა)

8. შემაკავებელი ორდერის ოქმს და შემაკავებელ ორდერს გავეცანი:

(მოძალადის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარი)

9. შემაკავებელი ორდერის ოქმი შედგენილია 2 ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ბარდება ზედამხედველ პროკურორს, სოლო ერთი რჩება მის გამომცემ პირთან.

11. ოქმი შედგენილია „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დასმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

10. შემაკავებელი ორდერის ოქმი გაცემულია _____

მიერ.

(თანამდებობა, სახელი და გვარი)

(ხელმოწერა) _____

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით
შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ

ნოემბერი, 2008 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე № -მა, №1-ის მდივნობით, შემაკავებელი ორდერის შემდგენელი ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს I სასაზო ოცმეთაური, მსწვერპლისა და მოძალადის მონაწილეობით, განიხილა ქ. თბილისის ისან-სამგორის I ოცეულის შუამდგომლობის პატრულ-ინსპექტორის მიერ მოქალაქე №-ის მიმართ შედგენილი შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე შუამდგომლობა.

გ ა მ თ ა რ კ ვ ი ა

2007 წლის 13 ნოემბერს სასამართლოს მომართა ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს I სასაზო ოცმეთაურმა, მოქალაქე № ის მიმართ შედგენილი შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე.

წარმოდგენილი მასალით, კერძოდ, შემაკავებელი ორდერის ოქმით, მსწვერპლის ანსნა-განმარტებითა და სასამართლო სსდომაზე ინსპექტორის, მსწვერპლის, მოძალადის მიერ მიცემული ჩვენებებით დასტურდება, რომ მოქალაქე №-მა მეუღლის მიმართ გამოავლინა ძალადობა, რაც გამოინატა ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობით. აღნიშნული კი წარმოადგენს ინსპექტორის მიერ შედგენილი შემაკავებელი ოქმის დამტკიცების საკმარის საფუძველს.

სასამართლომ ისეღმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 2114-ე, 2113-ე, 2115-ე, მუსლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს I სანაწო ოცმეთაურის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი მოძალადე № - ის მსხვერპლ ნათელას მიმართ.
2. შემაკავებელი ორდერის პირობაა: მოძალადეს აკრძალოს თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოცხადებისთანავე და აღნიშნული შემაკავებელი ორდერის მოქმედება გროძელდება დამცავი ორდერის გამოცემამდე.
4. გადაწყვეტილება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს სამი დღის ვადაში საჩივრის შემოტანის გზით ამავე სასამართლოში.

მოსამართლე:

შემთხვევა №3

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის
მთავარი სამმართველოს უფროსს

ამავე სამმართველოს ვაკე-საბურთალოს
მიმართულების I ოცეულის
პატრულ-ინსპექტორის

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა №

მოგასხენებთ, რომ 2008 წლის 20 იანვარს, რადიოსადგურ „022“ შეტყობინების საფუძველზე გამოვცხადდი ქ. თბილისში

ადგილზე მისვლისას გაირკვა, რომ ზემო აღნიშნული მისამართზე იყო მამა-შვილს შორის ოჯახური კონფლიქტი. კერძოდ, როგორც გაირკვა ამ კონფლიქტს აქვს სისტემატური ხასიათი. შვილი მამას აყენებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას.

(მსხვერპლის ახსნა-განმარტება)

ახსნა-განმარტება

